ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 10 მაისი 2007 №104 (3027) ფასი 50 თეთრი



ნოდარ გრიგალაშვილი

ვინ რას


გია ნაცვლიშვილი

ამბობდა


ვალერი გიორგობიანი

გუშინ...


დავით ნამგალაური

## ვის გაუწვდის ხელს მიხეილ სააკაშვილი?



## დღეს პრეზიდენტმა ფანჯარა უნდა დახუროს: სახელისუფლებო დერეფნებში ორპირი ქარია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიპლომატია და აღარც...
## ხელისუფლების დერეფნებში გამქროლი ქარია



საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებამდე სამი დღეღა დარჩა. პრეზიდენტობის კანდიდატი სამია: ახლანდელი თავკაცი ნოდარ ახალკაცი, ყოფილი და ცნობილი ფეხბურთელი, საკრებულოს „ნაციონალი" წევრი გიორგი ნემსაძე და ყოფილი ჟურნალისტი მამუკა კვარაცხელია.

ცნობილია 33 ამომრჩევლის ვინაობაც. ახლა ჯერი 12 მაისის აღმასკომზეა, რომელიც საყრილობო მასალებს მოამზადებს, მერე კი არჩევნების დღე, 13 მაისია...

რაც უფრო ახლოვდება არჩევნები, კულუარებში მეტი მითქმა-მოთქმაა. ერთ-ერთი ინფორმაციით, დღეს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტობის ორი გამოკვეთილი კანდიდატის — ნოდარ ახალკაცისა და გიორგი ნემსაძის სახელისუფლებო მხარდამჭერებს შეხვდება. ამ ვერსიას საფუძველიც უნდა ჰქონდეს. ჯერ ერთი, ორივე კანდიდატს ჰყავს სახელისუფლო მხარდამჭერები და მეორეც, ღიად თუ ფარულად, ახალკაცისადმი ხელისუფლების სიმპათიამ განაპირობა, რომ შარშაწწინ მან 26-დან 25 ხმა მიიღო.

ახლა ახალკაცს რომ ამხელა უპირატესობა არ ექნება, ცხადია. ჩვენ კი წინასაარჩევნოდ იმ ხალხს შევეხმიანეთ, რომელთაც ხელისუფლებაში სპორტის კურატორობა ან პირდაპირ ავალიათ, ან წონიანი სიტყვა ეთქმით.

პირველად „ნაციონალ" პარლამენტარს, დავით კირკიტაძესთან და გია ნაცვლიშვილთან ერთად სპორტის არაოფიციალურ კურატორს, *ვალერი გიორგობიანს* დავუკავშირდით...

— შევიტყვეთ, რომ ხვალ მიხეილ სააკაშვილი ნოდარ ახალკაცის და გიორგი ნემსაძის მომხრეებს უნდა შეხვდეს...

— ამ ინფორმაციას ვერც უარვყოფ და ვერც დავადასტურებ... ისე, ამ არჩევნებში ხელისუფლება არ ჩაერევა. როგორც უბრალო ქომაგს, ცხადია, მეც მაქვს ჩემი შეხედულება, მაგრამ პოზიციის დაფიქსირება ამჟამად მიზანშეწონილად არ მიმაჩნია.

— **ხმის უფლება რომ გქონდეთ, ვის დაუჭერდით მხარს?**

— ვისაც ვეტერანები და ფეხბურთელები აძლევენ ხმას, მეც მისი მომხრე ვარ...

სპორტის, კულტურისა და განათლების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე *ნოდარ გრიგალაშვილმაც* არ დაადასტურა მიხეილ სააკაშვილისა და ახალკაცნემსაძის მხარდამჭერთა შეხვედრის ამბავი...

— ამის შესახებ არაფერი ვიცი, მაგრამ შემიძლია, გითხრათ, რომ ბატონი მიხეილ სააკაშვილი არჩევნებში არ ჩაერევა.

— **როგორც სპორტის, კულტურისა და განათლების კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის არჩევნებისადმი გულგრილი ვერ იქნებით...**

— ცხადია, ასეა, მაგრამ პატივს ვცემ უეფას წესებს და როგორც ხელისუფლების წარმომადგენელი, ნეიტრალური ვიქნები, ამიტომაც არ დავაფიქსირებ ჩემს პოზიციას.

— **ბორჯომის მაჟორიტარი დეპუტატი ხართ. საფეხბურთო კლუბი „ბორჯომი" კი ნოდარ ახალკაცის ოპონენტია. „ბორჯომის" ხელმძღვანელობასთან თუ გქონდათ კონსულტაცია?**

— არა, არც მე დავინტერესებულვარ და არც მათ მოუმართავთ ჩემთვის. „ბორჯომის" ხელმძღვანელობის გადასაწყვეტია, ვის მისცემენ ხმას, მე მათ არჩევანს პატივს ვცემ.

*გია ნაცვლიშვილი*, ძიუდოს ფედერაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტი, კახეთის გუბერნატორი:

— **კახეთის რეგიონს არჩევნებში ორი ხმა აქვს. ერთი საფეხბურთო კლუბ „კახეთის" მანდატია, მეორე — კახეთის რეგიონული ფედერაციის. მათთან თუ გქონდათ არჩევნებთან დაკავშირებით საუბარი?**

— არა, რადგან არ ვერევი, არც მათ მოუმართავთ ჩემთვის და არც მე მათთვის. თავად იციან, რა იქნება უკეთესი. შეიძლება, ჩვენი აზრები არ დაემთხვეს, მაგრამ ჩარევას არ ვაპირებ.

— **როგორც ქომაგი, როგორ შეაფასებდით ფედერაციის დღევანდელი ხელმძღვანელობის ორწლიან მუშაობას?**

— ნაკრები შედეგით არა, მაგრამ თამაშის ხარისხით პროგრესირებს და ვფიქრობ, კლაუს ტოპმიოლერს უნდა ვაცადოთ. რაც შეეხება ეროვნულ ჩემპიონატს, ბავშვთა ფეხბურთს და რეგიონებში ფეხბურთის განვითარებას, საამისოდ არაფერი კეთდება, კატასტროფული მდგომარეობა გვაქვს. მეტს ვერაფერს გეტყვით, რადგან შეიძლება, არასწორად გამიგონ...

13 მაისის არჩევნებში ხმის უფლება არ აქვს საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარეს და სფფ-ის აღმასკომის წევრს *დავით ნამგალაურს*, თუმც რომელ კანდიდატურას ემხრობა, მაინც საიდუმლოდ შეინახა...

— **სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარისთვის სულ ერთი არ უნდა იყოს, ვინ იქნება ფედერაციის პრეზიდენტი...**

— ცხადია, არა, მაგრამ ვინც უნდა გახდეს ქართული ფეხბურთის თავკაცი, სახელმწიფო გვერდით დაუდგება. იცით, რომ ფედერაციას ხელისუფლების მხარდაჭერა აქვს. ვინც უნდა გახდეს პრეზიდენტი, ნებისმიერ შემთხვევაში მხარდაჭერა გაორმაგდება.

— **ნოდარ ახალკაცის ორწლიან პრეზიდენტობას როგორ შეაფასებდით?**

— ერთადერთი დადებითი ეროვნული ნაკრების პროგრესია — ოღონდ აქ შედეგს არ ვგულისხმობ, ყველაფერს დრო სჭირდება. ნაკრებს აშკარად ეტყობა კლასი და ვფიქრობ, კლაუს ტოპმიოლერს კონტრაქტი უნდა გაუგრძელდეს. რაც შეეხება ეროვნულ ჩემპიონატს, ბავშვთა და რეგიონული ფეხბურთის განვითარებას, ამაზე ბევრი კითხვა დაგვიგროვდა და აღმასკომზე პასუხის გაცემა ფედერაციის დღევანდელ ხელმძღვანელობას მოუწევს.

— **გამოდის, რომ ფედერაციის დღევანდელმა ხელმძღვანელობამ ეს პრობლემები ვერ მოაგვარა?**

— ან ვერ, ან არ მოაგვარა, ან საამისოდ დრო არ ეყო. ყოველ შემთხვევაში, გასამართლებელ არგუმენტს ვერ ვხედავ. ფაქტია, რომ ასე მუშაობით ნაკრებს არ ეყოლება რეზერვი, არ ექნება ზურგი, რის გამოც გრანდებთან კი არა, ჩვენი დონის გუნდებთან წავაგებთ ულაპარაკოდ. მარტო ტოპმიოლერი ვერაფერს იზამს. არ დაგვავიწყდეს, რომ ტოპმიოლერიც პირადად პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ინიციატივით გახდა ჩვენი ნაკრების მწვრთნელი და, ბუნებრივია, როდესაც სახელმწიფო მწვრთნელის საკმაოდ მაღალი ხელფასის მეტ წილს ფარავს, შიდამეურნეობის არმოწესრიგების გამო პასუხსაც მოსთხოვს ფედერაციას.

— **ესე იგი, ფედერაციის ხელმძღვანელობის მუშაობით უკმაყოფილო ხართ?**

— რაც ვთქვი, ეს არის ფაქტები და მწარე რეალობა. აღმასკომზე დავსვამ კითხვებს და იმედია, არგუმენტირებულ პასუხს მივიღებ. დანარჩენზე საუბარი ჯერ არ მინდა. შესაძლოა, ჩემი ნათქვამი ვინმემ არასწორად გაიგოს.

**ბაჩო სვანიძე**

## ინგლისი
პრემიერლიგა
გადადებული მატჩი
ჩელსი 0:0 მანჩესტერი

## შოტლანდია
პირველი დივიზიონი
პლეი ოფი. ფინალი
სტირლინგი 2:2 ერდრი
მეორე დივიზიონი
პლეი ოფი. ფინალი
ქუინზ პარკი 4:2 ისტ ფაიფი

## ავსტრია
ბუნდესლიგა
XXXIII ტური
ტიროლი 5:1 გრაცერი
რიდი 1:0 მატერსბურგი
შტურმი 1:0 ალტახი
ზალცბურგი 2:3 პაშინგი

## შვეიცარია
სუპერლიგა
XXXII ტური
აარაუ 0:3 ციურიხი
გრასჰოპერი 0:0 სიონი
შაფჰაუზენი 2:2 ბაზელი
სენტ გალენი 2:0 თუნი
იანგ ბოისი 3:1 ლუცერნი
ჩელენჯლიგა
XXX ტური
ბოლმი 0:2 ვილი
ბელინცონა 4:1 იუვენტუსი
კონკორდია 1:2 ძსამაძსი
კრინსი 1:0 ლოზანა
შო დე ფონი 1:0 ვადუცი
ლუგანო 2:0 დელემონი
ვინტერთური 3:0 კიასო
ვოლენი 4:2 ლოკარნო
ივერდონი 1:2 სერვეტი

## საფრანგეთი
პირველი დივიზიონი
XXXVI ტური
სოშო 2:1 მონაკო
ბორდო 0:1 ნანტი
ლილი 2:1 სედანი
ლორიანი 2:1 ოსერი
მარსელი 2:1 ნანსი
ნიცა 1:0 პსჟ
ტრუა 2:2 რენი
ვალანსიენი 1:0 სენტ ეტიენი
ლიონი 3:0 ლანსი

## ჰოლანდია
ჩემპიონთა ლიგის
პლეი ოფი
1/2 ფინალი. I მატჩები
ტვენტე 1:1 ალკმაარი
ჰერენვენი 1:0 აიაქსი
უეფას თასის პლეი ოფი
1/2 ფინალი. I მატჩი
უტრეხტი 0:0 როდა
ინტერტოტოს თასის
პლეი ოფი
1/2 ფინალი. I მატჩი
ვიტესი 3:2 ბრედა
გადასასვლელი პლეი ოფი
III ტური
დენ ბოსხი 1:2 ვენლო
დორდრეხტი 2:0 ვალვაიკი
ვოლენდამი 3:5 როზენდალი
ვეენდამი 0:1 ექსელსიორი

## პოლონეთი
I ლიგა. XXVI ტური
ვისლა 0:0 ზაგლებე
არკა 1:3 ბელხატოვი
გურნიკი 1:1 ლოძი
ლეხი 6:1 ვიძევი
ლეჩნა 1:2 ლეგია
პოგონი 1:3 ოდრა

## ჩეხეთი
გამბრინუს ლიგა
XXVII ტური
ბუდეიოვიცე 1:2 ტეპლიცე
ლიბერეცი 2:2 ზლინი
მოსტი 1:1 პლზენი
სიგმა 0:0 პრჟიბრამი
სლოვაცკო 0:1 კლადნო
ბრნო 1:2 სპარტა

## დანია
სუპერლიგა
XXIX ტური
ოლბორგი 1:1 ნორდსიელანდი
რანდერსი 1:2 ოდენსე
სილკებორგი 1:1 ჰორსენსი
ვაილე 3:0 ესბიერგი
ვიბორგი 0:1 მიდტიულანდი
ბრონდბიუ 0:1 კოპენჰაგენი

## ფინეთი
ვეიკაუსლიგა
IV ტური
კტპ 3:0 ოულუ

## რუმინეთი
I ლიგა. XXXI ტური
ფარული 1:3 ტიმოშოარა
არადი 3:0 პანდურიი
არჯეში 1:1 უნირია
ვასლუი 1:0 ნაციონალი
რაპიდი 3:3 ოცელული
სტიაუა 2:0 ჩაჰლაული

## ესპანეთი
თასის ნახევარფინალი
საპასუხო მატჩი
*სევილია* 2:0 დეპორტივო (3:0)

## ბელგია
თასის ნახევარფინალი
საპასუხო მატჩი
*სტანდარდი* 2:1 ანდერლეხტი (1:0)

## იტალია
თასის ფინალი. I მატჩი
რომა 6:2 ინტერი
სერია C1/B
გადადებული მატჩი
ტერამო 0:0 რავენა

## თურქეთი
თასის ფინალი
ერჯიესი 0:0 ბეშიქთაში

## რუსეთი
თასის ნახევარფინალი
საპასუხო მატჩი
სპარტაკი 1:2 *ლოკომოტივი* (0:3)

## უკრაინა
თასის ნახევარფინალი
საპასუხო მატჩები
*დინამო* 4:2 მეტალისტი (1:0)
ტავრია 2:2 *შახტარი* (0:0)

## ხორვატია
თასის ფინალი
პირველი მატჩი
დინამო 1:0 სლავენი

## სლოვენია
თასის ნახევარფინალი
საპასუხო მატჩები
*კოპერი* 4:1 პუბლიკუმი (3:1)
*მარიბორი* 1:1 ნოვა გორიცა (4:2)

## უნგრეთი
თასის ფინალი
დებრეცენი 2:2დ.დ. (1:1, 1:3პენ.) *ჰონვედი*

## ბულგარეთი
თასის ნახევარფინალი
ლოკომოტივი (პლ) 0:3 ლევსკი
ლიტექსი 1:0 ბეროე

# ძველი ჩაიმტვრა შუშასავით

## ფეხბურთის ფედერაცია ჭადრაკის სასახლეში დაიბადა

ფეხბურთის ფედერაციის 13 მაისის ყრილობა ამ ორგანიზაციის დაარსებიდან მეთორმეტეა. თავად ფედერაცია კი არსებობის 17 წელიწადს ითვლის.

ნინა თერთმეტი ყრილობიდან გამორჩეული და დასამახსოვრებელი კი ისინი იყო, რომლებზეც, სხვა მიმდინარე საკითხებზე მსჯელობის გარდა, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატებსაც უყარეს კენჭი.

ასეთები იყო: პირველი ყრილობა, 1990 წლის 15 თებერვალს რომ ჩატარდა და რომელზეც დაარსდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია. ამ ყრილობამ პრეზიდენტად უფროსი ნოდარ ახალკაცი აირჩია. მომდევნო საპრეზიდენტო არჩევნები 1994 წლის 17 სექტემბერს გაიმართა, რიგით მესამე იყო და ამ არჩევნებზე ახალკაცმა პოსტი შეინარჩუნა. უფროსი ახალკაცი მომდევნო, მეოთხე ყრილობამდე გარდაიცვალა და 1998 წლის 25 ოქტომბრის ყრილობამ ახალ პრეზიდენტად მერაბ ჟორდანია აირჩია და 2002 წლის 24 აგვისტოსაც, მეხუთე ყრილობაზე, ისევ მას დაუჭირა მხარი. ჟორდანიას მეორედ არჩევიდან უარჩევნებო ყრილობების ჯერი იყო და მეცხრე ყრილობაზე, 2005 წლის 11 ივნისს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ახალმა მეთაურმა, უმცროსმა ნოდარ ახალკაცმა ჩაიბარა. სამ დღეში კი, მეთორმეტე ყრილობა ნოდარ ახალკაცს, გიორგი ნემსაძესა და მამუკა კვარაცხელიას შორის გააკეთებს მორიგ არჩევანს.

რა და როგორ იქნება 13 მაისის ყრილობაზე, ახლა მხოლოდ შეგვიძლია ვივარაუდოთ. თუმცა ის, თუ რა ხდებოდა წინა ხუთ საპრეზიდენტო ყრილობაზე, ცხადია, ზუსტად ვიცით. ამიტომაც გვსურს, ასე ვთქვათ, არქივი გადავქექოთ და იმ ყრილობათა პერიპეტიები გავიხსენოთ.

დღეს პირველი, დამფუძნებელი ყრილობის ამბებს გავიხსენებთ, ხვალ და ზეგ კი მომდევნო იყოს. პირველი ყრილობა სულაც ნიგნად აკინძული არსებობს — ელგუჯა ბერიშვილის „დიდი ბურთაობა" და უკეთეს „მეგზურს" ვერც ვნახავთ:



1989 წლის ზაფხულიდან მოყოლებული, ჩვენს პრესაში დიდი კამათი გაჩაღდა ქართული ფეხბურთის მომავალზე, კონკრეტულად იმის თაობაზე, რომ დადგა დრო, საკავშირო ჩემპიონატის გარეშე, დამოუკიდებლად გავიკვალოთ გზა საერთაშორისო ფეხბურთში.

იმდროინდელი პოლიტიკური ვითარების ფონზე, ამგვარი განცხადებები მოულოდნელი სულაც არ ყოფილა.

კამათი ისე „გახურდა", რომ პრესის ფურცლებიდან კაბინეტებში და სხდომათა დარბაზებში გადაინაცვლა. ხუთ საათს გაგრძელდა თბილისის „დინამოს" საფეხბურთო კლუბის საბჭოს გაფართოებული სხდომა, რომელიც წინ უძღოდა ფედერაციის დამფუძნებელ ყრილობას.

...1990 წლის 15 თებერვალი. ხალხით გაჭედილი ჭადრაკის სასახლე. იგრძნობა: დღეს აქ, ამ დარბაზში, საინტერესო ამბები მოხდება.

ყრილობას ხსნის საინიციატივო ჯგუფის თავმჯდომარე, საქართველოს სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველოს უფროსის მოადგილე დავით კვინიკაძე:

„მეგობრებო, დღევანდელი დღე ღირსშესანიშნავია საქართველოს საფეხბურთო ცხოვრებაში, ჩვენი ფეხბურთის ისტორიაში უნდა დავაფუძნოთ შინაარსით განსხვავებული ფედერაცია, რომელიც, როგორც სუვერენული ორგანიზაცია, უახლოეს პერიოდში გაწევრიანდება ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციაში..."

ყრილობაზე მოწვეულია 490 დელეგატი, ესწრება 391. ყრილობა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

უსაშველოდ გაჭიანურებული, თითქმის ერთსაათიანი კამათის შემდეგ შეთანხმდნენ — სხდომებს უხელმძღვანელებს სამი თანათავმჯდომარე: დავით კვინიკაძე, საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი ომარ გოგიაშვილი და საქართველოს სახალხო ფრონტის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ავთანდილ იმნაძე. საპატიო თავმჯდომარედ ირჩევენ ბორის პაიჭაძეს...

*დარბაზში უკვე რაც-რაა. კამათი იწყება დღის წესრიგზე. ჩემპიონატის სტატუსისა და სტრუქტურის დამტკიცება დღის წესრიგში ბოლო, მეხუთე საკითხად შეიტანეს და ერთი ამბავიც ამას მოჰყვა. საბოლოოდ ისე მოხდა, რომ პირველად სწორედ ეროვნულ ჩემპიონატზე იმსჯელებდნენ. კითხვა მარტივი იყო: როდის უნდა გამოეყოს ქართული ფეხბურთი საბჭოურს. ერთი ჯგუფი დაუყოვნებლივ გამოყოფის მომხრეა, მეორე — საბჭოთა ფეხბურთიდან ეტაპობრივად გამოსვლის.*

*ისევ „დიდი ბურთაობა":*

საბოლოოდ, ყველაფერს კენჭისყრა გაარკვევს, მაგრამ დარბაზში ზის კაცი, რომელსაც ჯერ არაფერი უთქვამს. მის სიტყვას სხვა წონა აქვს და სხვა ფასი ადევს. თუ „თავზე ხელი აიღო" და ტრიბუნასთან მივიდა, ჩათვალეთ, რომ დღის წესრიგის პირველ საკითხზე ვერდიქტი გამოტანილია. უკვე მერამდენედ უხმეს, მაგრამ ხელსაყრელი მომენტის მოლოდინში ფეხს ითრევს. იქნებ გამოსვლას სულაც არ აპირებს? იქნებ ფეხბურთზე საერთოდ ჩაიქნია ხელი და აქ მხოლოდ „სეირის საყურებლად" მოვიდა?

დარბაზიდან: ნოდარ ახალკაცი სად არის, ახალკაცი გამოვიდეს!"

სხდომის თავმჯდომარე: „სიტყვით გამოდის ახალკაცი, წარდგენა არ სჭირდება".

ნოდარ ახალკაცი: „მოკლე შესავალს ვიტყვი და მერე უშუალოდ საქმეზე გადავალ. ავადმყოფობის გამო, სამი წელია, რაც აქტიურ ფეხბურთს ჩამოვშორდი. დიდი ხანია გადაწყვეტილი მაქვს, რომ მწვრთნელად არასოდეს ვიმუშავებ. არაერთ გუნდში მიმიწვიეს, მაგრამ ფეხი არსად გამიდგამს. მიზეზთა გამო, საზოგადოების წინაშეც არ გამოვსულვარ. ამჯერად თავი მოვალედ ჩავთვალე, აქ შეკრებილთ მოვახსენო ჩემი აზრი...

დიდი საქმე მსხვერპლს ითხოვს... ახალი ფედერაცია უნდა წავიდეს პროფესიონალიზმის გზით. ფეხბურთი სპეციალისტებმა უნდა მართონ. ამ გზას თუ ავირჩევთ, მერე უკან დახევა არ იქნება. თუ ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლები დღეს მხარს გვიჭერენ და დამოუკიდებლობას მოითხოვენ, ხვალ საწინააღმდეგო არ უნდა გვითხრან... მე არ ვეთანხმები იმათ, ვინც ფიქრობს, რომ საქართველოში ფეხბურთის დონე დაეცემა. პირიქით იქნება.

ყველას გასაგონად ვამბობ, რომ საბჭოთა კავშირში ისეთი პოლიტიკური მდგომარეობაა (ექვს ქალაქში ტანკები დგანან), შეიძლება საკავშირო ჩემპიონატი ვერც დაამთავრონ... მე მგონია, დღეს ყველანი უნდა ვიყოთ აქ, საქართველოში... ასეთნაირად დავამთავრებ: როგორც დიდი ილია ბრძანებდა, ქვეყანაზე ზოგი ისეთი საგანია, თუ არ დაინახე, ვერ ირწმუნებ; ზოგიც ისეთი, თუ არ ირწმუნე, ვერ დაინახავ. მოდით, საქართველოს კარსმომდგარი თავისუფლება დავინახოთ და ფეხბურთის საქმეც ისე მოვაწყოთ, როგორც ჩვენს ხალხს ეკადრება"...

დარბაზს ტაშის ექომ გადაუარა. კამათმა აზრი დაკარგა...

თავმჯდომარე: „ვინ არის მომხრე, რომ კიდევ ერთი წელი ვითამაშოთ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში? — თხუთმეტი კაცი. წინააღმდეგი?... უმრავლესობა. თავი ვინ შეიკავა — სამმა. ხმების აბსოლუტური უმრავლესობით გადაწყდა: ფეხბურთის ახალი და დამოუკიდებელი ფედერაცია შეიმუშავებს ეროვნული ჩემპიონატის დებულებას. დღეიდან უარს ვაცხადებთ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში მონაწილეობაზე..."

(მქუხარე ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან. დარბაზში ფრიალებს ეროვნული დროშები).

არჩევანი გაკეთებულია. ამ წუთიდან ქართული ფეხბურთი ახალ ცხოვრებას იწყებს.

მშვიდობით, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატო...

*ყრილობამ ერთი საქმე მოილია, თუმცა დადგა არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხის ჯერი. ვინ უხელმძღვანელებს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას?*

*მივყვეთ „დიდ ბურთაობას":*

ასახელებენ კანდიდატებს ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე:

ნოდარ ახალკაცი, მანუჩარ მაჩაიძე, კახი ასათიანი, ვლადიმერ ბარქაია, ზურაბ პეტრიაშვილი, ილია დათუნაშვილი.

ბარქაია: „ჩემს თავს აცილებას ვაძლევ".

მაჩაიძე: „ამ თვენახევრის წინ, საინიციატივო სხდომაზე, ვისაუბრეთ შესაძლო კანდიდატებზე და არჩევანი კახი ასათიანზე შევაჩერეთ... ჩემს კანდიდატურას მაშინვე აცილება მივეცი და ახლაც იგივეს ვადასტურებ. ვასახელებ ასათიანს. გთხოვთ, ამ საკვანძო მომენტში მაინც გაითვალისწინოთ სპეციალისტთა აზრი".

პეტრიაშვილი: „მას შემდეგ, რაც ნოდარ ახალკაცი აქ გამოვიდა, მიძნელდება კენჭი ვიყარო. ჩემს კანდიდატურას ვხსნი ბატონი ნოდარის სასარგებლოდ".

დათუნაშვილი: „დიდ მადლობას მოგახსენებთ. ჩემს თავს აცილებას ვაძლევ".

დარჩა ორი პრეტენდენტი — ახალკაცი და ასათიანი.

ახალკაცმა სათქმელი უკვე თქვა. რას იტყვის ასათიანი? ახლა მისკენ არის მიმართული დარბაზის მზერა... ყოყმანობს. აშკარაა, ბრძოლა წაგებულია. დღეს ახალკაცს ვერავინ შეაჩერებს. არადა, ერთხელ მაინც ხომ უნდა მივიდეს მიკროფონთან, თუნდაც კენჭისყრაზე უარის სათქმელად.

დარბაზი მოლოდინშია, ტრიბუნაზე კი ადის... ბუხუტი გურგენიძე (ჭადრაკის სასახლის დირექტორი): „ერთი განცხადება მაქვს. დიდი ხანია ჭადრაკის სასახლე, კიროვის პარკიც, ტერორისტების ხელშია. ირაკლი წერეთლის სახელით მოდიან და ყველაფერს ანგრევენ. ამ ბოლო დროს ასი შუშა ჩავსვით. ახლაც, როცა ყრილობა მიდის, ხულიგნებმა ჩალეწეს მარჯვენა მხარე. რაღაც გვიშველეთ".

რა ქნას ყრილობამ? „შუშალეწიებს" გამოუდგეს, კუდით ქვა ასროლინოს, თუ სხდომა გააგრძელოს?

აქეთ-იქიდან ისმის: „პროვოკაციაა", „ყრილობის ჩაშლა უნდათ", „ნუ აჰყვებით ცეკას ხრიკებს"...

*ყრილობა ფედერაციის პრეზიდენტობის დარჩენილი ორი კანდიდატის სიტყვას ელის: თუმცა იქამდე დამსწრეთ გურამ პეტრიაშვილს და დავით ყიფიანს მიმართავს. ორივემ თითქმის ერთიდაიგივე თქვა, ვიდრე რომელიმე კანდიდატს ხმას მისცემთ, კარგად დაფიქრდითო. შემდეგ სიტყვას კახი ასათიანი ითხოვს. მან თავის მხარდამჭერებს მადლობა გადაუხადა, ბოლოს კი თქვა, რომ... ვითარება შეიცვალა, ვატყობ, სახალხო ფრონტს გვაპირისპირებენ. თუ ადრე ხალხს ცენტრალური კომიტეტი ნიშნავდა, ახლა ამას სახალხო ფრონტი აკეთებს. ნოდარ ახალკაცთან რვა წელი ვიმუშავე და ცდება ის, ვინც ფიქრობს, რომ მას ცუდად ვიცნობ. თუ ახალკაცს მიაჩნია, რომ ამ დიდ საქმეს უკეთ გაუძღვება, დაიკავოს პრეზიდენტის პოსტი... შემდეგ მიკროფონთან ნოდარ ახალკაცი მიდის: მესმის, სათქვენ მიჰყავთ ეს საუბარი... ჩემი პოზიცია უკვე გაგაცანით. დღეისთვის არავითარი კონკრეტული პროგრამა არ გამაჩნია. პროგრამა ერთობლივად უნდა შევიმუშაოთ. თუ გადაწყვეტთ და ფედერაციაში რაიმე საქმეს დამაკისრებთ, მზად, ვარ ვიმუშავო...*

„დიდ ბურთაობაში" ვკითხულობთ:

თავმჯდომარე: „ასათიანს უნდა მივმართო — მოხსნით თქვენი კანდიდატურა?"

კახი ასათიანი: „მოვხსნი... ბატონმა ნოდარმა უხელმძღვანელოს ფედერაციას. ვუსურვებ, ბევრი გაეკეთებინოს ჩვენი ეროვნული მოძრაობისთვის".

ხმა დარბაზიდან: „თქვენი ბრალია, რომ მოხსნა... ემოციებზეა ყველაფერი. ასე როგორ შეიძლება. იძულებით მოახსნევინეთ კანდიდატურა. ახალკაცს იმიტომ ვირჩევთ, რომ ყველაფერში გვეთანხმება. კაცმა თქვა, ავად ვარო... ნახევარი სეზონი ტელეფონით ხელმძღვანელობდა გუნდს. ახლაც ასე აპირებს? (ხმაური). დასახელდა ასათიანი და უყარეთ კენჭი".

თავმჯდომარე: „რაკი ერთი პრეტენდენტი დარჩა, ავცხობებს, ღია კენჭისყრა მოვაწყოთ... ვინ არის მომხრე, ნოდარ ახალკაცი არჩეულ იქნას ფედერაციის პრეზიდენტად? გთხოვთ, მანდატების აწევით დაადასტუროთ. გთხოვთ, დაუშვათ. ვინ არის წინააღმდეგი? ექვსი კაცი. თავი ვინ შეიკავა? — ხუთმა. ამგვარად, ხმის უმრავლესობით ნოდარ ახალკაცი არჩეულია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად".

# ოლიმპის არჩევანი გზაშია

## მამუკა გუგეშაშვილი: ლიდერთა ჯგუფში ოლიმპი ყველაზე ღარიბია



„ჩვენ ჯერ არ გვყავს ევროტურნირებისთვის მომწიფებული გუნდი. აქ ლაპარაკი არაა ლუქსემბურგისა და ფარერების დონეზე: ჩვენი მიზანია, „ოლიმპი" ღირსეულ გუნდებთან იყოს კონკურენტუნარიანი" — გვითხრა „ოლიმპის" ერთ-ერთმა დამფუძნებელმა მამუკა გუგეშაშვილმა. „ოლიმპი" ეროვნული ჩემპიონატის ლიდერია და ტრიუმფამდე ცოტაღა უკლია; 13 მაისს კი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის არჩევნებია — გუგეშაშვილს სწორედ ამ თემებზე ვესაუბრეთ...



— რამდენიმე კლუბმა და რეგიონულმა ფედერაციამ არჩევნებთან დაკავშირებით თავიანთი პოზიცია დააფიქსირეს. „ოლიმპი" რომელ კანდიდატს უჭერს მხარს?

— გადაწყვეტილება ჯერ არ მიგვიღია. 11 მაისს შევიკრიბებით და მაშინ გავარკვევთ.

— „ოლიმპიდან" ხმის მიცემის უფლება კლუბის დამფუძნებელ ტარიელ შავერდაშვილს აქვს...

— შავერდაშვილი ამჟამად ბრიტანეთშია, 11-ში აქ იქნება და ახალკაც-ნემსაძეს შორის გავაკეთებთ არჩევანს.

— გასაგებია. ახლა „ოლიმპის" ინფრასტრუქტურაზე ვთქვათ: სტადიონის რეკონსტრუქციის თაობაზე რა სიახლეებია?

— ტაბლო, განათება და გასახდელები ერთ თვეში გაკეთდება. მინდვრის საფარის გამოცვლა კი ევროტურნირებამდე ვერ ესწრება. მიუხედავად ამისა, საევროპო მატჩებს რუსთავში ვითამაშებთ. ამასთან, „ფოლადის" სტადიონთანვე კეთდება ბაზა თავისი სამსართულიანი სასტუმროთი. სასტუმრო თითქმის უკვე აშენებულია და გუნდი სწორედ იქ იცხოვრებს.

— მდევარ „დინამოს" სამი ქულით უსწრებთ და, ასე ვთქვათ, ჩემპიონობასთან ახლოს ხართ. დარჩენილ სამ ტურში ალბათ ყველაფერს „ამერთან" თამაში გაარკვევს...

— რა თქმა უნდა, „ამერთან" მატჩი ბევრს გადაწყვეტს, მაგრამ მანამდე გორში „დილას" ვესტუმრებით და ძნელ თამაშს ველი. შედარებით იოლი იქნება ბოლო ტურის შეხვედრა „ტორპედოსთან" და ყველაფერს უნდა ვეცადოთ, რათა ქუთაისში ჩასვლამდე „დინამოსთან" ჰანდიკაპი შევინარჩუნოთ.

— ამ ფორმაციის „ოლიმპი" რომ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე გავიდეს, რამდენად კარგად ითამაშებს?

— ამ შემადგენლობით ძალიან გაგვიჭირდება. გავხდებით ჩემპიონები თუ ვერა, გაძლიერება ყველა ვარიანტში გვჭირდება. უცხოურ ბაზარზე აქტიურად ვმუშაობთ და შესაძლოა, ლეგიონერები დავიმატოთ. განსაკუთრებით კი კარგი თავდამსხმელის დამატება გვინდა, რადგან ამ ხაზში შედარებით ბევრი პრობლემა გვაქვს.

— რევაზ ძოძუაშვილი „ოლიმპის" მწვრთნელის პოსტს დატოვებსო, გადაწყვეტილი ამბავია?

— დიახ, ძოძუაშვილი სეზონის დასრულების შემდეგ მიდის. როგორც ვიცი, მას თურქული გუნდიდანაც აქვს მიწვევა.

— მიუხედავად იმისა, რომ ლიდერები ხართ, ხშირად შევსწრებივართ რუსთაველი გულშემატკივრების გულისწყრომას, „ოლიმპის" თამაშის ხარისხი პირველი წრის შემდეგ გაუარესდაო.

— პირადად მე „ოლიმპის" თამაში მომწონს თუ არა, სხვა საქმეა. გუნდის მართვა რევაზ ძოძუაშვილის პრეროგატივაა, თანაც ახლა ჩემპიონატის ბოლოა და ხარისხზე მთავარი შედეგია.

— ორიოდ სიტყვით მიმდინარე სეზონი შევაფასოთ: სათამაშო თუ ორგანიზაციული დონით შარშანდელთან შედარებით რა შეიცვალა?

— ჩემი აზრით, ამ სეზონში უფრო ბევრი კარგი თამაში ვნახეთ, ვიდრე შარშანდელში — წმინდა სათამაშო დონეს ვგულისხმობ. პირველი ექვსეულის გუნდების შეხვედრები ყოველთვის დაძაბულია და სანახაობაც მეტ-ნაკლებად არ დაიწუნება, მაგრამ ბევრი სუსტი გუნდიცაა, რომლებსაც კონკურენციის გაწევა არ შეუძლიათ.

— თვლით, რომ ათგუნდა ჩემპიონატი უმჯობესია?

— თუ თვრამეტი წელგამართული კლუბი იქნება, იყოს 18-გუნდიანი ჩემპიონატი, მაგრამ სად არიან? ჩემი აზრით, ამჟამინდელი „ოლიმპის" ფინანსური მდგომარეობა უმაღლესლიგელი კლუბისთვის მინიმუმი უნდა იყოს, ანუ ფინანსურად ჩვენზე სუსტი გუნდი უმაღლესში არ უნდა თამაშობდეს. ლიდერთა ჯგუფში „ოლიმპი" ყველაზე ღარიბია.

— კი, მაგრამ, ისეც მომხდარა, ჩემპიონატის წინ კლუბებს ფინანსური გარანტია წარუდგენიათ და ჩემპიონატის მსვლელობისას შექმნიათ პრობლემა...

— ამიტომაც თანხა წინასწარ უნდა იყოს წარდგენილი.

**ილია ნანობაშვილი**

# სხვები ვიცით, ჩვენი არა

## ელიტ-რაუნდა და — მარტო პირველი ადგილი

**საქართველოს** 19-წლამდელთა ნაკრები 23-28 მაისს შოტლანდიაში ევროპის ჩემპიონატის ელიტ-რაუნდში ითამაშებს. ჩვენი მეტოქეები მასპინძელ სქოთებთან ერთად პორტუგალიისა და თურქეთის ნაკრებები იქნებიან.

19-წლამდელთა მწვრთნელი ჰაინც ტოპმიოლერი საშოტლანდიო თვრამეტეულს ორშაბათს, 14 მაისს დაასახელებს, გუნდი 16-ში შეიკრიბება, მეორე დღეს კი ბრიტანეთში გაფრინდება და შეკრებასაც იქ გაივლის. აქვე შეგახსენებთ, რომ 19-წლამდელებს ბოლო შეკრება გერმანია-ლუქსემბურგში ჰქონდათ, სადაც გერმანელ თანატოლებთან 0:2 დამარცხდნენ, ლუქსემბურგის „ვიქტორიას" 2:1 მოუგეს და ამავე ანგარიშით დაამარცხეს ლუქსემბურგელივე 21-წლამდელები.

უსაქმოდ არც ჩვენი მეტოქეები მსხდარან. შოტლანდიამ ავსტრიას ამხანაგურად უმასპინძლა და 2:0 მოუგო. თურქეთი კი ორჯერ გაეჯიბრა პოლონეთს, პირველ მატჩში 2:2 იყო, მეორე კი თურქებმა 2:0 მოიგეს.

სამივე მეტოქემ უკვე დაასახელა შემადგენლობა და შოტლანდიელები ამ ფეხბურთელებით დაგვიხვდებიან: გრეგ პატერსონი (დანფერმლაინი), ალან მარტინი (მოზერუელი), ბრაიან ალისონი, ტომას სკობი (ფოლკირკი), პოლ კადისი, მარკ მილერი (სელტიკი), სტივენ კინბურგი, ენდრიუ შინი, სტივენ ლენონი (რეინჯერსი), დარენ მაკკორმაკი, ლუის სტივენსონი (ჰიბერნიანი), კეიტ უოტსონი, რაიან მაკკორდი, დევიდ გუდვილი (დანდი იუნაიტედი), რაიან ფლაინი (ლივერპული), ენდრიუ ბაგშოუ, კრის მაგუარი (აბერდინი), ფლეიზერ მაკლარენი (ეირი).

თურქთა მწვრთნელი **თოლუნაი კაფკასი**, რომელიც თავის დროზე შოთა და არჩილ არველაძეების თანაგუნდელი იყო „ტრაბზონსფორში", შოტლანდიაში ასეთი შემადგენლობით ჩავა: ანილ ქარაერი (გალათასარაი), ულურ დემიროკი (გაზიანთეფი), ფერჰატ ქირაზი (გენჩლერი), ოზგურჯან ოზჯანი (ქაისერი), მურატ დურუერი (ანკარაგიუჯიუ), ემრე ბალაქი, სამეტ ქილიჩი (სამსუნი), ატილა ოზმენი (ალთაი), ერკან ფერინი (ისთანბული), ონურ რეჯეფ ქიურაქი (ქარშიაქა), მუსტაფა ფექტემექი (სარიერი), მურატ ჩეილანი (გაზქი), უმუთ ქოჩინი (არმინია), აბდულა ქესეროღლუ, თეფიქ ქოსე (ლევერკუზენი), დენიზ ილმაზი (ბაიერნი), ფერჰათ ნიქმაზი (ჰანოვერი), აიქუთ დემირი (ბრედა).

პორტუგალიელთა თავკაცის **ედგარ ბურშესის** განკარგულებაში იქნებიან: ივან სანტუში, პედრო ტრიგუეირა (ბოავიშტა), ჟოზე როდრიგესი, პედრო სანტუში (კასა პია), ვილსონ სილვა (ამადორა), კარლოს ალვეში, მარკო პინტუ (ბელენენსეში), კარლოს ფრეიტასი (მარიტიმუ), ანდრე კასტრო, ბურა, კანდეიასი, მონტეირო, რუი პედრო (პორტუ), ფილიპე პინტუ, ორლანდო სა, შტელვიო კრუზი (ბრაგა), ჟოაო რიბეირო, ნუნუ ფერეირა (ბენფიკა), ჟოაო გონსალვეში, ჟოაო მარტინსი, რიკარდუ ნოგუეირა, ტიაგო პინტუ (სპორტინგი), ლუიშ პორტელა (სეტუბალი).

შეგახსენებთ თამაშების განრიგსა და რეგლამენტს:

23 მაისი

**პორტუგალია — საქართველო**

**შოტლანდია — თურქეთი**

25 მაისი

**შოტლანდია — საქართველო**

**პორტუგალია — თურქეთი**

28 მაისი

**თურქეთი — საქართველო**

**შოტლანდია — პორტუგალია**

ჯგუფიდან მხოლოდ გამარჯვებული გადის, რომელსაც კიდევ ექვსი ჯგუფის გამარჯვებული და ფინალური ეტაპის მასპინძელი ავსტრია დაემატება და კონტინენტის ჩემპიონის ვინაობა ამათში გაირკვევა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**


დაესწარი უმაღლესი ლიგის თამაშებს

გამოიცანი თერთმეტი მატჩი

მიიღე მონაწილეობა წამახალისებელ ლატარიაში

ჯეკპოტი გახდა 4000 ლარი!!!

ჩვენი მიზანი თქვენი მოგებაა!

ბილეთის ფასი 2 ლარი



საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

საინფორმაციო მხარდაჭერა

ოლიმპი სარბიელი

12.05.2007 - 24-ე ტურის გათამაშების ცხრილი

| | |
|---|---|
| ბორჯომი-კახეთი | დინამო (ბთ)-ჩიხურა |
| სიონი-ზესტაფონი | კარლსრუე-ფრაიბურგი |
| ტორპედო-ლოკომოტივი | ხიმკი-სატურნი |
| მერანი-ამერი | რუბინი-ამკარი |
| დილა-ოლიმპი | ამერი-2-ვიტ ჯორჯია-2 |
| დინამო (თბ)-ვიტ ჯორჯია | |

იყიდება

6 000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი ნუცუბიძის IV მ/რ ახლოს, სოფელ-აგარაკთან, მუხათწყაროს გზის ნაპირზე.

ფასი შეთანხმებით. ტელ: 893 42-74-94

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯიბის პრემია და ერთიც ბოდიში

## რონალდუ მაურინიუს შეურიგდა




**„მანჩესტერ იუნაიტედი“** ინგლისის ჩემპიონი გახდა, ეს ფაქტია!

ახლა კითხვა: როგორ ფიქრობთ, რა თანხა მიიღო პრემიად კრიშტიანუ რონალდუმ?

მარჩიელობას არ დაგაწყებინებთ, პირდაპირ გეტყვით: ოთხი დღის ხელფასი!

ფეხბურთელისთვის, რომელიც კვირაში 120 ათას გირვანქას იღებს, 68 ათასი, დაგვეთანხმებით, ჯიბის ფულია.

მაგრამ, ჯიბისაა ფული თუ პორტმანის, ასეა: „მანჩესტერ იუნაიტედის“ შეფებმა, ძმებმა გლეიზერებმა იფიქრეს, იფიქრეს და დაასკვნეს — ჩვენი ფეხბურთელები ისედაც დიდ თანხებს იღებენ და პლუს ვეებერთელა პრემიების მიცემა გვარიანი სისულელე, არარენტაბელური და ნაირგვარი კრიტერიუმით მცდარი გადაწყვეტილება იქნებაო.

როგორც იტყობინებიან, უფროსობამ მანჩესტერელი ფეხბურთელები ჯამში 1 მილიონ გირვანქაზე გადაატარა.

რა პრინციპით გაყვეს ეს ფული? რატომ მისცეს კრიშტიანუ რონალდუს ოთხი დღის ხელფასი და არა სამის ან ხუთის? თურმე, სინამდვილეში, ხელფასი არაფერ შუაში ყოფილა. მანჩესტერელ შეფებს ფულის განაწილების პრინციპად თითოეული მოთამაშის მიერ ჩატარებული მატჩების რაოდენობა აუღიათ და გამოსულა, რომ ერთი მატჩი დაახლოებით 2 ათასი გირვანქაა. კრიშტიანუ რონალდუს, უეინ რუნისა და რიო ფერდინანდს 33 მატჩში 33-ჯერ ორიათას რალაცა რგებიათ და თანხა, რომელმაც მეორენაირად პორტუგალიელის ხელფასის ოთხი დღე შეადგინა, ასე გამოსულა.

და კიდევ: „ჟოზე მაურინიუმ დამირეკა და ბოდიში მომიხადა. ამიერიდან ჩემსა და მას შორის პრობლემა არ არის. მიხარია, რომ ყველაფერი ასე დამთავრდა. რამდენადაც ვხვდები, ისტორია ამოწურულია“ — თქვა კრიშტიანუ რონალდუმ, რომელზეც „ჩელსის“ მწვრთნელმა, მისებრ პორტუგალიელმა ჟოზე მაურინიუმ ერთი ხნის წინ თქვა, გაუნათლებელიაო.

თუ რატომ უწოდა მაურინიუმ რონალდუს გაუნათლებელი, სხვა და ცნობილი ისტორიაა...

**ბაჰუნა ძედია**



# დამისხი, დამალევინე...

## ეს მილანის ლივერპულთან გამარჯვებას გაუმარჯოს!

**ვინ** თქვა, ინგლისურ ფეხბურთში ცინიზმი და ენამწარეობა პორტუგალიიდან შევიდაო?!

ვინ ჟოზე მაურინიუ, რის ჟოზე მაურინიუ — სერ ალექს ფერგიუსონი!

აი, ვინ არის „მაინც გემზის“, ანუ ნერვების შლისა და ტვინის ბურღვის ნამდვილი ოსტატი!

ცინცხალი მაგალითი გნებავთ? ინებეთ: სერ ალექსმა განაცხადა, რომ 23 მაისს, ათენში, ჩემპიონთა ლიგის ფინალში „მილანი“ „ლივერპულს“ მოუგებს, ხოლო თავად კარლო ანჩელოტის გამოგზავნილი ღვინით ამ მოგების სადღეგრძელოს შესვამს.

თურმე ნუ იტყვით და, „ლივერპულს“ „მილანი“ მოუგებსო, ფერგიუსონს თავად ანჩელოტისთვისაც უთქვამს.

„შემიძლია, რაგინდარა ნაძლევს ჩამოვიდე, რომ ჩემპიონთა ლიგის ფინალში „მილანი“ გაიმარჯვებს. ამაში აბსოლუტურად ვარ დარწმუნებული. ჩვენი ნახევარფინალის დამთავრების შემდეგ კარლოს ვუთხარი, რომ ამიერიდან მისი გამჩერებელი აღარავინ არის. გამორიცხულია, მის გუნდს „ლივერპულმა“ აჯობოს. ეს რომ ვუთხარი, კარლომ ერთი ბოთლი დიდებული ღვინო მაჩუქა, მე კი იმწუთას განვუმარტე, თუ ფინალში წააგებ, ეს საჩუქარი ოხრად დარჩება-მეთქი. ამით კარლოს გავაგებინე, რომ ბოთლს მხოლოდ „მილანის“ გამარჯვების შემთხვევაში გავხსნი“.

შეგახსენებთ, რომ „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და „მილანის“ ორმატჩიან დაპირისპირებაში ჯერ მანჩესტერელებმა გაიმარჯვეს 3:2, ხოლო შემდეგ მილანელებმა 3:0.

ფერგიუსონი: „მილანელებმა მეორე შეხვედრაში ფანტასტიკურად, გამორჩეულად დაგვამარცხეს. ვიცი, ჩვენ პრემიერლიგაში „ევერტონთან“ 0:2-ის 4:2-ად შემოტრიალებამ წაგვართვა დიდი ძალა. იმ დღეს „მილანი“ ჩვენზე დასვენებული და, როგორც ტაქტიკურად, ასევე ფიზიკურად უკეთ მომზადებული იყო. მე დღემდე ვცდილობ, გავაანალიზო, რა ფაქტორებმა იმოქმედეს იმ მატჩის შედეგზე, თუმცა მე რაც არ უნდა ვთქვა, ფაქტი ფაქტად დარჩება: იმ დღეს „მილანმა“ მთელი თავისი ისტორიის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ითამაშა“.

**ბაჰუნა ძედია**

# ტერიმ იცის, რა სტკივა შევჩენკოს

## სად არის ჩვენი ფორვარდი? ეძიეთ იქ, სადაც... ყვანჯია






**ანდრეი შევჩენკოს** ამბავი ყველას კარგად მოგეხსენებათ — ბოლოხანს გაჩნდა ეჭვი, რომ უკრაინელი ვარსკვლავი „ჩელსისთვის“ თავგამოდებით არ თამაშობს, ხოლო „ლივერპულთან“ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალური მატჩის წინ ისიც კი ითქვა, რომ ანდრეიმ ტრავმა მოიგონა.

ცნობისთვის: შევჩენკომ სამშაბათს საზარდულის ოპერაცია გაიკეთა.

თემას, ბუნებრივია, ათასგვარი გაგრძელება მოჰყვა. ითქვა, რომ შევჩენკო, ისევე, როგორც გერმანელი მიხაელ ბალაკი, ჟოზე მაურინიუმ მოიძულა და მათი მოშორება სურს — ბალაკმა მაურინიუს ნებართვის გარეშე და სურვილის საწინააღმდეგოდ ოპერაცია გაიკეთა.

თავიანთ მხრივ, ცხადია, როგორც ერთი, ასევე მეორე ფეხბურთელი, იმას, რაც მათ გარშემო ხდება, გაუგებრობას უწოდებს, თუმცა კონკრეტულად რა და როგორ იყო, ჩვენთვის უცნობია.

სამაგიეროდ, მომხდარის შევჩენკოსეული ვარიანტი ცნობილია „ჩელსის“ კაპიტან ჯონ ტერისთვის. ტერი არათუ „ჩელსიში“, მთელს ინგლისში ავტორიტეტული კაცია და მას მაურინიუსთანაც ეთქმის თავისი სიტყვა. ჰოდა, სწორედ ამიტომ შეხვედრია შევჩენკო ერთ-ერთი ვარჯიშის დროს თუ შემდეგ ტერის და თავისი საწუხარი გაუმხელია.

როგორც ინგლისური პრესისთვის უკრაინელის ერთ-ერთი ახლობლისგან გახდა ცნობილი, შევჩენკო „ჩელსიდან“ არსად წასვლაზე არ ფიქრობს და დიდი იმედი აქვს, რომ სექტემბრიდან გუნდის მნიშვნელოვან ფიგურად გადაიქცევა.

როგორც ამბობენ, ტერის თანაგუნდელის გულახდილობა და პრობლემები თავადაც გულთან ახლოს მიუტანია და მხარში დადგომასაც დაპირებია.

სახალისო ეპიზოდი კი აი, რა იყო: წინა ტურში, „ემირატ სტედიუმზე“, „არსენალისა“ და „ჩელსის“ დაპირისპირების წინ, გასახდელიდან თავისი ადგილისკენ მიმავალ ჟოზე მაურინიუს იქ რაღაც მანქანებით მოხვედრილი „ლურჯების“ ორი ქომაგი გადაღობვია და უკითხავთ, შევჩენკო სად არისო. მაურინიუს პასუხად მეგოლფის მოძრაობა გაუკეთებია — გოლფს თამაშობსო.

ქომაგებს გაკვირვებიათ და კითხვა გაუმეორებიათ, კაცო, შევჩენკო სად არისო. პასუხად, პორტუგალიელს ისევ ყვანჯით ბურთის დარტყმა განუსახიერებია.

დიახ, ამბობენ, რომ ანდრეი შევჩენკო ბოლო დროს გოლფზე გადაირია.

ასე იცის მილიონერობამ...

**ბაჰუნა ძედია**

# რიგები რიბერიზე

## საფრანგეთი და გერმანია არა, დანარჩენებმა კი იმოქმედეთ



**ზაფხულის** სატრანსფერო ბაზარზე გრანდების ერთ-ერთი მთავარი სამიზნე ფრანკ რიბერი იქნება. ფრანგ შემტევ ნახევარმცველს „მარსელთან" ხანგრძლივი კონტრაქტი კი აკავშირებს, მაგრამ დიდი შანსია, სეზონის ბოლოს მაინც დატოვოს გუნდი.

რიბერის უამრავ მსურველს შორის არიან „ლიონი" და მიუნხენის „ბაიერნიც", მაგრამ 24 წლის ფეხბურთელმა ეს ვარიანტები აქედანვე გამორიცხა.

„შარშან ზაფხულს „ლიონი" მართლაც იყო დაინტერესებული ჩემით, თუმც მე მხოლოდ უცხოეთზე ვფიქრობ. თუ „მარსელს" დავტოვებ, უცხოურ გუნდში გადავალ. გერმანია, როგორც ქვეყანა და მისი ჩემპიონატი დიდად არ მიზიდავს, ინგლისს, ესპანეთსა და იტალიას ვამჯობინებ. ჩემი ოცნების კლუბები? „მანჩესტერ იუნაიტედი", „არსენალი", „ჩელსი", „რეალი", „ბარსელონა" და „მილანი". ფული გადამწყვეტ როლს არ ითამაშებს, რადგან იგი ყველა ჩამოთვლილ კლუბს აქვს. უბრალოდ, ხშირად თამაში მინდა. „მარსელიდან" იმიტომ არ წავალ, რომ სათადარიგოთა სკამზე ვიჯდე" — თქვა რიბერიმ.

ნიჭიერ ფრანგს მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში სურს თამაში. ამიტომ თუ „მარსელი" სამეულში ვერ მოხვდა, მისი ტრანსფერის შანსები ერთიორად გაიზრდება. საფრანგეთის ჩემპიონატის დასრულებამდე 3 ტურით ადრე „ველოდრომის" ბინადრები მეოთხე ადგილზე არიან და მეორე-მესამეზე მყოფ „ლანსსა" და „ბორდოზე" ერთი ქულით ნაკლები აქვთ.

ფრანკ რიბერი: „როცა „მარსელს" დავტოვებ, მინდა, ეს თავაწეულმა გავაკეთო. ჩემი მიზანი ჩემპიონთა ლიგაში თამაშია და თუ „მარსელი" ლიგის საგზურს მოიპოვებს, ძალიან გამიხარდება. ყველაფერს გავაკეთებ, რათა ამას მივაღწიოთ. დანარჩენი კი სეზონს ბოლოს გამოჩნდება".

**გიორგი ქაქაბაძე**

## ფრინგსმა გულს დაუჯერა

**„ვერდერმა"** დაადასტურა, რომ ტორსტენ ფრინგსმა „იუვენტუსში" გადასვლა იუარა და ბრემენულ კლუბთან კონტრაქტი გაახანგრძლივა.

— „იუვემ" ძალიან კარგი გარიგება შემომთავაზა, მაგრამ „ვერდერი" ჩემს გულში ისე ზის, რომ ვერ ვუღალატებ. დიდხანს ვიფიქრე და ასე გადავწყვიტე" — განაცხადა 31 წლის ნახევარმცველმა, რომელიც „მუსიკოსებში" 2011 წლამდე დარჩება.

## დარშევილი ჩაფარია

**გლაზგოს** „რეინჯერსმა" ოფიციალურად დაადასტურა „ბორდოდან" ჟან-კლოდ დარშევილის ტრანსფერი. ფრანგ ფეხბურთელს ჟირონდულ კლუბთან კონტრაქტი ამ სეზონის ბოლოს უმთავრდება და „ჩაფრებთან" ორწლიან ხელშეკრულებას გააფორმებს.

ჯერ კიდევ ალექს მაკლიშის მწვრთნელობისას უნდოდა „რეინჯერსს" ფრანგის ყიდვა, მაგრამ ვერ მოახერხა. დარშევილმა „ბორდოს" კონტრაქტის გახანგრძლივებაზე უარი უთხრა და „მონაკოში" გადასვლაც არ ისურვა.

ეს უკვე გლაზგოელთა მესამე შენაძენია — მათ „ფოლკირკიდან" თავდამსხმელი ალან გო, „სენტ მირენიდან" კი მცველი კირკ ბროდფუტი იყიდეს.

## 100 ათასი კაცზე

**„ლივერპული"** მეექვსედ თუ მოიგებს ჩემპიონთა თასს, თითოეულ ფეხბურთელს 100 ათას გირვანქას ჩაუთვლიან. ამ თანხას მიიღებს მწვრთნელიც თავისი თანაშემწეებით.

ზუსტად ამდენივე ჩაიჯიბეს ლივერპულელებმა ორი წლის წინ, როცა დრამატულ ფინალში „მილანს" პენალტების სერიაში სძლიეს. წლეულს კი ფინალი 23 მაისს ათენში გაიმართება.

## ბუდას ლიგა უნდა

**ივან დე ლა პენიას** აგენტმა მანუელ ფერერმა განაცხადა, რომ, შესაძლოა, მისი კლიენტი „ვალენსიაში" გადავიდეს. „პატარა ბუდას" „ესპანიოლთან" კონტრაქტი სეზონის ბოლოს ეწურება, გახანგრძლივებას კი არ ჩქარობს, რადგან უკეთესი კლუბები ეპატიჟებიან.

„ღამურების" მწვრთნელი კიკე ფლორესი დე ლა პენიას გადაბირებით ძალიან დაინტერესებულია.

მანუელ ფერერი: „ვალენსიას" ჩემპიონთა ლიგაში თამაშის კარგი შანსი აქვს და ჩემს კლიენტსაც უპირველესად ეს უნდა. სეზონის დასრულებამდე გაირკვევა, სად გადავა დე ლა პენია".

**გაჟა ხუციშვილი**





# ფეხბურთის მკვლელებო!

## ვალდანომ მაურინიუ და ბენიტესი ნეხვში ამოსვარა

**ჯოხზე** ჩამოკიდებულ ნეხვს შეადარა ხორხე ვალდანომ „ლივერპული" — „ჩელსის" ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალური მატჩები და მწვრთნელები ფეხბურთის მკვლელობაში დაადანაშაულა.

1986 წლის ფინალში გოლის გამტანმა არგენტინელმა, ვინც საფეხბურთო წრეებში ინტელექტუალადაა ცნობილი, თქვა, რომ ჟოზე მაურინიუ და რაფაელ ბენიტესი ტალანტებს კლავენ, რადგან თვითონ ცუდი ფეხბურთელები იყვნენ, მათი ტაქტიკა კი თამაშს დალუპავს.

„ფეხბურთი შექმნილია ემოციების გამოსახატავად და ამ მხრივ „ენფილდი" შეუდარებელია — განაცხადა ვალდანომ — მაგრამ ნეხვის ნაჭერიც რომ ჩამოკიდონ ჯოხზე და სტადიონის შუაში შეიტანონ, ზოგმა გულშემატკივარმა შეიძლება თქვას, ხელოვნების ნიმუშია და ნახეთ, რა მაგარიაო. მაგრამ ასე არ არის, მე ვფიქრობ, რომ ის, უბრალოდ, ჯოხზე ჩამოკიდებული ნეხვია და არა ხელოვნების ნიმუში. „ჩელსი" და „ლივერპული" არის ყველაზე ნათელი მაგალითი იმისა, საით მიდის ფეხბურთი. თამაში გახდა ძალიან მძიმე, გუნდური, ტაქტიკური, ფიზიკური და სწორხაზოვანი. კი მაგრამ, მოკლე პასი? არა! ფინტი? არა! ტემპის ცვლა? არა! ერთი შეხებით თამაში? არა! ეს სასაცილო არ არის. ორივე მატჩი ისე ითამაშეს, რომ შემოქმედების ნატამალი ვერ ვნახეთ. დიდიე დროგბა პირველ შეხვედრაში საუკეთესო იმიტომ იყო, რომ სხვებზე სწრაფად დარბოდა, მაღლა ხტებოდა და მაგრად ეჯახებოდა მეტოქეებს. ასეთ ფეხბურთში ნიჭი ვერ გაიხარებს. თუ ფეხბურთი ამ გზით წავა, მზად უნდა ვიყოთ შემოქმედებით და აზრიან თამაშთან გამოსათხოვრად, რომლითაც მთელი საუკუნე ვხარობდით".

გაბრაზებულმა ვალდანომ ახსნა, თუ რატომ უარყოფენ მაურინიუ და ბენიტესი სილამაზეს და შემოქმედებას: „მათ ფეხბურთელობისას ვერაფერს მიაღწიეს და მწვრთნელობაში ცდილობენ სახელის მოხვეჭას. ეს დღემდე ვერ დაიკმაყოფილეს და ამიტომაცაა, რომ თავიანთ გუნდებში ყველა წვრილმანს აკონტროლებენ. ნიჭს გასაქანს არ აძლევენ. ჰოდა, ვინც უნიჭო ფეხბურთელი იყო, მწვრთნელობისასაც არ ენდობა ტალანტებს და ისეთ გუნდებს აკეთებენ, როგორიც მაურინიუმ და ბენიტესმა შექმნეს".

**გაჟა ხუციშვილი**

# მესის თავში ხელის ადგილი არაა



**ოდესღაც პატარა მესი „ბარსელონას" სათადარიგოთა სკამზე იჯდა და ფეხებს მიწამდე ვერ აწვდენდა, ახლა კი ისე გაიზარდა, რომ დიეგო მარადონას ადარებენ. „ხეტაფესთან" სათასო მატჩში გატანილმა დიეგოსებურმა გოლმა პატარა არგენტინელი საფეხბურთო სამყაროში უცბად პირველ კაცად აქცია. UEFA.COM-თან მისი ინტერვიუ ქომაგთა კითხვებზეა აწყობილი...**

**— რას გრძნობთ, როცა მარადონას გადარებენ?**

— არაერთხელ შემადარეს, რაც დიდი პატივია ჩემთვის, მაგრამ ამის წინააღმდეგი ვარ. ის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი იყო და ვერავინ დაეტოლება.

**— ძალიან ბევრ კლუბს უნდა თქვენი გადაბირება. რას ელით მომავლისგან?**

— მართალი გითხრათ, არ ვიცი. „ბარსელონასთან" ოთხწლიანი კონტრაქტი მაქვს. აქ გავიზარდე და ძალიან შევეჩვიე. ვერც წარმომიდგენია თავი სხვა გუნდში.

**— ბავშვობაში ზრდის ჰორმონებთან დაკავშირებული პრობლემები გქონდათ. მაგრამ მიუხედავად ამისა, ბრწყინვალედ თამაშობთ. როგორ ახსნით ამას?**

— პატარა რომ ვიყავი, არ მესმოდა ჩემი დაავადების არსი. ახლა კი, როცა იმ დროს ვიხსენებ, შემიძლია, ვთქვა, რომ სიდაბლის გამო ბურთის კარგად კონტროლი ვისწავლე, რაც ძალიან გამომადგა.

**— „რეალთან" შესრულებული ჰეთ თრიქი უფრო გაგიხარდათ თუ „ხეტაფესთან" გატანილი გოლი?**

— მიჭირს გამორჩევა, რადგან ორივე განსაკუთრებულია. „რეალთან" მატჩი არასოდეს დამავიწყდება. ის ჰეთ თრიქი ხომ ჩემს კარიერაში პირველი იყო, თან მთავარ მეტოქესთან. „ხეტაფესთან" გატანილი გოლი კი ალბათ ყველაზე ლამაზი გახლდათ და სხვა ფასი აქვს.

**— რას ფიქრობდით „ხეტაფესთან" იმ რეიდისას?**

— ისე სწრაფად მოხდა ყველაფერი, გააზრებაც ვერ მოვასწარი, მაგრამ მივხვდი, რომ მარადონასავით გავიტანე.

**— ვინ იქნება „ბარსელონას" ლიდერი რონალდინიოს წასვლის შემთხვევაში?**

— რონალდინიოს გარეშე „ბარსა" წარმოუდგენელია. ვიმედოვნებ, ის სამუდამოდ დარჩება გუნდში, რადგან ბრწყინვალე ფეხბურთელი და კარგი მეგობარია.

**— ვინაა მსოფლიოს უდიდესი მოთამაშე და ვინ გახდება საუკეთესო რამდენიმე წლის შემდეგ?**

— ყველა დროის საუკეთესო მარადონაა. ამჟამად ბევრი კარგი ფეხბურთელია და მათ შორის რონალდინიოს გამოვარჩევ, მომავალში კი, ვინ იქნება, ძნელი სათქმელია.

**— ვინ უფრო დიდი გავლენა მოახდინა თქვენზე, მარადონამ თუ რონალდინიომ?**

— ორივე ბრწყინვალეა და აღფრთოვანებული ვარ მათი თამაშით. ვინმეს მიბაძვას არ ვაპირებ. ვცდილობ, ვიყო ლიონელ მესი და არავის დავემსგავსო.

**— რას ელით არგენტინის ნაკრებისგან მომავალ კოპა ამერიკაზე?**

— ეს ტურნირი ძალიან მომწონს და, დარწმუნებული ვარ, არგენტინა მოსაგებად თავს არ დაზოგავს. საკმაოდ კარგი შანსი გვაქვს.

**— რომელ გუნდს ქომაგობდით ბავშვობაში და გქონდათ თუ არა, იქ თამაშის სურვილი?**

— „ნიუელზ ოლდ ბოისში" მითამაშია და ყველაზე ახლოს ჩემს გულთან ეს გუნდია. ოდესმე, სამშობლოში რომ დავბრუნდები, ისევ „ნიუელზში" თამაშს ვისურვებდი.

**— თქვენი ტექნიკა ფუტსალის ფეხბურთელებისას წააგავს. გითამაშიათ ფუტსალი?**

— დიახ და ვფიქრობ, რომ ჩემს კარიერას იქაური გამოცდილება წაადგა.

**— მარადონას სტილში ერთი უკვე გაიტანეთ, ხელით გატანას ხომ არ აპირებთ მსოფლიოს ჩემპიონატზე?**

— მსგავსი აზრი თავში არასოდეს მომსვლია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მინდა, ჩემმა მეგობრებმა ძალიან ინერვიულონ...

მადრიდის „რეალის“ ახალგაზრდა თავდამსხმელი რობინიო მომავალ უქმეებზე „ესპანიოლთან“ მატჩს გამოტოვებს. წინა კვირას „სევილიასთან“ (3:2) ბრწყინვალე მატჩში მან მეტოქის კარში მეორე გოლი რომ გაიტანა, ისე გაუხარდა, მეორე ყვითელი ბარათი და, შესაბამისად, ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია აიკიდა...



გუტი და რობინიო

## რობინიო გოლმა გაასულელა

— „ესპანიოლთან“ მატჩს იმიტომ გამოტოვებთ, რომ „სევილიასთან“ შეხვედრაში გოლის გატანისას ზედმეტად ემოციური იყავით...

— კარგად ვითამაშე და, როცა გოლი გავიტანე, ისეთი ბედნიერი ვიყავი, ყველაფერი გადამავიწყდა, სიგიჟემდე გამიხარდა. „სევილიასთან“ მოგება ახლაც მახარებს, რადგან ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო. თუმცა გოლის გატანისას მაისურის გახდას უნდა შევეშვა, რათა ამის გამო ყვითელი ბარათი აღარ მიმეღო და გუნდი არ დამეზარალებინა... მიეღო და გუნდი არ დავაზარალო.

— ისეთი გამოხედვა გაქვთ, ყოველთვის ბედნიერი ჩანხართ...

— ასეა. ვარჯიშისასაც ბედნიერი ვარ და თამაშისასაც. მიყვარს თანაგუნდელების გამხნევება.

— რომელი მატჩი უფრო რთულია: „რეალი“ — „ესპანიოლი“ თუ „ატლეტიკო“ — „ბარსელონა“?

— ყველა მატჩი განსხვავებულია. ხალხი ამბობს, რომ „ბარსელონას“ უფრო იოლი თამაშები დარჩა, მაგრამ ორივე გუნდს ყველა შეხვედრაში დიდი ოფლის ღვრა მოუწევს 3 ქულის მოსაპოვებლად. მთავარია, ჩვენ მოგებები გავაგრძელოთ და კატალონიელები ნამდვილად დაკარგავენ ქულებს, ერთხელ მაინც.

— „რეალის“ ერთი წაბორძიკება კატასტროფის ტოლფასი იქნება?

— დიახ, რადგან ჩემპიონატის დასრულებამდე მხოლოდ ხუთი ტური დარჩა. როგორც უკვე ვთქვით, დარჩენილი მატჩები ჩვენთვის ფინალივითაა და ყველა უნდა მოვიგოთ.

— როგორც ჩანს, ბოლოს და ბოლოს, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ თამაშიც გამოასწორეთ...

— ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, საკუთარ კედლებში კარგად გვეთამაშა და ეს ამ კვირასაც შევძელით. „ბერნაბეუ“ ჩვენი სახლია და პირველ რიგში იქ კარგი თამაშით უნდა გავახაროთ ქომაგები. დიდი მადლობა მათ გვერდში დგომისთვის. ჩემპიონები მხოლოდ იმ შემთხვევაში გავხდებით, თუ ყველანი ერთ მუშტად შევიკვრებით.

— „სევილიასთან“ კი გუტიმ ითამაშა ბრწყინვალედ...

— გუტი საოცარია. როცა იგი ჩვეულად დიდებულად თამაშობს, მისი ყურება ერთ სიამოვნებად ღირს, შეჩერება კი, ფაქტობრივად, შეუძლებელია. საგოლე პასისთვის მას განსაკუთრებული მადლობა გადავუხადე.

— „ბარსელონას“ რომელიმე ბრაზილიელს თუ ელაპარაკეთ? ნერვიულობენ?

— ჩვენ მეგობრები ვართ, მაგრამ არც ერთ მათგანთან არ მილაპარაკია. თუმცა მეგობრობა და თანამემამულეობა ახლა რა მოსატანია — „ბარსა“ ჩვენი კონკურენტია და მინდა, მათ ძალიან ინერვიულონ.

— თქვენი აზრით, „ატლეტიკო“ — „ბარსელონა“ შეიძლება სეზონის უმთავრესი მატჩი გამოდგეს?

— „ატლეტიკო“ კატალონიელებს დიდ წინააღმდეგობას გაუწევს. ვფიქრობ, „ბარსელონას“ პრობლემები მომავალ უქმეებზეც შეექმნება „ბეტისთან“. ყველა დარჩენილი მატჩი ურთულესია.

— ბევრი თვლის, რომ „ესპანიოლის“ დამარცხება არ უნდა გაგიჭირდეთ, რადგან ბარსელონელებს მთელი ყურადღება უეფას თასის ფინალზე აქვთ გადატანილიო...

— ხალხს შეუძლია, თქვას ის, რაც უნდა, თუმცა ჩვენ ყველანაირად ვემზადებით ამ მატჩისთვის და ვიცით, რომ მძიმე ბრძოლა იქნება, რადგან „ესპანიოლი“ ძლიერი გუნდია.

— „ბარსას“ ფორვარდმა სამუელ ეტოომ თქვა, ზეწოლის ქვეშ ყოფნა მომწონს და ეს ხელს არც „ბარსელონას“ შეუშლისო...

— ჩვენ კი ის მოგვწონს, როცა სხვებზე ვახდენთ ზეწოლას. კარგ ფეხბურთელს მნიშვნელოვან მატჩებში გაბრწყინება უფრო უნდა მოსწონდეს.

— თქვენი აზრით, მსაჯების შეცდომებმა „რეალი“ ამ სეზონში ძალიან დააზარალეს?

— უხეში და საზიანო შეცდომები იყო, თუმც სჯობს, ეს დავივიწყოთ. ფეხბურთელებიც ცდებიან, ისევე, როგორც ნებისმიერი ადამიანი. ჩვენ უნდა გვჯეროდეს, რომ მოგება მსაჯების შეცდომების შემთხვევაშიც შეგვიძლია და იმედია, მიზანს მივაღწევთ.

## მეცელდერი უკვე გათეთრდა



**კრისტოფ მეცელდერი** მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელია — დაინტერესებულმა მხარეებმა წინასწარი კონტრაქტი უკვე გააფორმეს და საქმის საბოლოო მოგვარებას მცირე დეტალებზე შეთანხმებაღა აკლია, რასაც მეცელდერის აგენტი იორგ ნოიბაუერი უახლოეს დღეებში მოაკვარახჭინებს.

27 წლის გერმანელი მცველი, რომელსაც ბუნდესნაკრების მაისურა 31-ჯერ მოურგია, მადრიდულ გრანდში მომავალი ოთხი სეზონის განმავლობაში ითამაშებს.

გერმანული „ბილდის“ ცნობით, კრისტოფის მადრიდული ჯამაგირი წლიური 4 მილიონი ევრო იქნება, ანუ იმაზე ორჯერ მეტი, რასაც „დორტმუნდში“ აძლევდნენ.

მეცელდერს „დორტმუნდთან“ საკონტრაქტო ვადა 30 ივნისს უმთავრდება, რის გამოც მადრიდელებს მასში ფულის გადახდა არ მოუწევთ...

**ლადო ხომერიკი**

## ამაური უდრის დროგბას

**იტალიური** „პალერმოს“ ბრაზილიელი ფორვარდი ამაური „ლივერპულს“ უნდა — ამის თაობაზე ფეხბურთელის აგენტმა მარიანო გრიმალდიმ განაცხადა.

ინგლისური კლუბი ამაურის ზაფხულიდან აკვირდება, მას შემდეგ, რაც „კიევომ“ „პალერმოს“ 8 მილიონ ევროდ მიჰყიდა.

რაფაელ ბენიტესის აზრით, ამაური დიდიე დროგბასავით ძლიერია და პრემიერლიგაში არ გაუჭირდება.

ბრაზილიელის ამჟამინდელი ფასი 20 მილიონი ევროა.

## ვალენსია იჭერს

**„ევროსპორტის“** ცნობით, „ვალენსია“ მადრიდის „რეალიდან“ ორი ფეხბურთელის შეძენას ეცდება — ესენი არიან ივან ელგერა და ფორვარდი რობერტო სოლდადო, რომელიც „ოსასუნაშია“ განათხოვრებული.

„ღამურებს“ ელგერა რობერტო აიალას, ხოლო სოლდადო დავიდ ვილიას შემცვლელად შეუგულებიათ.

შესაძლოა, აიალა და ვილია სეზონის ბოლოს წავიდნენ და „ვალენსია“ თადარიგს იჭერს. მადრიდელ ფეხბურთელებს კი კლუბთან კონტრაქტი 2008 წლის ივნისამდე აქვთ.

## მექსეშის მილანური ევროები

**„რომას“** მცველ ფილიპ მექსეშს „მილანი“ ეპატიჟება. „შავ-წითლები“ რომაულ კლუბს 11 მილიონ ევროს, ფრანგ ფეხბურთელს კი ჯამაგირად 3 მილიონ 300 ათასს სთავაზობენ.

„რომა“ მექსეშისთვის ხელფასის (2 მილიონ 600 ათასი) მომატებას არ აპირებს და ლეგიონერსაც გუნდიდან წასვლა უნდა. „მილანის“ გარდა მექსეშის შეძენა მადრიდის „რეალსაც“ სურს.

## ულიემ ჩამოწერა

**ჩემპიონატის** ზედიზედ მეშვიდედ მოსაგებად „ლიონი“ ამ ზაფხულს შემადგენლობის გაძლიერებას აპირებს. კლუბის პრეზიდენტ ჟან-მიშელ ოლას მწვრთნელმა სასურველ ფეხბურთელთა სია ჩამოუწერა, თუმცა, ცხადია, ყველას ვერ იყიდიან.

ნუსხაში მოხვდნენ: კარლოს ტევესი, ალბერტო ჯილარდინო, როი მაკაი და რიკარდუ კვარესმა.

„ლიონიდან“ კი, შეიძლება, წავიდეს ჟერარ ულიეს თანაშემწე რემი გარდე, რომელსაც არსენ ვენგერი ლონდონის „არსენალში“ ტექნიკური დირექტორის პოსტზე ეპატიჟება. დირექტორს ფეხბურთელების სელექცია ევალება.

## კარვალიუს მალდინობა

**„სოკერნიუსის“** ცნობით, „მილანმა“, შესაძლოა, რიკარდუ კარვალიუ იყიდოს 15 მილიონ ევროდ.

27 წლის პორტუგალიელი 2004 წელს გადავიდა „ჩელსიში“ და ერთიმეორეზე უკეთესი სამი სეზონი გაატარა. მიუხედავად ამისა, ჟოზე მაურინიუმ თქვა, რომ ამ ზაფხულს ცენტრალური მცველი აუცილებლად უნდა შევიძინოთო და გამორიცხული არაა, კარვალიუ გაასხვისონ.

ჯონ ტერი „ჩელსის“ კაპიტანია და მას არ გაყიდიან, „მილანი“ კი მობერებული პაოლო მალდინის შემცვლელს ეძებს და კარვალიუს გადაბირებასაც ამად აპირებს.

## გლედსონი აჩტა

**როსტოკის** „ჰანზას“ მცველი გლედსონი „შტუტგარტში“ გადავიდა. 28 წლის ბრაზილიელმა სამედიცინო შემოწმებაც გაიარა და სამწლიანი ხელშეკრულებაც გააფორმა.

„ძალიან მიხარია, რომ მეორე ბუნდესლიგის ერთ-ერთი საუკეთესო ცენტრალური მცველი შევიძინეთ“ — განაცხადა „შტუტგარტის“ გენერალურმა მენეჯერმა ჰორსტ ჰელდტმა.

გლედსონი, ვისაც „ჰანზასთან“ კონტრაქტი სეზონის ბოლოს ეწურება, ახალ გუნდში მარკუს ბაბელს შეცვლის, რომელმაც კარიერის დასრულება გადაწყვიტა.

## კავანის მუხლი

**„პალერმოს“** ტრავმირებული ფორვარდი ედისონ კავანი ბოლო ტურებში ვერ დაეხმარება გუნდს, რომელიც უეფას თასის საგზურისთვის იბრძვის. კავანი იანვარში მიიყვანეს, სადებიუტო მატჩში საუცხოო გოლი შეაგდო და შემდეგ ლიდერადაც იქცა. წინა ტურში კი „რომასთან“ მატჩის დასასრულს ამანტინო მანსინის შეეჯახა და მუხლი ისე დაიზიანა, რომ სეზონი ნაადრევად დაამთავრა. მის გამოჯანმრთელებას ხუთი კვირა დასჭირდება.

## კუმანს წელი მისცეს

**რონალდ კუმანი** მომავალ სეზონშიც პსვ-ს მწვრთნელი იქნება — ამის შესახებ კლუბმა ოფიციალურად განაცხადა.

ეინდჰოვენური გუნდის თავკაცი ორი დღის წინ შეხვდა შეფებს და გადაწყდა, რომ კიდევ ერთი წლით დატოვონ, არადა, აპრილში პსვ-ს პრეზიდენტი ამბობდა, ჩემპიონატის დასრულების შემდეგ გავათავისუფლებთო.

პსვ ზედიზედ მესამედ გახდა ჩემპიონი, ჩემპიონთა ლიგაში კი მეოთხედფინალს უწია, სადაც „ლივერპულთან“ დამარცხდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# რას დაარქმევს ზეედორფი თავის ვაჟს?

## თუ თავს პატივს სცემ, სკამთან ვეღარ იძმაკაცებ

სამჯერ იყო კლარენს ზეედორფი საკლუბო ფეხბურთის მწვერვალზე — ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა ჩემპიონთა თასი ამსტერდამის „აიაქსის", მადრიდის „რეალისა" და „მილანის" შემადგენლობებში მოიგო. წინ კი ათენური ფინალია ინგლისური „ლივერპულის" ნინააღმდეგ და თუ კლარენსის „მილანმა" იმარჯვა, საეჭვოა, ზეედორფის ლეგენდარული რეკორდი ვინმემ გაიმეოროს. „სან სიროს" გრანდის ვეტერანს მადრიდული „ასი" გაესაუბრა...




— ისე ჩანს, თითქოს თქვენთვის დრო არ არსებობს. გვითხარით თქვენი ჯანმრთელობის საიდუმლო...

— ყველაფერი მარტივადაა: ნარკოტიკებისგან თავი შორს მიჭირავს. არ ვეწევი და არც ვსვამ.

— ალბათ ბევრ რძეს მიირთმევთ...

— ახალშობილივით! ეს ისე, ხუმრობით. სინამდვილეში კი, თავს ძალიან ვუფრთხილდები და ყოველდღე ინტენსიურად და დიდი მონდომებით ვვარჯიშობ. ამ დონეზე თამაში ფიზიკურად მუდმივად კარგ ფორმას მინარჩუნებს, მაგრამ ყველაზე მთავარი მაინც ფსიქოლოგიური ფაქტორია — თამაშის ხალისი და გამარჯვებისადმი სწრაფვა არ უნდა დაკარგო.

— თქვენ არც გამარჯვების და არც ცხოვრების ხალისს არ კარგავთ. უკვე სამი ქალიშვილი გყავთ და მალე მეოთხეს, ბიჭის მამა გახდებით...

— ასეა. ამ თვის ბოლოს ბიჭის მამა გავხდები.

— რას დაარქმევთ: ჩემპიონს ლიგს?

— აბა, რა გითხრათ... ერთმა, ღმერთმა იცის, რას დავარქმევ. ისე, თქვენს ვარიანტსაც არა უშავს...

— ხუმრობა ხუმრობად და, ათენში მშვენიერი შესაძლებლობა გაქვთ, ჩემპიონთა თასი მეოთხედ მოიგოთ...

— თავს პრივილეგირებულად ვგრძნობ, რადგანაც ჩემპიონთა ლიგაზე დიდი გუნდების შემადგენლობებში ამდენი მატჩი ჩავატარე. მინდა, ყველას მადლობა ვუთხრა, ვინც ამ ბრწყინვალე ტურნირზე მონაწილეობაში დამეხმარა.

— თუ გაიმარჯვეთ, მეოთხე თასს ვის მიუძღვნით?

— გუნდს, ოჯახს, მეგობრებს — ყველა იმ ადამიანს, ვინც კარიერის განმავლობაში დამეხმარა. ასევე ჩემს თავსაც, რადგანაც დიდი ჯილდოების მოსაპოვებლად ბევრი ოფლის ღვრაა საჭირო...

— ამ სამი თასიდან რომელი იყო კლარენს ზეედორფისთვის ყველაზე განსაკუთრებული?

— სამივე მნიშვნელოვანია, რადგანაც მათი მოგება განსხვავებულ ემოციებს უკავშირდება. როცა იმარჯვებ, საოცარი გრძნობები გეუფლება და ამიტომ მუდამ მოგება გსურს.

— „მილანმა" „მანჩესტერთან" ორივე ნახევარფინალურ შეხვედრაში შთამბეჭდავად ითამაშა...

— ნახევარფინალში მართლაც დიდებულად გამოვიყურებოდით. „მანჩესტერი" დიდი გუნდია, მაგრამ ჩვენ დავამტკიცეთ, რომ მეტოქეს თამაშის, სიძლიერისა და გამარჯვებისადმი ლტოლვის მხრივ ნამდვილად ვაჯობეთ. „მილანი" მოგებას იმსახურებდა და ძალიან კარგია, ჩემპიონთა ლიგის ფინალს ასე შესანიშნავი თამაშით რომ მივაღწიეთ.

## რონალდინიო შარშანაც უნდა გადმოსულიყო

— დღეს კლარენს ზეედორფი კარიერის მანძილზე ყველაზე საუკეთესო ფორმაშია?

— გამოცდილება სათამაშო დონის ამაღლებაში მეხმარება და იმედი მაქვს, განვითარებას მომავალშიც გავაგრძელებ. ახლა უფრო ძლიერი ვარ, ვიდრე მაშინ, როცა მადრიდში ვთამაშობდი, ან თუნდაც სამი წლის წინ ვიყავი. ამ დონეზე დარჩენისთვის პიროვნული და პროფესიული განვითარება ფუნდამენტურ როლს ასრულებს.

— „მილანისა" და „მანჩესტერის" მატჩში კაკასა და კრიშტიანუ რონალდუს დუელიც შედგა. რომელმა ითამაშა უკეთესად?

— თუ ნებას მომცემთ, ამ შედარებათა კარუსელს თავს ავარიდებ, რადგანაც ორივე დიდი ტალანტია და დროთა განმავლობაში უფრო განვითარდებიან. კაკა და რონალდუ შესანიშნავად თამაშობენ, მაგრამ ხომ არიან სხვა ვარსკვლავებიც, მაგალითად, ლეო მესი და სამუელ ეტოო.

— გეცოდინებათ, რომ „რეალს" კაკას შეძენა სურს...

— ყველას თავისი გზა აქვს და კარიერის ამბავიც თავად უნდა გადაწყვიტოს. ნაკლებად მჯერა, რომ კაკა მადრიდში შეიძლება გადავიდეს.

— „რეალი" არ შემცდარა, როდესაც კაკათი დაინტერესდა. ხომ ასეა?

— რთული არ არის იმ ფეხბურთელების ყიდვა, რომელთაც თავიანთი ძლიერება უკვე დაამტკიცეს. იმათი შეძენა უფრო ძნელია, ვისაც ხალხი ნაკლებად იცნობს.

— ესპანეთში ამბობენ, რომ მომავალ სეზონში რონალდინიო შეიძლება, თქვენი თანაგუნდელი გახდეს...

— შეიძლება, რატომაც არა?! წესით, შარშანაც უნდა გადმოსულიყო „მილანში". ვნახოთ, ახლა რა მოხდება. რონალდინიო ჩემი მეგობარია და ჩვენთან მის გადმოსვლას სიხარულით მივესალმები. რაც მეტი მაგარი ფეხბურთელი გყავს გუნდში, მით უფრო მეტია ჯილდოების მოგების შანსი.

— მადრიდში ბევრს აინტერესებს, რატომ დატოვა 1999 წელს ზეედორფმა „რეალი"...

— ასე ვთქვათ, ეს პრინციპის საქმე იყო. წასვლა არ მინდოდა, ზედმეტად ძლიერი ვიყავი იმისთვის, რომ მადრიდის „რეალი" დამეტოვებინა. თუმცა მე სიტყვის კაცი ვარ და ჩემს პრინციპებს ვიცავ. იმ მომენტში „რეალის" პრეზიდენტმა ლორენცო სანსმა ადრე დათქმული პირობა დაარღვია და ამის გამო რთული გადაწყვეტილების მიღება მომიხდა. სანსს არ ვაკრიტიკებ, უბრალოდ, მან ჩემთან მიმართებაში თავისი არჩევანი გააკეთა, ეს არის და ეს... ძალიან მეწყინა, როცა „სანტიაგო ბერნაბეუდან" წამოვედი. ეს, მგონი, მთელმა ესპანეთმა იცის.

— ახლა წარმოიდგინეთ „გალაქტიკური" „რეალი" ზინედინ ზიდანთან, რონალდოსთან, დევიდ ბექჰემთან, ლუიშ ფიგუსთან, რობერტო კარლოსთან და კლარენს ზეედორფთან ერთად...

— იცით, როცა „რეალს" მიხსენებთ, ნოსტალგია მეძალება, რადგანაც „ბერნაბეუზე" სამი საუკეთესო წელი გავატარე, რომელთაც ჩემი, როგორც ფეხბურთელად და პიროვნებად ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი სიტყვა თქვეს. „რეალი" ყოველთვის ჩემს გულში დარჩება.

— ფეხბურთელები იშვიათად ტოვებენ გუნდებს თავიანთი პრინციპის გამო...

— მახსოვს, ჯონ ტოშაკის მწვრთნელობის პერიოდში კლუბის უფროსობას შევხვდი და განვუცხადე, რომ თუ მოედანზე ჩემი გამოყვანა აღარ სურდათ, გუნდს დავტოვებდი. აქ მუდმივად ძირითადში ყოფნაზე არ იყო საუბარი, უბრალოდ, მოედანს საერთოდ აღარ მაკარებდნენ. მეც ავდექი და ვუთხარი, რომ მარტო სათადარიგოებში ჯდომით ამხელა ჯამაგირის მიღება უსინდისობად მიმაჩნია-მეთქი.

— ზუსტად ამგვარად თქვა ემერსონმა რამდენიმე ხნის წინ...

— ფეხბურთელს ძირითადში თამაში თუ შეუძლია, სეზონის განმავლობაში მატჩების 50 პროცენტში მაინც უნდა მონაწილეობდეს. კაცს თუ საკუთარი თავის მცირედი პატივისცემა მაინც აქვს, მუდმივად სათადარიგოთა სკამთან ძმაკაცობით უნდა აღშფოთდეს. საბედნიეროდ, ტოშაკის შემდეგ ვისენტე დელ ბოსკე მოვიდა და საქმეებიც მოგვარდა მანამ, სანამ ლორენცო სანსი თავის სიტყვას დაარღვევდა.

— თანამედროვე მადრიდის „რეალზე" რას გვეტყვით?

— ვინც რა უნდა თქვას, „რეალი" „რეალია" და ამას ბევრი ახსნა არ სჭირდება. „რეალის" ისტორია ყველას ყველაფერზე გასცემს პასუხს. მალე ეს გუნდი, როგორც სხვა გრანდები, ევროპულ საფეხბურთო ელიტას დაუბრუნდება.

— გსურთ, რომ საამსეზონო პრიმერადივიზიონი „რეალმა" მოიგოს?

— მე ერთგული მადრიდელი ვარ. „ბერნაბეუზე" ვთამაშობდი და სულ სხვანაირად მიტოკავს გული, როცა „რეალზე" მესაუბრებიან. ვისურვებდი, რომ პრიმერა ესპანეთის საუკეთესო გუნდს მოეგოს.

— რას იტყოდით იმ მადრიდელ ქომაგთა მისამართით, რომელთაც კლარენს ზეედორფი არ დავიწყებიათ?

— თუ „ლივერპულთან" მოვიგეთ, როცა თასს ავმართავ, მინდა, მადრიდელებმა იცოდნენ, რომ ეს ჯილდო ნაწილობრივ მათაც ეკუთვნით.

— „ლივერპული" ძალიან ძლიერი მეტოქეა, თან „მილანს" ამ გუნდთან უსიამოვნო მოგონებებიც აკავშირებს. შურისძიების გრძნობა არ გაწუხებთ?

— დიახ, სპორტული ვენდეტის გრძნობა ნამდვილად გვაწუხებს, როცა ჩემპიონთა თასს 6 წუთში აგებ, შეუძლებელია, მერე ამაზე არ იფიქრო.

— შურისძიებაზე გამუდმებული ფიქრი „მილანს" საქმეს ხომ არ გაუფუჭებს?

— პირიქით, ეს ჩვენთვის დამატებითი ენერგიაა.

— ორი წლის წინ სტამბოლურ ფინალში მარცხს რითი ახსნით?

— ბედმა გაგვწირა, აქ ბევრი არაფერია ასახსნელი. მეორე ტაიმი შესანიშნავად დავიწყეთ, მეოთხე გოლიც უნდა გაგვეტანა, მაგრამ „ლივერპულის" მეკარემ წარმოუდგენელი დარტყმა მოიგერია და რამდენიმე წუთში ინგლისელებმა უკვე სამი გოლი გაგვიტანეს. რაღაა სათქმელი: მოედანზე 85 წუთის განმავლობაში ჩვენ ვბატონობდით, მაგრამ... მოხდა ის, რაც ყველამ ვნახეთ.

— ამ მატჩის შემდეგ ზეედორფმა იტირა?

— ცრემლები ვერ შევიკავე, მაგრამ ამის გამო თავს სუსტ პიროვნებად არ ვთვლი. არ დამალო შენი ემოციები, ნიშნავს, რომ ძლიერი ხარ.

— რას გვეტყვით „ლივერპულზე"?

— უფრო ძლიერი და გამოცდილია, ვიდრე ორი წლის წინ იყო.

— რამ შეიძლება, „მილანს" ინგლისელებთან ფინალი მოაგებინოს?

— „ლივერპულზე" ერთი გოლით მეტის გატანამ. რთული ჯახი იქნება, რადგანაც გუნდების ძალთა რეალურად შეფასებას სწორედ აქეთ მივყავართ. „მანჩესტერ იუნაიტედს" შეუძლია, ბურთი ოთხმოცდაათი წუთის განმავლობაში დაიჭიროს, „ლივერპულის" სტილი კი განსხვავებულია — რაფაელ ბენიტესის ფეხბურთელები მოედანზე დომინირებას ნაკლებად ცდილობენ...


1995: აიაქსში


1998: რეალში


2003: მილანში






# ამელიამ, პერუცი მე ვიქნებიო

**მარკო ამელიას** თქმით, იგი მზად არის, „ლაციოში" გადავიდეს, მიუხედავად იმისა, რომ „რომას" აღზრდილია და ახლა „ლივორნოში" ირიცხება. „ლაციოს" ქომაგებს კი „რომას" მერე ყველაზე მეტად სწორედ „ლივორნო" ეზიზღებათ, პირველ რიგში, ტოსკანელთა „ულტრასების" აბსოლუტურად განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების გამო.

ზაფხულში ამელიას „ლივორნოდან" წასვლა კი, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია. დიდი ხანია, მას „მილანს", „იუვენტუსს" და უცხოურ კლუბებსაც უკავშირებენ. ახლა კი საქმეში „ლაციოც" ჩაერთო, რომელსაც მომავალ სეზონში ანჯელო პერუცის შემცვლელი დასჭირდება.

„ვიცი, რომ „ლაციო" პერუცის შემცვლელს ეძებს და მიხარია, რომ კანდიდატთა შორის ჩემი გვარიცაა. ისიც ვიცი, „ბიანკოჩელესტის" ფანებს ჩემი წარსული არ მოეწონებათ, მაგრამ ისეთი ფეხბურთელი, რომელსაც მხოლოდ ერთი გუნდის ღირსება დაუცავს, ძალიან ცოტაა. მე პროფესიონალი ვარ და თუ ისეთი კარგი კლუბი, როგორიც „ლაციოა", წინადადებას შემომთავაზებს, სიამოვნებით დავთანხმდები" — განაცხადა ამელიამ.

25 წლის მეკარე ჯანლუიჯი ბუფონის მემკვიდრედ ითვლება. 2006 წლის მუნდიალზე იგი ბუფონისა და პერუცის მერე, მესამე მეკარედ იყო წაყვანილი.

მისი კარიერა „რომას" ახალგაზრდულ გუნდში დაიწყო, მაგრამ „გლადიატორთა" მაისურით სერია A-ში არასოდეს უთამაშია. „ლივორნომდე" კი „ლეჩესა" და „პარმაში" ირიცხებოდა...

**გიორგი ძაძაძაძე**

# უდისციპლინო სერია გაჭირვებულებს ქვა იტალიაშიც ეწევათ

**იტალიური** „სიენა", რომელიც სერია A-ში დარჩენისთვის იბრძვის, სადისციპლინო კომიტეტმა შავ დღეში ჩააგდო — მომავალ ტურში ტოსკანელებს ძირითადი შემადგენლობის ოთხი ფეხბურთელი არ ეყოლებათ დისკვალიფიკაციის გამო.

„სიენას" ვეტერანმა მცველმა ვალერიო ბერტოტომ „ატალანტასთან" მატჩისას მსაჯს შეურაცხყოფა მიაყენა, რისთვისაც ორმატჩიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა.

ერთთამაშიანი დისკვალიფიკაცია კი ალბერტოს, დანიელე კორივასა და ლუკა ანტონინის აქვთ.

მეთვრამეტე ადგილზე მყოფ ტოსკანელებს შეუძლიათ, თავი იმით დაიმშვიდონ, რომ მომავალ ტურში მათ მეტოქეს „ემპოლის" ასევე დისკვალიფიკაციის გამო დააკლდებიან სერჯო ალმირონი და დავიდე მორო.

წინა ტურში, „სამპდორიასთან" მატჩისას, „რეჯინას" მწვრთნელი ვალტერ მაცარი ზედმეტად ემოციური იყო და მსაჯის რამდენიმე გადაწყვეტილება ეჭვქვეშ დააყენა. ამიტომ მანაც ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო და მომავალ ტურში თავისი შეგირდების თამაშს ტრიბუნებიდან ადევნებს თვალს.

რომის „ლაციოს" ფანებმა „ლივორნოსთან" შეხვედრაში სტადიონზე ფაშისტური სიმბოლოები გამოფინეს, რაც აკრძალულია. თუმცა დედაქალაქელები „სტადიო ოლიმპიკოს" დისკვალიფიკაციას გადაურჩნენ. სადისციპლინო კომიტეტმა მათ 11 500 ევროიანი ჯარიმა აკმარა.

მომავალ ტურს ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციის გამო ასევე გამოტოვებენ: *იაკინტა, კოდა, ლუკოვიჩი, პინცი („უდინეზე"); არონიკა („რეჯინა"), კორდობა („ინტერი"), მანტოვანი („კიევო"), ლუჩენტი („კატანია") და რივალტა („ატალანტა).*

**ძოძი ძანდელაძი**

# სტადიო ოლიმპიკო 17 მილიონად დაპატარავდება

**რომის** „სტადიო ოლიმპიკო" 2009 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალს უმასპინძლებს და იტალიის ოლიმპიურმა კომიტეტმა პრესას სტადიონის რეკონსტრუქციის გეგმა წარუდგინა, რომელზეც დაახლოებით 17 მილიონი ევრო დაიხარჯება.

— „სტადიო ოლიმპიკო" იტალიური ფეხბურთის ერთ-ერთი სახეა. წინა კვირაში ფრანგულმა „ეკიპმა" „ოლიმპიკო" ევროპის ხუთ საუკეთესო სტადიონს შორის დაასახელა. ჩვენ რეკონსტრუქციის კარგი გეგმა გვაქვს, რომელსაც განვახორციელებთ კიდეც" — აღნიშნა იტალიის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ჯანი პეტრუჩიმ.

გავრცელებული ცნობით, სტადიონის ტევადობა 80120-დან დაახლოებით 75 ათასამდე შემცირდება. სარბენი ბილიკები დარჩება, გასახდელები და მინდორზე გასასვლელი გვირაბი განახლდება. დაახლოებით 4 მილიონი ევრო კი უსაფრთხოების ზომების გამკაცრებას მოხმარდება.

**ძოძი ძანდელაძი**



# მითხარი, რა მანქანა გყავს და გეტყვი...




## ფრანჩესკო ტოტი

თავდამსხმელი

დაიბადა 1976 წლის 27 სექტემბერს რომში

სიმაღლე: 1,80 მეტრი

წონა: 79 კგ

კარიერა:

1993 წლიდან — „რომა" (365 მატჩი, 146 გოლი)

1998 წლიდან თამაშობს იტალიის ნაკრებში (59 მატჩი, 9 გოლი)

მეტსახელები: ჩესკო, პუპონე, ფრანჩე

## FERRARI 612

გამოშვების თარიღი: 2004 წელი

სიგრძე: 4,902 მეტრი

სიგანე: 1,956 მეტრი

სიმაღლე: 1,344 მეტრი

წონა: 1 725 კგ

ცილინდრი: 12

ძრავის კუბატურა: 5,7

მექანიკური და ავტომატური გადაცემათა კოლოფი

სიჩქარე: 397 კმ/სთ

100 კმ/სთ-ს ავითარებს 4,2 წამში

ფასი: 183 000 ევრო



## პოლონეთი

პირველი ლიგა

XXVI ტური

პლოცკი 0:0 გროცლინი

კორონა 1:2 კრაკოვია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბელხატოვი | 25 | 16 | 4 | 5 | 52:23 | 52 |
| ზაგლებე | 25 | 15 | 7 | 3 | 44:22 | 52 |
| ლეგია | 25 | 13 | 4 | 8 | 45:26 | 43 |
| კორონა | 26 | 13 | 4 | 9 | 35:28 | 43 |
| ვისლა | 25 | 9 | 13 | 3 | 39:20 | 40 |
| კრაკოვია | 26 | 11 | 6 | 9 | 38:40 | 39 |
| ლეხი | 25 | 9 | 10 | 6 | 41:30 | 37 |
| გროცლინი | 26 | 7 | 15 | 4 | 29:24 | 36 |
| ლოძი | 25 | 9 | 9 | 7 | 27:25 | 36 |
| ოდრა | 25 | 7 | 9 | 9 | 21:31 | 30 |
| არკა | 24 | 6 | 10 | 8 | 32:34 | 28 |
| ვიძევი | 24 | 7 | 7 | 10 | 22:28 | 28 |
| გურნიკი | 25 | 5 | 5 | 15 | 26:45 | 20 |
| ლეჩნა | 24 | 5 | 5 | 14 | 18:51 | 20 |
| პლოცკი | 25 | 2 | 11 | 12 | 16:41 | 17 |
| პოგონი | 25 | 3 | 7 | 15 | 20:37 | 16 |

## არგენტინა

კლაუსურა

გადადებული მატჩი

კილმესი 0:1 არსენალი

## შვედეთი

ალსვენსკა. V ტური

მალმიო 1:1 ჰამარბი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კალმარი | 5 | 3 | 0 | 2 | 7:6 | 9 |
| ჰამარბი | 5 | 2 | 2 | 1 | 9:3 | 8 |
| გიოტებორგი | 5 | 2 | 2 | 1 | 9:5 | 8 |
| მალმიო | 5 | 2 | 2 | 1 | 8:4 | 8 |
| გეფლე | 5 | 2 | 2 | 1 | 5:5 | 8 |
| იურგორდენი | 5 | 2 | 1 | 2 | 7:5 | 7 |
| ელფსბორგი | 5 | 1 | 4 | 0 | 6:5 | 7 |
| ჰალმსტადი | 5 | 2 | 1 | 2 | 6:7 | 7 |
| ჰელსინგბორგი | 5 | 2 | 0 | 3 | 6:7 | 6 |
| იორებრო | 5 | 1 | 3 | 1 | 4:6 | 6 |
| აიკ | 5 | 2 | 0 | 3 | 3:7 | 6 |
| გაის | 5 | 1 | 2 | 2 | 4:5 | 5 |
| ტრელებორგი | 5 | 1 | 2 | 2 | 6:10 | 5 |
| ბრომაპოიკარნა | 5 | 1 | 1 | 3 | 7:12 | 4 |

## ავსტრია

ბუნდესლიგა. XXXIII ტური

რაპიდი 3:0 აუსტრია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზალცბურგი | 32 | 20 | 9 | 3 | 64:19 | 69 |
| მატერსბურგი | 32 | 14 | 7 | 11 | 51:52 | 49 |
| რაპიდი | 33 | 12 | 10 | 11 | 50:46 | 46 |
| პაშინგი | 32 | 12 | 9 | 11 | 40:35 | 45 |
| რიდი | 32 | 11 | 11 | 10 | 40:40 | 44 |
| აუსტრია | 33 | 10 | 12 | 11 | 40:41 | 42 |
| ალტახი | 32 | 10 | 5 | 17 | 42:56 | 35 |
| შტურმი | 32 | 13 | 5 | 14 | 36:39 | 31 |
| ტიროლი | 32 | 7 | 10 | 15 | 33:52 | 31 |
| გრაცერი | 32 | 8 | 10 | 14 | 40:56 | 6 |

*შტურმს დაკლებული აქვს 13 ქულა*

*გრაცერს დაკლებული აქვს 28 ქულა*

Copa Toyota Libertadores '2007

## ლიბერტადორესის თასი 2007

1/8 ფინალი. საპასუხო მატჩები

კოლო კოლო (ჩილე) 2:1 *ამერიკა (მექსიკა)* (0:3)

1:0 ხ. კასტრო (70პ), 1:1 ინფანტე (86), 2:1 ჰ. სუაზო (88)

ტოლუკა (მექსიკა) 2:0 *კუკუტა დეპორტივო (კოლუმბია)* (1:5)

1:0 ნაელსონი (21), 2:0 სკოკო (90)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | 10 მაისი | | | | | | |
| 23:00 | 3 | ტოტენჰემი-ბლექბერნი | 1.80 | 3.30 | 4.40 | 1.16 | 1.27 | 1.88 |
| | | 13 მაისი | | | | | | |
| 18:00 | 4 | ბლექბერნი-რედინგი | 2.00 | 3.30 | 3.50 | 1.24 | 1.27 | 1.69 |
| 18:00 | 5 | ბოლტონი-ასტონ ვილა | 1.90 | 3.40 | 3.75 | 1.21 | 1.26 | 1.78 |
| 18:00 | 6 | ჩელსი-ევერტონი | 1.55 | 3.60 | 6.50 | 1.08 | 1.25 | 2.31 |
| 18:00 | 8 | ლივერპული-ჩარლტონი | 1.50 | 3.60 | 7.50 | 1.05 | 1.25 | 2.43 |
| 18:00 | 9 | მანჩესტერი-ვესტ ჰემი | 1.60 | 3.50 | 5.50 | 1.09 | 1.23 | 2.13 |
| 18:00 | 11 | მიდლსბრო-ფულემი | 1.90 | 3.20 | 4.20 | 1.19 | 1.30 | 1.81 |
| 18:00 | 12 | პორტსმუთი-არსენალი | 2.80 | 3.20 | 2.45 | 1.49 | 1.30 | 1.38 |
| 18:00 | 14 | შეფილდი-უიგანი | 2.25 | 3.40 | 2.80 | 1.35 | 1.24 | 1.53 |
| 18:00 | 15 | ტოტენჰემი-სიტი | 1.50 | 3.60 | 7.00 | 1.05 | 1.23 | 2.37 |
| 18:00 | 16 | უოტფორდი-ნიუკასლი | 2.70 | 3.30 | 2.45 | 1.48 | 1.28 | 1.40 |
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი პლეი ოფი** | | | | | | |
| | | 12 მაისი | | | | | | |
| 15:00 | 573 | საუთჰემპტონი-დერბი | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |
| | | 13 მაისი | | | | | | |
| 15:00 | 574 | ვულვერჰემპტონი-ვესტ ბრომვიჩი | 2.40 | 3.00 | 2.80 | 1.33 | 1.29 | 1.44 |
| | | **ინგლისი. I ლიგა პლეი ოფი** | | | | | | |
| | | 11 მაისი | | | | | | |
| 22:45 | 571 | იოვილი-ნოტინგემი | 2.40 | 3.10 | 2.70 | 1.35 | 1.27 | 1.44 |
| | | 13 მაისი | | | | | | |
| 20:30 | 572 | ოლდემი-ბლეკპული | 2.40 | 3.20 | 2.70 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| | | **ინგლისი. II ლიგა პლეი ოფი** | | | | | | |
| | | 12 მაისი | | | | | | |
| 20:15 | 575 | როვერსი-ლინკოლნი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| | | 14 მაისი | | | | | | |
| 22:45 | 576 | შრუსბერი-დონსი | 2.40 | 3.20 | 2.60 | 1.37 | 1.24 | 1.43 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | 12 მაისი | | | | | | |
| 15:30 | 20 | ჰარტსი-ჰიბერნიანი | 1.85 | 3.20 | 4.00 | 1.17 | 1.26 | 1.77 |
| 18:00 | 21 | ინვერნესი-დანფერმლაინი | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |
| 18:00 | 22 | მაზერველი-სტ.მირენი | 2.30 | 3.20 | 2.85 | 1.33 | 1.27 | 1.50 |
| 18:00 | 23 | სელტიკი-აბერდინი | 1.65 | 3.50 | 4.60 | 1.12 | 1.21 | 1.98 |
| 18:00 | 25 | ფოლკირკი-დანდი იუნაიტედი | 2.10 | 3.20 | 3.25 | 1.26 | 1.27 | 1.61 |
| | | 13 მაისი | | | | | | |
| 17:00 | 26 | რეინჯერსი-კილმარნოკი | 1.30 | 4.70 | 8.00 | 1.01 | 1.11 | 2.96 |
| | | **გერმანია. I ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | 12 მაისი | | | | | | |
| 17:30 | 28 | ალემანია-ვოლფსბურგი | 2.50 | 3.20 | 2.55 | 1.40 | 1.26 | 1.41 |
| 17:30 | 29 | არმინია-ჰანოვერი | 2.45 | 3.30 | 2.60 | 1.40 | 1.26 | 1.45 |
| 17:30 | 30 | ბოხუმი-შტუტგარტი | 3.60 | 3.20 | 1.95 | 1.69 | 1.26 | 1.21 |
| 17:30 | 32 | კოტბუსი -ბაიერნი | 3.30 | 3.20 | 2.05 | 1.62 | 1.26 | 1.24 |
| 17:30 | 34 | დორტმუნდი-შალკე | 3.20 | 3.20 | 2.10 | 1.60 | 1.26 | 1.26 |
| 17:30 | 36 | ჰერტა-ლევერკუზენი | 2.35 | 3.20 | 2.75 | 1.35 | 1.26 | 1.47 |
| 17:30 | 37 | მაინცი-მიონხენგლადბახი | 1.65 | 3.50 | 4.80 | 1.12 | 1.22 | 2.02 |
| 17:30 | 38 | ნიურნბერგი-ჰამბურგი | 2.15 | 3.20 | 3.25 | 1.28 | 1.29 | 1.61 |
| 17:30 | 39 | ვერდერი-აინტრახტი | 1.30 | 4.40 | 9.50 | 1.00 | 1.14 | 3.00 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **იტალია. სერია A** | | | | | | |
| | | 13 მაისი | | | | | | |
| 17:00 | 116 | ასკოლი-პალერმო | 8.00 | 4.20 | 1.35 | 2.75 | 1.15 | 1.02 |
| 17:00 | 117 | კატანია-მილანი | 7.50 | 2.90 | 1.55 | 2.09 | 1.28 | 1.01 |
| 17:00 | 118 | ფიორენტინა-კალიარი | 1.40 | 3.70 | 9.00 | 1.01 | 1.21 | 2.62 |
| 17:00 | 119 | ინტერი-ლაციო | 1.85 | 2.80 | 4.90 | 1.11 | 1.34 | 1.78 |
| 17:00 | 121 | ლივორნო-სამპდორია | 1.60 | 3.30 | 5.50 | 1.07 | 1.23 | 2.06 |
| 17:00 | 122 | პარმა-მესინა | 1.12 | 6.50 | 15.00 | 1.00 | 1.04 | 4.53 |
| 17:00 | 123 | რეჯინა-კიევო | 1.95 | 2.80 | 4.30 | 1.14 | 1.34 | 1.69 |
| 17:00 | 124 | რომა-ტორინო | 1.70 | 2.70 | 6.80 | 1.04 | 1.36 | 1.93 |
| 17:00 | 126 | სიენა-ემპოლი | 1.70 | 3.30 | 4.70 | 1.12 | 1.24 | 1.93 |
| 17:00 | 127 | უდინეზე-ატალანტა | 2.35 | 2.50 | 3.70 | 1.21 | 1.43 | 1.49 |
| | | **იტალია. სერია B** | | | | | | |
| | | 12 მაისი | | | | | | |
| 18:00 | 128 | ალბინოლეფე-ვიჩენცა | 2.55 | 1.80 | 5.80 | 1.05 | 1.77 | 1.37 |
| 18:00 | 129 | ბრეშა-ნაპოლი | 2.70 | 2.60 | 2.80 | 1.32 | 1.37 | 1.34 |
| 18:00 | 130 | კროტონე-არეცო | 2.50 | 3.00 | 2.60 | 1.36 | 1.27 | 1.39 |
| 22:30 | 131 | ჯენოა-ტრიესტინა | 1.25 | 4.60 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.15 |
| 18:00 | 132 | იუვენტუსი-ბოლონია | 1.35 | 3.80 | 9.20 | 1.00 | 1.17 | 2.68 |
| 18:00 | 133 | ლეჩე-სპეცია | 1.80 | 2.50 | 5.80 | 1.04 | 1.37 | 1.74 |
| 22:30 | 134 | მოდენა-მანტოვა | 2.55 | 2.50 | 3.10 | 1.26 | 1.39 | 1.38 |
| 18:00 | 135 | პიაჩენცა-პესკარა | 1.10 | 6.50 | 17.00 | 1.00 | 1.03 | 4.70 |
| 18:00 | 136 | რიმინი-ბარი | 1.55 | 3.00 | 7.00 | 1.02 | 1.26 | 2.09 |
| 18:00 | 137 | ტრევიზო-ჩეზენა | 2.25 | 2.00 | 5.50 | 1.05 | 1.59 | 1.46 |
| 18:00 | 138 | ვერონა-ფროზინონე | 1.85 | 2.80 | 4.80 | 1.11 | 1.33 | 1.76 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | 12 მაისი | | | | | | |
| 22:00 | 164 | რეალი-ესპანიოლი | 1.25 | 4.80 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.24 |
| 22:00 | 165 | რეალი-ესპანიოლი 0:1 | 1.00 | | | | | |
| 22:45 | 167 | სევილია-უელვა | 1.57 | 3.50 | 6.00 | 1.08 | 1.24 | 2.21 |
| | | 13 მაისი | | | | | | |
| 19:00 | 157 | ბილბაო-დეპორტივო | 1.90 | 3.10 | 4.00 | 1.17 | 1.28 | 1.74 |
| 21:00 | 158 | ბარსელონა-ბეტისი | 1.22 | 5.20 | 12.00 | 1.00 | 1.10 | 3.62 |
| 21:00 | 159 | ბარსელონა-ბეტისი 0:1 | 1.00 | | | | | |
| 19:00 | 160 | სელტა-ლევანტე | 1.95 | 3.20 | 3.75 | 1.21 | 1.28 | 1.72 |
| 19:00 | 161 | ხეტაფე-ატლეტიკო | 2.30 | 3.10 | 3.00 | 1.32 | 1.30 | 1.52 |
| 19:00 | 162 | ტარაგონა-სოსიედადი | 2.55 | 3.20 | 2.55 | 1.41 | 1.27 | 1.41 |
| 19:00 | 163 | ოსასუნა-ვილარეალი | 2.25 | 3.10 | 3.20 | 1.30 | 1.32 | 1.57 |
| 19:00 | 166 | რასინგი-მალიორკა | 1.90 | 3.20 | 4.00 | 1.19 | 1.28 | 1.77 |
| 23:00 | 168 | ვალენსია-სარაგოსა | 1.75 | 3.40 | 4.70 | 1.15 | 1.27 | 1.97 |
| | | **ესპანეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | 12 მაისი | | | | | | |
| 20:00 | 169 | სიუდადი-ალავესი | 1.90 | 3.10 | 3.80 | 1.17 | 1.26 | 1.70 |
| 20:00 | 170 | ელჩე-ტენერიფე | 2.10 | 3.00 | 3.30 | 1.23 | 1.28 | 1.57 |
| 20:30 | 171 | სპორტინგი-ნუმანსია | 2.15 | 2.90 | 3.40 | 1.23 | 1.31 | 1.56 |
| 20:30 | 172 | ლას პალმასი-ალბასეტე | 2.30 | 2.90 | 3.10 | 1.28 | 1.32 | 1.49 |
| 20:00 | 174 | მალაგა -ვეცინდარიო | 1.35 | 4.00 | 8.50 | 1.00 | 1.16 | 2.72 |
| 20:00 | 176 | პონფერადინა-მურსია | 2.80 | 3.00 | 2.40 | 1.44 | 1.29 | 1.33 |
| 20:00 | 177 | სალამანკა-რეალი(ბ) | 1.90 | 3.00 | 4.00 | 1.16 | 1.28 | 1.71 |
| | | 13 მაისი | | | | | | |
| 14:00 | 173 | ლორკა-ალმერია | 3.70 | 3.00 | 2.00 | 1.65 | 1.29 | 1.20 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 175 | ეხიდო-ჰერკულესი | 2.15 | 3.00 | 3.30 | 1.25 | 1.30 | 1.57 |
| 19:30 | 178 | ვალიადოლიდი-კადისი | 1.65 | 3.20 | 5.00 | 1.08 | 1.24 | 1.95 |
| 20:30 | 179 | ხერესი-კასტელონი | 1.90 | 3.00 | 4.00 | 1.16 | 1.28 | 1.71 |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | 10 მაისი | | | | | | |
| 23:00 | 189 | ტულუზი-ლე მანი | 1.65 | 3.40 | 5.20 | 1.11 | 1.25 | 2.05 |
| | | **ჰოლანდია. პლეი ოფი** | | | | | | |
| | | 10 მაისი | | | | | | |
| 22:00 | 559 | გრონინგენი-ფეიენოორდი | 2.30 | 3.10 | 2.75 | 1.32 | 1.25 | 1.45 |
| 22:00 | 560 | სპარტა-ნაიმეგენი | 2.40 | 3.10 | 2.65 | 1.35 | 1.25 | 1.42 |
| | | **ჩეხეთი** | | | | | | |
| | | 10 მაისი | | | | | | |
| 19:15 | 293 | სლავია-ბოლესლავი | 2.15 | 3.00 | 3.20 | 1.25 | 1.28 | 1.54 |
| 20:00 | 294 | ბანიკი-იაბლონეცი | 1.80 | 3.20 | 4.30 | 1.15 | 1.26 | 1.83 |
| | | **ნორვეგია. ტოპლიგა** | | | | | | |
| | | 10 მაისი | | | | | | |
| 21:00 | 342 | სტარტი-ვოლერენგა | 2.30 | 3.20 | 2.75 | 1.33 | 1.25 | 1.47 |
| | | **ფინეთი** | | | | | | |
| | | 10 მაისი | | | | | | |
| 19:30 | 373 | ინტერი-ტურკუ | 2.45 | 3.20 | 2.50 | 1.38 | 1.23 | 1.40 |
| 19:30 | 374 | მარიეჰამნი-ჰაკა | 2.60 | 3.10 | 2.40 | 1.41 | 1.24 | 1.35 |
| 19:30 | 375 | მიუპა-იარო | 1.55 | 3.50 | 5.30 | 1.07 | 1.19 | 2.10 |
| 19:30 | 376 | ტამპერე-ვიიკინგიტი | 1.35 | 4.20 | 7.20 | 1.02 | 1.13 | 2.65 |
| | | 11 მაისი | | | | | | |
| 19:30 | 377 | ლაჰტი-ჰიკ | 3.40 | 3.20 | 2.00 | 1.64 | 1.25 | 1.23 |
| 19:30 | 378 | ვპს-ჰონკა | 3.10 | 3.20 | 2.10 | 1.57 | 1.25 | 1.26 |
| | | **ირლანდია** | | | | | | |
| | | 11 მაისი | | | | | | |
| 22:45 | 380 | ბოჰემიანი-ლონგფორდი | 1.60 | 3.40 | 5.00 | 1.08 | 1.21 | 2.02 |
| 22:45 | 381 | დუბლინი-სტ.პატრიკსი | 3.00 | 3.10 | 2.25 | 1.52 | 1.28 | 1.30 |
| 22:45 | 384 | უოტერფორდი-გოლვეი | 2.20 | 3.10 | 3.20 | 1.28 | 1.30 | 1.57 |
| | | 12 მაისი | | | | | | |
| 22:45 | 385 | სლაიგო-კორკი | 3.30 | 3.00 | 2.10 | 1.57 | 1.28 | 1.23 |
| | | 14 მაისი | | | | | | |
| 23:00 | 382 | დერი-შემროკი | 1.80 | 3.20 | 4.00 | 1.15 | 1.24 | 1.77 |
| | | **ევროპის ჩემპიონატი (17) ბელგია** | | | | | | |
| | | 10 მაისი | | | | | | |
| 19:30 | 581 | ესპანეთი(17)-ბელგია(17) | 1.60 | 3.30 | 5.50 | 1.07 | 1.23 | 2.06 |
| 22:15 | 582 | ინგლისი(17)-საფრანგეთი(17) | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| | | **ესპანეთი. თასი** | | | | | | |
| | | 10 მაისი | | | | | | |
| 23:00 | 429 | ხეტაფე-ბარსელონა | 3.10 | 3.20 | 2.20 | 1.57 | 1.28 | 1.30 |
| | | **ლიბერტადორესის თასი** | | | | | | |
| | | 10 მაისი | | | | | | |
| 23:45 | 437 | სანტოსი-კარაკასი | 1.18 | 5.50 | 10.00 | 1.00 | 1.05 | 3.54 |
| 23:45 | 438 | ლიბერტადი-პარანა | 1.70 | 3.40 | 4.35 | 1.13 | 1.22 | 1.90 |
| 23:45 | 439 | ნეკაქსა-ნასიონალი მ | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.24 | 1.80 |
| | | **ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2007 რუსეთი** | | | | | | |
| | | 10 მაისი | | | | | | |
| 16:15 | 579 | კანადა-შვეიცარია | 1.07 | 6.00 | 9.00 | 1.00 | 1.00 | 3.59 |
| 20:15 | 580 | ფინეთი-აშშ | 1.95 | 4.20 | 2.60 | 1.33 | 1.11 | 1.60 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10003 | ტოტენჰემი-ბლექბერნი | 2.15 | 2.10 | 5.00 | 1.06 | 1.50 | 1.47 |
| 10189 | ტულუზი-ლე მანი | 2.10 | 2.00 | 5.50 | 1.02 | 1.51 | 1.46 |
| 10429 | ხეტაფე-ბარსელონა | 3.50 | 2.00 | 2.55 | 1.27 | 1.47 | 1.12 |
| 10559 | გრონინგენი-ფეიენოორდი | 2.75 | 2.00 | 3.20 | 1.15 | 1.47 | 1.23 |
| 10560 | სპარტა-ნაიმეგენი | 2.85 | 2.00 | 3.20 | 1.17 | 1.50 | 1.23 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11003 | ტოტენჰემი-ბლექბერნი | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11189 | ტულუზი-ლე მანი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11429 | ხეტაფე-ბარსელონა | 4.60 | 10.00 | 20.00 | 5.30 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11559 | გრონინგენი-ფეიენოორდი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11560 | სპარტა-ნაიმეგენი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში
(ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12003 | ტოტენჰემი-ბლექბერნი | 1.90 | 1.70 |
| 12189 | ტულუზი-ლე მანი | 1.60 | 2.00 |
| 12429 | ხეტაფე-ბარსელონა | 1.70 | 1.90 |
| 12559 | გრონინგენი-ფეიენოორდი | 2.00 | 1.60 |
| 12560 | სპარტა-ნაიმეგენი | 2.00 | 1.60 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13003 | ტოტენჰემი-ბლექბერნი | 1.70 | 1.90 |
| 13189 | ტულუზი-ლე მანი | 1.90 | 1.70 |
| 13429 | ხეტაფე-ბარსელონა | 1.70 | 1.90 |
| 13559 | გრონინგენი-ფეიენოორდი | 1.70 | 1.90 |
| 13560 | სპარტა-ნაიმეგენი | 1.70 | 1.90 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

| | | | |
|---|---|---|---|
| 14003 | ტოტენჰემი-ბლექბერნი | 1.45 | 2.40 |
| 14189 | ტულუზი-ლე მანი | 1.45 | 2.40 |
| 14429 | ხეტაფე-ბარსელონა | 2.00 | 1.80 |
| 14559 | გრონინგენი-ფეიენოორდი | 1.80 | 2.00 |
| 14560 | სპარტა-ნაიმეგენი | 1.85 | 1.95 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | I-ში | თან. | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15003 | ტოტენჰემი-ბლექბერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15189 | ტულუზი-ლე მანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15429 | ხეტაფე-ბარსელონა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15559 | გრონინგენი-ფეიენოორდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15560 | სპარტა-ნაიმეგენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16003 | ტოტენჰემი-ბლექბერნი | 1.25 | 3.40 |
| 16189 | ტულუზი-ლე მანი | 1.23 | 3.60 |
| 16429 | ხეტაფე-ბარსელონა | 2.20 | 1.52 |
| 16559 | გრონინგენი-ფეიენოორდი | 1.62 | 2.05 |
| 16560 | სპარტა-ნაიმეგენი | 1.70 | 1.95 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17003 | ტოტენჰემი-ბლექბერნი | 1.85 | 1.95 |
| 17189 | ტულუზი-ლე მანი | 1.85 | 1.95 |
| 17429 | ხეტაფე-ბარსელონა | 1.85 | 1.95 |
| 17559 | გრონინგენი-ფეიენოორდი | 1.85 | 1.95 |
| 17560 | სპარტა-ნაიმეგენი | 1.85 | 1.95 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

RUGBY WORLD CUP 2007 FRANCE

# საფრანგეთისკენ



# მალხაზ ურჯუკაშვილი: ჩემი თავის მწვრთნელი მე ვარ

## ქართული გიორგობა კანში აღარ ეტევა

საქართველოს ნაკრების გარემარბს მალხაზ ურჯუკაშვილის ცხრაწლიანი სანაკრებო კარიერის მანძილზე 47-ჯერ უთამაშია „ლელოებში" და მეტოქეებისთვის ჯამში 247 ქულაც უთავაზებია. 28 წლის ურჯუკაშვილი კეპებით და ქულებით მხოლოდ პალიკო ჯიმშელაძეს ჩამორჩება. სტაჟიანი მენაკრებე, რომელმაც 2003 წლის მსოფლიოს თასზე ითამაშა, ახლა ფრანგულ „კანში" რაგბობს, მეტიც უკანა ხაზის მწვრთნელიცაა და მთავარი მწვრთნელის ასისტენტიც, მაგრამ შეიძლება, ძალიან მალე კლუბი გამოიცვალოს და გაცილებით მაღალ დონეზე ითამაშოს. როდესაც მალხაზ ურჯუკაშვილს საფრანგეთში დავუკავშირდით, ჯერ სარუბრიკო ამბები ვკითხეთ...

— წინა მსოფლიოს თასზე ერთადერთი მიზანი გქონდათ, მოგეგოთ ურუგვაისთვის. პირიქით კი მოხდა. ვინც მაშინ ითამაშა, უმეტესობა მიიჩნევს, რომ წარუმატებლობა შიდა დაპირისპირების და მწვრთნელ კლოდ სორელის ბრალი იყო...

— მეც ასე ვფიქრობ. გუნდში მართლაც იყო შიდა დაპირისპირება, რაც კლოდ სორელის გადაწყვეტილებებმა გამოიწვია და რისი დაკონკრეტებაც არ მინდა. ამასთან სორელმა არასწორი ტაქტიკა აირჩია, მატჩიდან მატჩამდე ცვლიდა შემადგენლობას და გადამწყვეტ მომენტში, ჩემი აზრით, გაუმართლებელი ნაბიჯი გადადგა, ურუგვაისთან ძირითადი შემადგენლობიდან მხოლოდ ხუთი-ექვსი კაცი ათამაშა, თანაც ამპლუები შეუცვალა. ერთსაც დავამატებ, ყველა „სიკეთესთან" ერთად ურუგვაიც ძლიერი გუნდი გამოდგა. ჩვენამდე ინგლისს, სამხრეთ აფრიკას და სამოას ეთამაშნენ და სამივეს შერკინებით გაუტანეს ლელო. ჩვენც შერკინებით გვაჯობეს, მაგრამ ეს უკვე წარსულია და, დარწმუნებული ვარ, ასეთი რამ აღარ განმეორდება.

— ესე იგი, წლევანდელ მსოფლიოს თასზე ნამიბიას მოუგებთ?

— საამისო გამოცდილება, ჯანი და ჭკუა უკვე გვაქვს, საფრანგეთის ჩემპიონატში თამაში თავისას აკეთებს. ნამიბია ძლიერი გუნდია, მაგრამ ღრმა, მსოფლიოს თასზე ერთი მატჩი ჩვენც მოვიგოთ, თანაც ახლა ბევრად უკეთესად ვთამაშობთ. მე არ ვამბობ, რომ მაშინ სორელმა რამე არ გვასწავლა, უბრალოდ, დროს გამოცდილება მოაქვს და ახლა უფრო თავდაჯერებულები ვართ.

— ნამიბიის გარდა ჯგუფში მასპინძელი საფრანგეთი, ირლანდია და არგენტინა გყავთ. ამათგან რომელთან შეიძლება შედარებით უკეთესად თამაში?

— საერთოდ ჩვენი ჯგუფი ძალიან ძლიერია. ამ სამეულიდან ყველა გრანდია, მაგრამ ერთი შეხედვით, საფრანგეთი და ირლანდია ფავორიტებად მიმაჩნია, თუმც არგენტინაც მაგრად მოყოჩდა, აგერ მსოფლიოს ჩემპიონი ინგლისი დამარცხდა სტუმრად და რატომღაც მგონია, რომ არგენტინა გუნდი სიურპრიზი იქნება. თუ ჩვენი თამაშის სტილს და ტაქტიკას გავითვალისწინებთ, არგენტინასთან კარგი მატჩი უნდა გამოგვივიდეს, დანარჩენი მერე ვნახოთ.

— მოდი კლუბზეც ვთქვათ. როგორ მიგდის საქმეები?

— მე კარგად, მაგრამ „კანის" რა გითხრათ... ისევ ნაციონალ 3-ში ვართ, რომელიც რანგით მეხუთე დივიზიონია. ორი ტური და მერე ახალ გუნდში გადავალ. რამდენიმე ვარიანტი მაქვს, მაგრამ ყველაზე რეალური და უკეთესი „ორიაკის" წინადადება. ეს გუნდი მომავალ სეზონში მეორე ელიტარულ ლიგაში ითამაშებს და კონტრაქტს ალბათ ამ კვირაშივე გავაფორმებ.

— „კანში" მოთამაშე მწვრთნელი ხარ...

— უკანა ხაზს ვწვრთნი და გუნდში მეხუმრებიან, შენი თავის მწვრთნელი ხარო. „კანი" ნახევრადპროფესიული კლუბია, ვარჯიშები კვირაში მხოლოდ ორჯერ გვაქვს და ზოგიერთ სამსახურის გამო ამასაც აცდენს. ვარჯიშებზე მაგრად მაბრაზებენ, მაგრამ თამაშისას არავის არ ვუყვირი, შეცდომა ყველას მოსდის, მათ შორის მეც.

— უკვე აღარ გკითხავ, სტაბილურად თამაშობ თუ არა?

— ჩემს თავს მე თვითონ ვაყენებ ძირითად შემადგენლობაში. აწყობილი მაქვს ცხოვრება. ეს ხუმრობით, ისე ყველაფერი მაინც მთავარი მწვრთნელის გადასაწყვეტია, მაგრამ აქ მართლა გამორჩეული ვარ და ყოველთვის ძირითადში ვთამაშობ.

— კანში ფრენბურთის ვარსკვლავი ვიქტორია რავა და მისი ქმარი საქართველოს ფრენბურთის ნაკრების კაპიტანი ამირან ჯიოშვილი ცხოვრობენ. მათ ნახულობ?

— ძალიან ხშირად. სამი დღის წინ, გიორგობაზე ერთად ვიყავით მართლმადიდებლურ ეკლესიაში ვიყავით და მერე ქართულად მოვილხინეთ. საერთოდ კანში და მის შემოგარენში ძალიან ბევრი ქართველი ცხოვრობს და თუ მიზეზია, ერთად ვიკრიბებით და მთელი ქალაქი გვეპატარავება.

**ბაჩო სვანიძე**

# შვიდკაცა სალაშქროდ მომზადდა

## ქართველებმა ძველი სახელი თვენახევარში უნდა დაიბრუნონ

**ათ დღეში** საქართველოს შვიდკაცა ნაკრებს თვენახევრიანი რაგბობა ეწყება. თითო კვირის ინტერვალით ჩვენები ევროპის ჩემპიონატის და მსოფლიო სერიების ორ-ორ ეტაპზე ითამაშებენ და თუ საჭირო რაოდენობის სარეიტინგო ქულებს დააგროვებენ, მოსკოვში გასამართ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე და საგაისო საშვიდკაცო მსოფლიოს თასზე ირაგბებენ.

კლოდ სორელის დროს საქართველოს ნაკრებმა ორჯერ ითამაშა მსოფლიოს თასზე — პირველად „ლელოებმა" მე-10 ადგილი დაიკავეს, მეორედ კი ერთი საფეხურით ჩამოქვეითდნენ, თუმც მსოფლიო სერიებზე ჩაუქობით ელიტარულ საშვიდკაცო ნაკრებად ითვლებოდნენ.

მას შემდეგ შვიდკაცა რაგბი აღარ იყო პრიორიტეტული, ახლა კი ჩვენები ძველი სახელის დაბრუნებას აპირებენ და საამისოდ ბოლო წლებში ალბათ ყველაზე ძლიერი ნაკრები შეკრეს.

საქართველოს ნაკრების ახლანდელმა მწვრთნელებმა მამუკა ტყეშელაშვილმა და კახა ალანიამ თვენახევრიანი შვიდკაცობისთვის 12-კაცა რაზმი დაასახელეს. ძირითადი შემადგენლობის გარდა რეზერვისტებად შეგულებულები არიან ნაკრების მენეჯერი და თბილისის „ლოკომოტივის" მელელოვე გიორგი „მეხანიკა" ასათიანი და სტაჟიანი მოშვიდკაცე ბადრი ხეხელაშვილი.

გამოსარჩევი კი, თუნდაც შვიდკაცა ნაკრებში თედო ზიბზიბაძეს დაბრუნებაა. ზიბზიბაძე ნაკრებში მიზეზთა გამო ორწლიანი პაუზის შემდეგ გამოჩნდა. არადა, შარშანწინ 15-კაცა ნაკრების საკვინძო მოთამაშედ ითვლებოდა. გუნდშია ერთ დროს სტაჟიანი ბორჯღალოსანი, ქართველ „ლომუდ" წოდებული ვასილი კაცაძე, ვინც ბოლო დროს საფრანგეთში 13-კაცა რაგბის თამაშობს. 13-კაცას თამაშობს მოსკოვის „ლოკომოტივის" შუამარბი ირაკლი ჩხიკვაძეც, რომელმაც უკვე მოასწრო „ლელოებში" რაგბობა და თავისი დაუნდობელი ბოჭვის გამო მეტსახელად „ქარიშხალა" შეერქვა.

დანარჩენები კი ან ახლანდელი მენაკრებეები არიან, ან შვიდკაცა რაგბის კარგად გაეგებათ.

საქართველოს ნაკრები თვენახევრიანი ვოაჟისთვის ვაკის მანეჟში და „ლოკომოტივის" სათადარიგო მოედანზე ცნობილი ფიზმომზადების მწვრთნელის ავთო ბერიძის მეთვალყურეობით ვარჯიშობს.

ჩვენებს პირველი ტურნირი 19-20 მაისს ელით. პოლონეთში ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთი ეტაპი გაიმართება.

**ბაჩო სვანიძე**

### საქართველო ევროპისა და მსოფლიოს ეტაპებზე

ვასილი კაცაძე, თედო ზიბზიბაძე, ბესიკ ხამაშურიძე, გიორგი კაჭარავა, ირაკლი ჩხიკვაძე, ბექა სარდანაშვილი, ლაშა ფირფილაშვილი, ვახტანგ ახვლედიანი, დავით ჟამუტაშვილი, ირაკლი გეგენავა, სანდრო ნიჟარაძე, ბექა კუპრეიშვილი



ორწლიანი პაუზის შემდეგ თედო ზიბზიბაძე ქართულ რაგბის დაუბრუნდა

# ალი ირჩევს ევროს

**ახალი ზელანდიის** ნაკრების მორკინალი ალი უილიამსი ფიქრობს, დათანხმდეს თუ არა ევროკონტრაქტს. „წლევანდელი სეზონის შემდეგ სანაკრებო კარიერას დავასრულებ და გაისად ევროპაში სათამაშოდ წავალ. მანამდე კი მთლიანად ზე-14-ის ნახევარფინალზე ვფიქრობ და შემოდგომაზე გასამართი მსოფლიოს თასისთვის ვემზადები. საბოლოო გადაწყვეტილებას სწორედ მსოფლიოს თასის დასრულების შემდეგ მივიღებ" — განაცხადა ოთაგოს „ბლუზის" მესამეხაზელმა.

ალი უილიამსს რამდენიმე ინგლისური და ფრანგული კლუბი ეპატიჟება და არჩევანს ალბათ საევროპოდ გააკეთებს.

# კოენმა ბოლშოუ დააბრუნა

**გლოსტერელი** მოიერიშე იან კოლშოუ ინგლისის ნაკრების მწვრთნელმა ბრაიან ეშტონმა „ვარდების" საზაფხულო შეკრებაზე გამოიძახა. 2003 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ბოლშოუ იქამდე ეშტონმა ნაკრებს მილმა დატოვა, მაგრამ ახლა გაირკვა, რომ კიდევ ერთი მსოფლიოს ჩემპიონი ბენ კოენი ტრავმის მორჩენას ვერ მოასწრებს.

ტრავმის გამო შეკრებას დააკლდებიან და სამხრეთაფრიკულ ტურნეზე „ვარდებს" ვერ წაჰყვებიან სტივ ტომპსონი, ბენ კოენი, მაიკ ტინდალი და მაიკ ქეთი.

# რა კარგი იყო შარშან...

**მასტერსი. რომი. იტალია. თიხნარი**
საპრიზო 2 200 000 $

**პირველი წრე**

**ფილიპო ვოლანდრი** (იტალია) — თეიმურაზ გაბაშვილი (რუსეთი) 6:0 6:3; **რიშარ გასკე** (13, საფრანგეთი) — ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) 6:1 7:5; **ხუან-იგნასიო ჩელა** (არგენტინა) — მარკ ჟიკელი (საფრანგეთი) 2:6 6:4 6:1; **იგორ ანდრეევი** (რუსეთი) — დავიდ ფერერი (14, ესპანეთი) 6:4 6:1; **ნიკოლას მასუ** (ჩილე) — სიმონე ბოლელი (იტალია) 6:3 7:6; **მიხაილ იუჟნი** (15, რუსეთი) — ჟულიენ ბენეტო (საფრანგეთი) 6:1 3:6 6:2

**მეორე წრე**

**ტომაშ ბერდიხი** (12, ჩეხეთი) — ალბერტ მონტანესი (ესპანეთი) 7:6 6:3; **ხოსე აკასუსო** (არგენტინა) — ივან ლიუბიჩიჩი (8, ხორვატია) 6:4 6:3; **ენდი როდიკი** (3, აშშ) — გასტონ გაუდიო (არგენტინა) 6:1 7:6; **მარკოს ბაღდატისი** (კვიპროსი) — რადეკ შტეპანეკი (ჩეხეთი) 3:6 7:6 6:2; **ნოვაკ ჯოკოვიჩი** (5, სერბეთი) — რობინ სოდერლინგი (შვედეთი) 3:6 6:4 6:3

**ქალები**
ბერლინი. გერმანია. თიხნარი. საპრიზო 1 340 000 $

**მეორე წრე**

**ჟუსტინ ენინი** (1, ბელგია) — ტატიანა მალეკი (გერმანია) 6:1 6:1; **შუაი პენგი** (ჩინეთი) — ზუზანა ონდრასკოვა (ჩეხეთი) 7:5 6:1; **მარტინა მიულერი** (გერმანია) — შაჰარ პეერი (13, ისრაელი) 6:2 7:6; **ელენა დემენტიევა** (10, რუსეთი) — მეგან შონესი (აშშ) 5:7 6:3 6:1; **ნადია პეტროვა** (7, რუსეთი) — სევერინ ბრემონდი (საფრანგეთი) 6:4 6:2; **ანა ივანოვიჩი** (12, სერბეთი) — ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) 6:3 6:2; **მარტინა ჰინგისი** (4, შვეიცარია) — კატერინა ბონდარენკო (უკრაინა) 7:5 7:6; **იულია ვაკულენკო** (უკრაინა) — მეილენ ტუ (აშშ) 6:1 7:6; **ალიონა ბონდარენკო** (უკრაინა) — ტატიანა გარბინი (17, იტალია) 6:4 6:3; **დინარა საფინა** (8, რუსეთი) — ლურდეს დომინგეს ლინო (ესპანეთი) 6:4 6:3; **პატი შნიდერი** (15, შვეიცარია) — ვირხინია რუანო პასკუალი (ესპანეთი) 6:0 6:1



ენდი როდიკი

**წარმატებით** დაიწყო თავისი სათიხნარო კამპანია ენდი როდიკმა. იანკი-ბოიმ „როლან გაროსის“ ექსჩემპიონი, მაგრამ ამ ბოლო დროს უსაზიზღრესად მოთამაშე გასტონ გაუდიო დასცა. მართალია, არგენტინელი ძველებურ ძალას აღარ წარმოადგენს და გრუნტზეც თითქმის ველარავის ვერ უგებს, მაგრამ ამ საფარზე როდიკის კარგი გამოსვლა მაინც უნდა აღინიშნოს, მით უმეტეს მაშინ, როცა ასე ადვილად იგებს.

ამერიკელი განსაკუთრებით შთამბეჭდავი პირველ სეტში იყო, როდესაც სასტიკად გადაუარბინა გაუდიოს და მხოლოდ გეიმი დაუთმო. მეორე პარტიაში კი უფრო თანაბარი ბრძოლა გაჩაღდა, რაც თუნდაც იქიდან ჩანს, რომ როდიკმა მხოლოდ მეხუთე მატჩ-პოინტიდან შეძლო საბოლოო გაამრჯვების განაღდება.

აი, ძლიერი მოწოდებისა და ბადესთან თამაშის კიდევ ერთ მოტრფიალე ივან ლიუბიჩიჩს კი არ გაუმართლა. ხორვატი წლეულს ვერ არის ძველებურ იშტაზე და რეიტინგში სულ უფრო ქვევით მიექანება. ბალკანელისგან რომში მთების გადატრიალებას ისედაც არ ელოდნენ, მაგრამ ასე ნაადრევად თუ დატოვებდა იტალიის დედაქალაქს, მაინც ძნელი წარმოსადგენი იყო. ლიუბიჩიჩის ცოდვა ხოსე აკასუსომ დაიდო.

სამაგიეროდ, მეორე ბალკანელი, ოღონდ ხორვატი კი არა სერბი, ნოვაკ ჯოკოვიჩია დიდებულ ფორმაში. ნოვაკს თავიდან ცოტა გაუჭირდა და რომაულ თიხას ალღო ვერ აუღო, მაგრამ სეტის წაგების შემდეგ გამოფხიზლდა და რობინ სოდერლინგს წირვა გამოუყვანა.

მესამე წრეშია გასული სეზონის ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული ფიგურა მარკოს ბაღდატისიც. კვიპროსელი არ დაგიდევთ, რა საფარზე უწევს თამაში — მისგან სიურპრიზები ყოველთვის მოსალოდნელია და ნაჩვენები თამაშიდან გამომდინარე, კუნძულელისგან ამ კვირასაც რაიმე საინტერესოს უნდა ველოდოთ. ამჯერად კი ბაღდატისმა რადეკ შტეპანეკი წააქცია.

კარს მომდგარი საფრანგეთის ღია ჩემპიონატისთვის ემზადებიან ქალებიც, რომელთა უმრავლესობამაც ამჯერად თავი ბერლინში მოიყარა. თუმც გუშინწინ გერმანიის დედაქალაქში ცამ პირი მოაღო და ჩოგნის მქნეველნი კორტებიდან გაყარა, რის გამოც მატჩების გრაფიკი გვარიანად აირია. ამიტომაც გუშინ ჩვეულზე მეტი თამაში ჩატარდა.

ჯერჯერობით წინ მიიწევენ შარშანდელი ფინალისტები ჟუსტინ ენინი და ნადია პეტროვა. ტურნირის წინ ორივემ იმედი გამოთქვა, რომ შარშანდელის გამეორებას შეძლებდნენ. მაგრამ ერთდროულად ნაკლებად გამოუვათ, რადგანაც წარმატებული სვლის შემთხვევაში, მათ ერთი წრით ადრე, ნახევრფინალში მოუწევთ შეხვედრა.

მაგრამ იქამდე მაინც დიდი დროა და ამიტომ მათ გუშინდელ შედეგებს გადავხედოთ. ენინით დავიწყოთ, რომელიც ფანტასტიკურ ფორმაშია და ჯერჯერობით თიხნარზე ყველას უმოწყალოდ უსწორდება. ჭინკა ბელგიელის მორიგი მსხვერპლი კი მასპინძელი ტატიანა მალეკი გამოდგა, რომელსაც ენინმა მხოლოდ ორი გეიმი დაუთმო.

არ გასჭირვებია ამ ეტაპის გადალახვა პეტროვასაც, რომელმაც ოდნავ მეტი იწვალა სევერინ ბრემონდთან, მაგრამ რუსის უპირატესობაში ეჭვის შეტანა მაინც არ შეიძლებოდა.

პეტროვას სერიოზული გამოცდა ახლა ელის თანამემამულე ელენა დემენტიევას სახით, რომელიც გუშინ სამ სეტში მოერია მეგან შონესს.

მესამე წრეშია მარტინა ჰინგისიც. ოღონდ შვეიცარიელი თავის პირველ სათიხნარო ბატალიაში ცოტა მძიმედ გამოიყურებოდა და კატერინა ბონდარენკოს დამარცხებას ბლომად ძალები შეალია.

**ძახა ლომაშვილი**

# ტატიშვილს ძველი ბრანდი ერგო

**ქართველმა** ჩოგბურთელმა ანა ტატიშვილმა ამერიკელების — ჩელსი პრეგისა და სიდნი ლიუტერსის ძლევის შემდეგ რუსული წარმოშობის კანადელს, 19 წლისა და კარიერის უმაღლეს, 347-ე სარეიტინგო ადგილზე მყოფ ეკატერინა შულაევასაც ორ სეტში — 7:5 6:4 მოუგო და ამერიკის შეერთებულ შტატებში, ფლორიდულ ქალაქ ინდიან ჰარბორ ბიჩის თიხაზე ITF-ის ეგიდით მიმდინარე 50-ათასიანი ტურნირის ძირითად ბადეში შეაღწია.

ძირითად ტურნირში 17 წლის ჩვენებურის პირველი მეტოქე მეხუთე ნომრად განთესილი მრავალნაცადი პუერტორიკოელი კრისტინა ბრანდი იქნება. 30 წლის ბრანდი ამჟამად 171-ეა კლასიფიკაციაში, მაგრამ 2000 წელს, კარიერის პიკზე მყოფი ტოპ-ჩოგბურთელთა სიახლოვეს ტრიალდება და რეიტინგის 27-ე პოზიციაზე იმყოფებოდა. სწორედ იმ სეზონში კრისტინამ ავსტრალიის ღია პირველობისა და უიმბლდონის მერვედფინალებსაც უწია. თუ ამ პუერტორიკოელსაც აჯობებს, მერე ტატიშვილის მეტოქე კლასიფიკაციაში 307-ე ადგილზე მყოფი 18 წლის ფრანგი ირენ პავლოვიჩი იქნება, რომელმაც უკვე ჩაატარა პირველი წრის შეხვედრა და 6:4 6:2 დაამარცხა მასპინძელი ჯულია კოენი.





# ავიას აშენებული თსუ-მ ვერ დაანგრია

„ჩვენი გუნდი ბევრს დაშლილი ეგონა, ფიქრობდნენ, რომ თსუ-ს ვერ მოვუგებდით, მაგრამ ფინალში საკმაოდ იოლად გავედით და ჩემპიონობისთვისაც ბოლომდე ვიბრძოლებთ“ — ამბობს „ავიამშენის“ მთავარი მწვრთნელი **ლევან მოსეშვილი**, რომელიც თვენახევარი შეუძლოდ იყო და ზედ ნახევარფინალის დაწყების დღეს შეუერთდა გუნდს. „ავიატორებმა“ ამ სეზონში უკვე მოიგეს თასი და თუკი ჩემპიონებიც გახდებიან, ხომ კარგი, არადა, მოსეშვილი თავის ბიჭებს ვერაფერს უსაყვედურებს — მათ მეტად რთულ პერიოდში მოახერხეს მობილიზება და არანაკლებ ძლიერი მეტოქე გზიდან ჩამოიშორეს. ლევან მოსეშვილს გუშინ რომ შევეხმიანეთ, ძირითადად ნახევარფინალურ მატჩებზე ვესაუბრეთ...

— ნამდვილად არ მეგონა, სერიას 3:0 თუ მოვიგებდით. მე უფრო იმას ვვარაუდობდი, რომ საქმე მეხუთე, გადამწყვეტ მატჩამდე მივიდოდა, მაგრამ ბიჭებმა ძალიან მოინდომეს. ყველა დავალება ზუსტად შეასრულეს და ბევრ ქომაგს სიურპრიზი შესთავაზეს.

— „ავიამშენს“ სერიის დაწყებამდე სერიოზული ძალა გამოაკლდა — გუნდის კაპიტანი ირაკლი ხოშტარია. ვინ მოახერხა მისი შეცვლა?

— მთლიანმა გუნდმა. ჩვენ პირველ რიგში გუნდური თამაშით დავამარცხეთ თსუ. ხოშტარიას არყოფნამ ბიჭები გააერთიანა და საბრძოლოდ მომართა. ყველამ თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი გაიღო და ასეთ დროს გასაკვირი არაა, სერია მშრალად რომ მოვიგეთ.

— იყო ისეთი რამ, რაშიც თსუ-მ გაჯობათ?

— ვფიქრობ, არა, თუმც ყველაზე დიდი პრობლემა რიჩარდ მათიაშვილმა შეგვიქმნა, რომლის ასე თუ ისე გაუვნებლება ბოლო შეხვედრაში მოვახერხეთ და, როგორც გამოჩნდა, ყველაზე იოლად სწორედ ეს მატჩი მოვიგეთ. სერიის მესამე შეხვედრის ხუთეულში იმიტომ დავაყენე ლადო სუხიშვილი, რომ მათიაშვილი დაეჭირა. მან ეს დავალება კარგად შეასრულა. დაცვაში საიმედოდ იდგა, ეგაა, შეტევაში ვერ იყოჩაღა, მაგრამ ზვიად ბაბიაშვილის წყალობით ამ მხრივ სუხიშვილის დახმარება აღარ დაგვჭირვებია.

— ბაბიაშვილმა მართლაც კარგად ითამაშა, თუმც მეორე მატჩში თითქმის არ ჩანდა...

— მან სერიის პირველ მატჩს დიდი ძალები შეალია და მეორეში ძალიან გადაღლილი იყო. საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის დროს „დინამოს“ 6 დღეში 5 მატჩის თამაში უწევდა, მაგრამ ფიზიკურად არავინ იფიტებოდა. ის ამტანობა რომ ახლა ჰქონდეს „ავიამშენს“, ანაც სხვა რომელიმე გუნდს, ჩემპიონი უპრობლემოდ გახდებოდა.

— თქვენი აზრით, რაში წააგო თსუ-მ?

— მათ აშკარად აკლდათ შემართება. თსუ-ს მე უფრო მებრძოლ გუნდად ვიცნობდი. ისინი ხშირად მიმართავდნენ ზონურ პრესინგს და რეგულარულ ჩემპიონატშიც ბოლო შეხვედრები ამის წყალობით მოგვიგეს. ჩვენ ძალიან კარგად გვქონდა თსუ-ს ეს ტაქტიკა შესწავლილი და შესაბამისად მოვემზადეთ. როცა მეტოქე პრესინგს მიმართავდა, ორი, ხშირად სამი გამთამაშებელი გამყავდა მოედანზე და მათ უპრობლემოდ გადაჰქონდათ ბურთი მეტოქის ნახევარზე. ამ საქმეში ძალიან დაგვეხმარა ბუბა კვიმსაძე, თუმც დანარჩენ უკანახაზელსაც გამოვარჩევდი. ირაკლი ბერიშვილმა საერთოდ სასწაული ჩაიდინა — სერიის მეორე მატჩში 42 ქულა ჩააგდო. როცა თითქმის ყველას გაუჭირდა, მისი დახმარებით გავიმარჯვეთ.

— ნახევარფინალი უკვე წარსულია, წინ ფინალი გელით. რას იტყვით „აზოტზე“?

— სხვათა შორის, თავიდან რომ გეკითხათ, მერჩივნა, ნახევარფინალი „აზოტთან“ გვეთამაშა, რადგან თსუ-ს უფრო უხერხულ მეტოქედ მივიჩნევდი. რუსთაველებს, რა თქმა უნდა, ძლიერი გუნდი ჰყავთ, მაგრამ თუ ისევე კარგად ვითამაშებთ დაცვაში, როგორც თსუ-სთან, შანსები თანაბარი იქნება. მთავარია, შემართება არ მოგვაკლდეს.

— ირაკლი ხოშტარია არ დაგემატებათ?

— ათ დღეზე მეტია, ირაკლის გუნდთან არ უვარჯიშია და ფორმიდან ამოვარდნილი იქნება. ახლა ჩვენ ის უფრო როგორც კაპიტანი, ისე გვჭირდება. ხოშტარიას მებრძოლი ხასიათი აქვს და გადამწყვეტ მომენტში მისი მოედანზე ყოფნა ორმაგად სასარგებლოა. მისი აუცილებლობა უფრო ფინალის რუსთავულ თამაშებში იქნება, სადაც დიდ ფსიქოლოგიურ ზეწოლას მოველით. თუ სერია გადამწყვეტ მატჩამდე მივიდა, ვფიქრობ, ხოშტარია თავის სიტყვას იტყვის.

**ირაკლი ბერტაია**

PLAYOFFS 2007

# ცხვირი მაღლა, სტივ!

## ფინიქსმა სან ანტონიოს ავანტიურა გაუკეთა

8 მაისი

### დასავლეთი

**ფინიქსი 1:1 სან ანტონიო**

**ფინიქსი 101:81 სან ანტონიო**

**ფინიქსი:** სტუდემაიერი (27 ქულა, 9 მოხსნა), ნეში (20 ქულა, 16 პასი), ბელი (18), ბარბოსა (13), ტომასი (12)

**სან ანტონიო:** დანკანი (29 ქულა, 11 მოხსნა), პარკერი (13), ბოუენი (13), ფინლი (11)

**სტივ ნეშის** გადაჩეხილი და ექვსნაკერდადებული ცხვირი, შინ ბოლო წუთებზე წაგება... „ფინიქსის" მწვრთნელი მაიკ დანტონი არაფრით დაუშვებდა მეორე თამაშშიც პირველის სცენარის გამეორებას. 0:2 ჩამორჩენით სან ანტონიოში ჩასვლა სერიის წაგებას ნიშნავს.

და როგორც ჩანს, დანტონი ავანტიურაზე წავიდა. მთელი ეს „ფინიქსი" ხომ კარგად ორგანიზებული ავანტიურაა, თუნდაც კლასიკური კალათბურთის მქადაგებელი გრეგ პოპოვიჩის „სან ანტონიოსგან" განსხვავებით. ამ ჯერზე დანტონიმ ის გააკეთა, რამაც თმები ლამის ყალყზე დაუყენა 20 ათას ფინიქსელს. „თაროდან ჩამოიღო" ღრმა სათადარიგო მეფარე კურტ ტომასი, ხუთეულში გაამწესა და უთხრა, აბა, შენ იცი, როგორ მიმიხედავ ტიმ დანკანსო. მეორე მოულოდნელობა ის იყო, რომ დანტონიმ ნბა-ს ყველაზე სწრაფ მოთამაშე ტონი პარკერს (მათემატიკურად გაზომილ-გამოთვლილია მისი სისწრაფე) მეურვედ დაუყენა... 115-კილოგრამიანი მძიმე ფორვარდი შონ მერიონი.

რა გამოვიდა ამ ცვლილებებიდან, ეს ანგარიშიდანაც ჩანს — „ფინიქსმა" 20 ქულით მოუგო „სან ანტონიოს" და სერიაში ანგარიში გაათანაბრა. კურტ ტომასი საკმაოდ დამაჯერებელი იყო, ყოველ შემთხვევაში, პირველ ტაიმში მაინც, ხოლო შონ მერიონმა ისე კოხტად გააჩერა წინა შეხვედრაში 32 ქულის გამკეთებელი პარკერი, რომ ამიერიდან ალბათ ამპლუას გამოუცვლიან და გამთამაშებლობას ასწავლიან დღე-ღამ ფარქვეშ „მცხოვრებ" ფორვარდს.

ისე კი სათქმელია, რომ ტომასი 2 წელია „ფინიქსშია" და ამ ხნის განმავლობაში დანტონიმ მხოლოდ 8-ჯერ დააყენა ძირითად შემადგენლობაში, ისიც ლიდერთა ტრავმების გამო და მიუხედავად იმისა, რომ „ფინიქსმა" რვავე თამაში მოიგო, ტანმძიმე ტომასი მაინც ღრმა სათადარიგოდ დაბერდა ამ ზესწრაფ გუნდში. როგორც ჩანს, ის შეეგუა თავის ბედს, რაკი ამ მოგებით კმაყოფილობდა — „მე ყოველთვის დამცველად მზრდიდნენ. ჯერ იმ საშინელ პატ რაილისთან ვიყავი, მერე იმაზე უარეს ჯეფ ვან განდისთან, ასე რომ, ასეთი ტიპის თამაშში მე შინ ვგრძნობ თავს."

მხოლოდ პარკერის მადევარმა მერიონმა ვერ აგროვა ქულები, თორემ სხვა ყველა ფინიქსელმა მოიერიშემ თავისი წილი ქულები ნებიერად ყარა დანტონის ცვლილებების გამო ცოტა დაბნეული სანანტონიოელების კალათში. ამარე სტუდემაიერმა 27 ქულიდან 21 მეორე ტაიმში მოიხვეჭა. წინა თამაშში ცხვირდასახიჩრებულმა სტივ ნეშმა კი, ვითომც ორი დღის წინ არაფერი მოსვლიაო, 20 ქულას 16 პასიც მიაყოლა.


AFP ფოტოქრონიკა

ცხვირით თუ უცხვიროდ, ნეში ყოველთვის ნეშია

# ბებერმა დევმა დალასისკენ გაიხედაო

**ნბა-ს** გუნდების ლამის სამი მეოთხედისთვის წლევანდელი სეზონი დასრულდა — ზოგი პლეი ოფის პირველივე რაუნდიდან გავარდა, ზოგი კი იქ საერთოდ ვერ მოხვდა. ცხადია, ამ გუნდებს ნაკლებად აინტერესებთ, მათ გარეშე რა მოხდება ამ პლეი ოფში, მოთამაშეები შვებულებაში არიან და ალბათ სადმე პლაჟებზე პალმების ჩრდილში ასვენებენ შვიდი თვის განმავლობაში ნატანჯ სხეულს. გავარდნილთა გენერალური მენეჯერები კი სწორედ ახლა იწყებენ ფუსფუსს და წვალებას, რათა თავიანთი გუნდები მომავალი სეზონისთვის გააძლიერონ.

თამაშგარეთ დარჩენილთაგან ყველაზე არასახარბიელო მდგომარეობაში „დალას მავერიკსია". ამ გუნდს ხომ ლამის ტრაგედია გადახდა, რეგულარულ ჩემპიონატში მან ყველას ბდღვირი ადინა, 67 თამაში მოიგო და ნბა-ს 60-წლიან ისტორიაში მეექვსე შედეგი დააფიქსირა. მაგრამ დადგა პლეი ოფი, მიადგა მას ყოფილი მწვრთნელის დონ ნელსონის ახალი გუნდი, გოლდენ სტეიტ უორორზი" და 4:2 მოგებით ჩაუშხამა ჩემპიონობისკენ გაწვდილი ოცნებები.„ჩვენ პანიკაში არ ვართ და ჯერ არ მინდა იმის თქმა, რომ ჩემს გუნდში რამეს შევცვლი. უბრალოდ, ვიცდით" — ამბობს „დალასის" ექსცენტრული მფლობელი, მილიონერი მარკ კუბანი.

ამ დროს კი ფარდებს მიღმიდან ხმები ისმის, რომ „მავერიკსს" კიდევ ერთი სეზონჩაფლავებული ბოლოლა გუნდიდან ბოლო ათწლეულის უძლიერესი მეფარის გადმოყვანა უნდა. ვერ ხვდებით, ვისზეა საუბარი? ვისზე და შაკილ ონილზე, რომლის „მაიამიც" ასევე პირველი წრიდან გამოაგდეს. შაკილი 35 წლისაა, მომავალ სეზონში უკვე 36-ის იქნება და არავის აქვს იმის ილუზია, რომ ის მოუმატებს, ან თუნდაც იმად დარჩება, რაც ახლაა. შაკს სულ უფრო და უფრო უჭირს თამაშში 20 ქულის მოხვეჭა, არადა, სეზონში ხელფასად 20 მილიონს იღებს. კონტრაქტის მიხედვით, ის „მაიამიში" კიდევ სამი წელი უნდა დარჩეს და გუნდს 60 მილიონი ააფცქვნას, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ გუნდს სერიოზული პრობლემები ექნება ნორმალური შემადგენლობის შეკრებისას. მაშ, გაცვლა ან გაყიდვა?

აბა, ვის გინდათ შაკილ ონილი?

ბევრს უნდა. „დალასს" ჯერ კიდევ მაშინ უნდოდა, როცა 2004 წელს ფინალში „დეტროიტთან" წაგების შემდეგ „ლეიკერსში", დევკაცის გაშვებაზე ალაპარაკდნენ. მაშინ ყველას „მაიამიმ" აჯობა. ასე რომ, „დალასს" ცოტა გვიან, მაგრამ მაინც უჩნდება შანსი, თავისი ოცნების მოთამაშე ცოტა „შელახულ მდგომარეობაში", მაგრამ მაინც მიიღოს. მთავარია, კუბანმა სერიოზულად მოინდომოს.

**კოტე ყორშია**

# ჩემსას მაინც გავაკეთებ!

## ჯეიმსმა კარტერი აალაპარაკა


AFP ფოტოქრონიკა

ლებრონ ჯეიმსი და ვინს კარტერი

### აღმოსავლეთი

**კლივლენდი 2:0 ნიუ ჯერსი**

**კლივლენდი 102:92 ნიუ ჯერსი**

**კლივლენდი:** ჯეიმსი (36 ქულა, 12 პასი), პავლოვიჩი (17), ილგაუსკასი (13), ჰიუზი (12), გუდენი (10 ქულა, 14 მოხსნა)

**ნიუ ჯერსი:** კარტერი (26 ქულა, 7 პასი, 6 მოხსნა), ჯეფერსონი (22), კიდი (17 ქულა, 10 მოხსნა, 8 პასი), მური (15)

**ლებრონ ჯეიმსის** „კლივლენდი" — კომუნისტები და მათი ლოზუნგები იქით იყვნენ და — მართლა უდანაკარგოდ იღებს მოსავალს. „ვაშინგტონის" 4:0 შემუსვრის შემდეგ კლივლენდური „კავალერია" ნიუჯერსელ „ბადეებს" მისდგა და ორი შინაური თამაშში ერთიანად ჩამოუხია კალათი, რითაც პლეი ოფში ზედიზედ მოგებათა რიცხვი 6-მდე აიყვანა, ხოლო თუ პლეი ოფს რეგულარული ჩემპიონატის ბოლო მატჩებსაც მივათვლით, „კლივლენდი" აგერ 10 თამაშია, წაუგებლად ბოგინობს.

ლებრონ ჯეიმსი მანამდეც რიგიანად ირჯებოდა და ახლა ხომ ამ პლეი ოფში საუკეთესო თამაში ჩაუტარა ნიუჯერსელებს. „მომეცით ბურთი"! — ის ერთთავად ამას გაიძახოდა და ყველა შეტევას თვითონ წარმართავდა, თან ყოველგვარი ცანცარის და დაუფიქრებლობის გარეშე. 22 წლისა კია, მაგრამ დაღვინდა ლებრონ-ბიჭუნა. მან ქულებიც და პასებიც იმდენი აგროვა, რამდენიც არც ერთ წლევანდელ საპლეიოფო მატჩში არ მოუგროვებია.

ლებრონი კვლავ ასცდა 20-ქულიან ზღვარს. სტატისტიკოსებმა ბრძანეს, მას პლეი ოფში 19 მატჩი მოულევია და თითოეულ მათგანში სულ ცოტა, 20 ქულა ჩაუგდიაო. მერე არქივები ამოქექეს და დაასკვნეს, რომ ამ მხრივ მასზე წინ მხოლოდ ქარიმ აბდულ-ჯაბარი დგას, ვინც თავის პირველ 27 მატჩში იხვეჭა 20 და მეტი ქულა.

ახლა საკუთრივ თამაშზეც ვთქვათ: პირველი სამი მეოთხედი „კლივლენდი" და „ნიუ ჯერსი" მხარდამხარ მიიბრძოდნენ და ბოლო 12-წუთეულის წინ სხვაობა მინიმალური იყო, მასპინძლები 74:73 იგებდნენ. და მაშინ, როდესაც დარბაზში შეკრებილი 20 ათასი გულშემატკივარი პოპკორნის ნერვიული კნაწუნით ელოდა გადამწყვეტი მეოთხედის დაძაბულ ჯახს, ეს ჯახი არ შედგა — მასპინძლებმა თანდათან გადაძალეს სტუმართა დაცვა, რამდენიმე შედეგიანი შეტევით და დაცვაში კარგი თამაშით დაახლოებით 10-ქულიანი უპირატესობა შეიქმნეს და „ნიუ ჯერსიმ" ვეღარაფრის შეცვლა ვეღარ მოახერხა.

მთლიანობაში „ნიუ ჯერსიმ" მაინც კარგად ითამაშა, რაც შემდეგი ორი შეხვედრისთვის გვარიან ინტრიგას ქმნის. „კლივლენდი" ხომ არც ისე დამაჯერებლად ბურთაობს გასვლით შეხვედრებში.

მაგრამ თავის მხრივ ნიუჯერსელთა მთავარ ბომბარდირსაც გასასწორებელი აქვს მიზანი. ვინს კარტერმა ამ შეხვედრაში 26 ქულა კი მოინაგრა, მაგრამ არასტაბილურად ისროდა — 26 ტყორცნიდან 16 მეტოქეს ჩააბარა, კლივლენდელებმა კი 3-ის გარდა ნიუჯერელთა ყველა აცილებული ბურთი მოხსნეს და მათ მეორე შეტევის შანსი დაუკარგეს.

კარტერი ნამატჩევს მაინც გულზე მჯიღს იცემდა — ცუდად ვესვრი, მაგრამ ეგ არაფერს ნიშნავს, მე ჩემი საქმე ვიცი და ჩემსას მაინც გავაკეთებო.

**კოტე ყორშია**

ძალოსნობა

# კიდევ ერთხელ პეკინის შემდეგ



**ათენის ოლიმპიურ თამაშებზე ქართველი ათლეტების გამარჯვებით მთელმა ერმა გაიხარა. სიამაყით მივჩერებოდით ტელეეკრანებს და ჩვენი ჩემპიონების, ზურაბ ზვიადაურისა და გიორგი ასანიძის შემყურეთ რწმენა გაგვიჩნდა — კვლავაც შეგვძლებია დიდი გამარჯვებების მოპოვება. იმ დღეებში ქართველი კაცი წელში გამართული დადიოდა. თბილისში დაბრუნებულ ოლიმპიურ გმირებს გრანდიოზული დახვედრა-ზეიმი მოუწყეს. ქვეყნის პრეზიდენტმაც, ბიზნესმენებმაც და გულშემატკივრებმაც ღირსეულად დააფასეს მწვრთნელ-სპორტსმენების ვაჟკაცობა. ახალმა ოლიმპიურმა ციკლმა კარგა ხანია, ეკვატორი გადაკვეთა და ჩვენი ჩემპიონებიც პეკინის თამაშებისთვით ემზადებიან. დაფნის გვირგვინის კიდევ ერთხელ შემკობის სურვილი ყველას აქვს, თუმც ისიც ვიცით — ტიტულის შენარჩუნება უფრო ძნელია, ვიდრე მისი მოპოვება. დღეს ვერავინ იტყვის, რას მივაღწევთ პეკინში, ამიტომაც სამომავლო შანსებისა და პერსპექტივების შესახებ თავად გიორგი ასანიძესა და მის მწვრთნელს, ვანო გრიქუროვს დავეკითხეთ...**

**— გიორგი, გამოცდილი ათლეტი ხარ და კარგადაც მოგეხსენება, რომ სპორტში ასაკს დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგალითიც თვალწინაა — კახი კახიაშვილს, ზედიზედ სამი ოლიმპიური გამარჯვების შემდეგ, ათენში ხელი მოეცარა. მაშინ იგი 35 წლის იყო. გაისად შენ 33 წლის გახდები. შეძლებ კი რომელიმე ხარისხის მედლის მოპოვებას?**

— კახი უდიდესი სპორტსმენია. მსოფლიოში მსგავს შედეგებს მხოლოდ რამდენიმემ მიაღწია. ათენში მას ვერცხლის ჯილდო მაინც უნდა აეღო, რომ არა ბერძენი მწვრთნელების ვარჯიშის არასწორი მეთოდები. კახიაშვილი ჩემი მეგობარი და ბავშვის ნათლიაა, ჩემთვის იგი კერპია. რასაც მივაღწიე ძალოსნობაში, მისი დიდი წვლილიცაა.

რაც შეეხება შენს კითხვას — ადამიანმა არ იცის, სად გადის მისი შესაძლებლობების ზღვარი. მართალია, 30 წლის შემდეგ დიდი შედეგების მიღწევა რთულდება, მაგრამ ვფიქრობ, სწორად შერჩეული სტრატეგიით და წვრთნის მეთოდებით ვეტერანებსაც გვაქვს სოლიდური გამარჯვებების მოპოვების შანსი.

**— ალბათ ოცი წელი მაინცაა, რაც რკინას ეჯაჯგურები, დავიჯერო, არ მოგბეზრდა?**

— ნამდვილად არ მომბეზრდა. სპორტი ნარკოტიკივითაა, მოპოვებული ტიტულები მსიამოვნებს, მაგრამ კაცს მეტის მიღწევა გწყურია. რკინასთან ჭიდილის სტიმულიც ესაა.

საჩხერის რაიონში, სადაც ვიზრდებოდი, ძალოსნობა ძალიან პოპულარული იყო, რაც საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრების ამჟამინდელი მწვრთნელის ზაზა თურმანიძის მამის, ბატონ ანდროს დამსახურებაა. გასული საუკუნის 70-იან წლებში საბჭოთა კავშირის ნაკრებში საჩხერელი ძალოსნებიც იყვნენ. ჩემს უბანში ბავშვების უმეტესობა სწორედ სპორტის ამ სახეობაში ვარჯიშობდა. მეც აქეთ გამომიწია გულმა და ბატონ გოგი თოდაძესთან დავიწყე ვარჯიში.

შეიძლება, ვინმე ძალოსნობას არადინამიურად მიიჩნევდეს, მე კი მას ხელოვნებას შევადარებდი. როგორც მოქანდაკე ძერწავს რომელიმე სკულპტურას, ასევე ძალოსანი წლობით ქმნის თავის გამარჯვებას, გამარჯვება კი თავისთავად ლამაზია. რამდენად ამჩნევს მაყურებელი ამ სილამაზის შუქ-ჩრდილებს, ეს უკვე მის გემოვნებაზეა დამოკიდებული.

ერთ მაგალითს გეტყვი და თავად განსაჯე. ათენის ოლიმპიურ თამაშებზე ჩემი და ბერძენი პიროს დიმასის პაექრობას თურმე ტელევიზიით 800 მილიონი გულშემატკივარი უყურებდა. დამეთანხმე — ესთეტიკურად ლამაზი რომ არ იყოს, არც ამდენი მაყურებელი გვეყოლებოდა.

**— ცოცხალ მეტოქეს რომ ებრძვი, გამარჯვების თუ დამარცხების შემთხვევაში მის მიმართ გარკვეული სიმპათია ან ანტიპათია გიჩნდება. შტანგისადმი როგორია ძალოსანთა დამოკიდებულება?**

— შტანგა ცივი საგანია, რკინაა და ბუნებრივია, ვერც გაუბრაზდები. თუმცა ყოფილა შემთხვევა, ვერ ამიწევია და სიმწრისგან ფეხიც მიმირტყამს, მაგრამ შემდეგ დავფიქრებულვარ — რას ერჩი ამ რკინას, მას ხომ არ უთხოვია, ამწიეო. ისევ საკუთარ თავზე და შენს ნერვებზე ხარ დამოკიდებული. ამიტომ ამ ცივ საგანსაც პატივს ვცემთ და ვაფასებთ.

**— მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ძალიან პოპულარული ხარ, ჟურნალისტები მხოლოდ შენს სპორტულ მიღწევებზე წერენ, ხოლო ბავშვობისა და ოჯახის შესახებ ბევრი არ ვიცით.**

— წარმოშობით ჩვეულებრი გლეხის ოჯახიდან ვარ და განებივრებულიც არაფრით ვყოფილვარ. ერთადერთი, რვა დაძმას შორის, როგორც ნაბოლარა, მცირე პრივილეგიებით ვსარგებლობდი. მყავს ხუთი და და ორი ძმა. სხვათა შორის, ჩემი ძმები საკმაოდ პერსპექტიული სპორტსმენები იყვნენ. თომა კრივში ვარჯიშობდა, ხოლო გოჩას ფეხბურთელობა სურდა.

სწავლითაც, მეხუთე კლასამდე წარმატებული მოსწავლე ვიყავი, გამორჩეულად მათემატიკა და ისტორია მიყვარდა. შემდგომში, ვარჯიში რომ დავიწყე, მთლიანად ძალოსნობაზე გადავერთე და არც ვნანობ ჩემს არჩევანს.

**— ბატონ ვანო გრიქუროვთან როდის დაიწყე წვრთნა? ვიცი, რომ ის თავად ირჩევს მოზარდებს, შენ როგორ მოხვდი მასთან?**

— მოდი, ამის შესახებ თავად ბატონმა ვანომ გვიამბოს.

— ერთ-ერთი შეჯიბრების დროს დარბაზში პატარა, შავგვრემანი ბიჭი შემოვიდა — იხსენებს *ვანო გრიქუროვი* — შევამჩნიე, რაღაცის თქმა უნდოდა, მაშინვე მივხვდი მის სურვილს. ისიც ვიცოდი, რომ უპერსპექტივო სპორტსმენად მიაჩნდათ, არც ყურადღებას აქცევდნენ და არც შეკრებებზე დაჰყავდათ. იმდენად ბევრს მეუბნებოდა მისი თვალები, ნეტავ მიმილოსო, ვიდრე ხმას ამოიღებდა, უკვე გადავწყვიტე — არაფერი რომც არ გამოგვივიდეს, მაინც ავიყვან. აი, მაშინ დავიწყეთ ერთობლივად სერიოზული მუშაობა.

**— საინტერესოა, თავიდანვე ბეჯითი შეგირდი გამოდგა გიორგი?**

— მე მისთვის იმდენად დიდი ავტორიტეტი ვარ, იმდენად მენდობა, რომ, აგერ, უკვე დაახლოებით ოცი წელია, ვავარჯიშებ და ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, ჩემი დავალება არ შეესრულებინოს. ამ ხნის განმავლობაში დავმეგობრდით კიდეც და უსიტყვოდაც გვესმის ერთმანეთის.

**— ორი ოლიმპიური ჩემპიონის აღზრდა ყველა მწვრთნელის ოცნებაა. კახიმაც და გიორგიმაც თქვენი ხელდასხმით მოიპოვეს ოქროს მედლები. პირადად მე ვთვლი, რომ მათთან ერთად თქვენც ოლიმპიური ჩემპიონი ბრძანდებით. საინტერესოა, თქვენი შეგირდები განსხვავდებიან თუ პირიქით — ჰგვანან ერთმანეთს?**

— პირველ რიგში, ორივე დიდი სპორტსმენია და ორივესთან ძალიან საინტერესოა მუშაობა. მათ მიღწევებს ერთნაირად ვაფასებ და პატივს მივაგებ. ისინი ძალიან განსხვავებულებიც არიან, თუმცა ჰგვანან კიდეც ერთმანეთს.

ჰგვანან კაიკაცობაში, ადამიანობაში, ორივე კეთილი და ჭკვიანია. განსხვავდებიან ხასიათით, ერთი ფლეგმატიკია, მეორე — ქოლერიკი. კახი დინჯია, ზედმეტ მოძრაობას არ გააკეთებს, გიორგი კი ჩქარობს, სულ ბრძოლაში უნდა ჩართვა.

**— ათენის ოლიმპიადის შემდეგ კახიაშვილმა ორმაგი მოქალაქეობა მიიღო და თქვენთან სავარჯიშოდ ჩამოვიდა თბილისში. თითქოს მეხუთე ოლიმპიადისთვის იწყებდა წვრთნას. მოგვიანებით კი კვლავ საბერძნეთს დაუბრუნდა ანუ დაანება თავი სპორტს?**

— კახი უკვე 38 წლისაა და ჯერ არ დაოჯახებულა. საკუთარი ცხოვრების მოწყობაზეც უნდა იფიქროს, პრობლემებიც დაუგროვდა, თუმცა ჯერ არ დაუკარგავს პეკინში გამგზავრების იმედი. როგორც ვიცი, ბიზნესიც წამოიწყო საბერძნეთში. საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია, ოლიმპიური თამაშები კი ახლოვდება.

**— გიორგი ასანიძეს რა შანსები აქვს კიდევ ერთი ოლიმპიური ჯილდოს მოსაპოვებლად?**

— ჯერჯერობით მე და გიორგი შევთანხმდით, რომ მსოფლიოს ჩემპიონატისთვის უნდა მოემზადოს, რომელიც სექტემბერში ტაილანდში გაიმართება. ძალოსნობაში ლიცენზიებს არა კონკრეტულ ათლეტებს, არამედ ქვეყნებს აძლევენ. ვიმედოვნებთ, ასანიძე საქართველოს ლიცენზიების მოპოვებაში დაეხმარება.

ათენის ოლიმპიადისთვის მზადების გრაფიკს თუ შევადარებთ, დღეისთვის გიორგი უკეთესადაც კი გამოიყურება. სხვათა შორის, საერთაშორისო სტანდარტებსაც არაფრით ჩამოვრჩებით. მსოფლიოს ჩემპიონატამდე კიდევ რამდენიმე თვეა და ვფიქრობთ, მოვასწრებთ შესაბამისად მომზადებას.

რაც შეეხება ოლიმპიადას, თეორიულად კიდევ ერთი მედლის მოპოვების შანსი აქვს. პირადად მე იმითაც ვიქნები ბედნიერი, თუ ამჯერად ვერცხლს დაეუფლება და ამით ოლიმპიური ჯილდოების სრული კომპლექტით დაასრულებს სპორტულ კარიერას.

**— ამჯერად ისევ გიორგი ასანიძის აზრი მაინტერესებს. თქვენ, ძალოსნები როგორ აფასებთ საერთო გამარჯვებაში მწვრთნელ-შეგირდის წილსა და წვლილს?**

— ვფიქრობ, მწვრთნელის გამიჯვნა მიღწევებისგან არ შეიძლება. ჩვენს სახეობაში დამოუკიდებლად დიდ შედეგებს ვერავინ მიაღწევს.

ბატონ ვანოსთან რომ დავიწყე ვარჯიში, ფიზიკური მონაცემებით არაფრით გამოვირჩეოდი, ერთადერთი, მონდომება მქონდა. ასე ბევრს უნდა გამარჯვება, თუმცა მიზანს

ერთეულები აღწევენ. ჩვენ ერთად ვიშრომეთ: იგი ჩემთვის მწვრთნელიც არის, მამაც, მეგობარიც, თანამოაზრეც. ერთი ტანდემი ვართ და თუკი გიორგი ასანიძე შედგა, როგორც სპორტსმენი — ამაში ორივეს დამსახურება თანაბრად უნდა შეფასდეს, ანუ პროცენტულად 50X50.

**— მეც ასევე მიმაჩნია, მაგრამ ფაქტია — სპორტსმენებს უფრო აფასებენ, ვიდრე მწვრთნელებს. რატომ?**

— ალბათ იმიტომ, რომ არენაზე ათლეტი ჩანს, მწვრთნელი კი კულისებს მიღმაა. ბატონი ვანო ამბობს ხოლმე, ოკეანეში აისბერგის მხოლოდ წვერი ჩანს, წყლის ქვეშ რა არის, არავინ იცისო. ამიტომ ეს ჩვენ, სპორტსმენებმა უნდა ვიფიქროთ — როგორ იქმნება აისბერგი და რას ეყრდნობა იგი.

**— საყოველთაოდ ცნობილია: თანამედროვე სპორტში ხშირად იყენებენ დოპინგს. დღეს რა მდგომარეობაა?**

— 2000 წლის შემდეგ ძალიან მკაცრად ებრძვიან დოპინგს. ამ კამპანიას მივესალმები, რადგან ათლეტები თანაბარ პირობებში უნდა იყვნენ, თუმცა ეს ცოტა რთული საკითხია და აგიხსნით, რატომ. შეჯიბრებებისთვის მზადებისას ვერავინ გააკონტროლებს სპორტსმენს. ამასთან წვრთნა ხანგრძლივი პროცესია, რომლის დროსაც შეიძლება ავად გახდე, უბრალოდ, გაცივდე. საჭიროა მედიკამენტების მიღება, ზოგი პრეპარატი კი დოპინგად ითვლება. ასევეა სხვადასხვა წვენები, რომლებსაც ენერგიის აღსადგენად ვიყენებთ. ამიტომაც, ჩემი აზრით, ათლეტი უშუალოდ შეჯიბრების დროს უნდა იყოს სუფთა. ვიმეორებ, დოპინგის წინააღმდეგი ვარ, მაგრამ ამ პრობლემას რომ ეშველოს, მედიცინა უნდა უსწრებდეს სპორტს და არა პირიქით.

**— გიორგი, მოდი, ცოტა ხნით სპორტს თავი დავანებოთ. ძალოსნობაში რომ მიზანდასახული ხარ და საქმის გამარჯვებამდე მიყვანა შეგიძლია, ეს ყველამ იცის. ცხოვრებაშიც თუ ახერხებ ჩანაფიქრების განხორციელებას?**

— ვერ ვიტყვი, რომ ყოველდღიურ ყოფაში ოცნებები სრულად ავისრულე. სპორტში მიზანი კონკრეტულია, თან ძირითადად საკუთარ თავზე ხარ დამოკიდებული, ისე კი სხვებიც მონაწილეობენ შენს საქმიანობაში. ასე რომ, ჩვეულებრივი ყოფითი ჩანაფიქრების ასრულებას ყოველთვის ვერ ვახერხებ. არის კიდევ ერთი მომენტი: ვთქვათ, ევერესტზე ახვედი და დასახულ მიზანს მიაღწიე, ამაზე მაღლა ველარ ახვალ, ცხოვრებაში კი მიზანი არ გელევა კაცს.

**— ქართველ ოლიმპიურ ჩემპიონებში ოთხი შვილის მამა გამორჩეული ხარ. შვილებთან თუ ახერხებ იყო „ჩემპიონი მამა"?**

— სპორტს ძალიან დიდი დრო მიაქვს. ათენის ოლიმპიადის შემდეგ ორი წელი საკმაო დროს ვუთმობდი ბავშვებს, თუმცა ახლა მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ვემზადები და „ჩემპიონი მამობა" მიჭირს. სამაგიეროდ, მყავს არაჩვეულებრივი მეუღლე, თეა, რომლის დიდი იმედიც მაქვს. ბუნებრივია, მასაც და ბავშვებსაც ანგარიშს ვუწევ, რადგან კაცისთვის მთავარი ოჯახი და აქაური იდილიაა. შემიძლია გითხრა — ჩვეულებრივი ქართველი მამა ვარ. ზოგჯერ მეუღლესთან ვკამათობ კიდეც, თუმცა მთავარია, რომ ერთმანეთი გვიყვარს, გვყავს ულამაზესი შვილები და მათი კეთილდღეობისთვის ორივე ერთნაირად ვზრუნავთ.

**— ამ კითხვაზე კი პასუხის გაცემა ალბათ გაგიჭირდება: ამიხსენი, სპორტსმენმა კაცმა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა, რატომ გადაწყვიტე პარლამენტარობა?**

— არც ასეა საქმე. მაშინ შენ მითხარი — რა უნდა პარლამენტში რეჟისორს, ისტორიკოსს ან სხვას?! მე ვფიქრობ, მთავარია, ქვეყნის პარლამენტში პროფესიონალები, საქმის მცოდნენი იყვნენ. პირადად მე დარწმუნებული ვარ — აქ მეტის გაკეთებას შევძლებ ქართული სპორტისთვის, ერის გაჯანსაღებისთვის.

საბჭოთა პერიოდში ფიზიკურ კულტურასა და სპორტს სერიოზული ყურადღება ექცეოდა. შემდეგ ყველაფერი მოიშალა, ახლა კი ხელახლაა ასაშენებელი. სტატისტიკით დღეს საქართველოში 500 ათასზე მეტი სხვადასხვა ნარკოტიკის მომხმარებელია. დამეთანხმე, სპორტული მოედნების მოწყობით, დარბაზების განახლებით, მოზარდების დაინტერესებით თუ ვერ მოვსპობთ, შევამცირებთ მაინც ნარკომანიას.

ცალკე თემაა დიდი სპორტი, ჩვენ ქვეყანას ეკონომიკურად უჭირს. საქართველოში, ვთქვათ, 300 ათასი სპორტსმენი ვარჯიშობს, თუმც მეათედს თუ აქვს წარმატების მიღწევის რეალური შანსი. ამიტომაც შეირჩა თორმეტი პრიორიტეტული სახეობა.

ვფიქრობ, აგიხსენი, რატომ მოვედი პოლიტიკაში. სპორტი პოლიტიკის ნაწილია, მას დიდი ძალა აქვს. სპორტი მთელ მსოფლიოში ძალზე პოპულარულია და პირველ რიგში სწორედ ამ ბერკეტის გამოყენებით, აქ გამარჯვებებით უნდა დავანახოთ ყველას, რომ ღირსეული ერი ვართ.

**—კომუნისტების დროს ვინმე თუ დააგროვებდა კაპიტალს, კაგებე-ს და ცეკას შიშით მალავდა. დღევანდელი ჩვენი წარმატებული ბიზნესმენები კი ბევრ კარგ საქმეს აკეთებენ. ბადრი პატარკაციშვილის დაარსებულმა ოლიმპიურმა ფონდმა 400 ათასი ლარით დაგაჯილდოვა. საინტერესოა, მოსალოდნელი პრიზი ათენის ფიცარნაგზე გამოსვლისას სტიმული იყო შენთვის თუ პირიქით — ხელს გიშლიდა?**

— მატერიალური წახალისება, უდავო სტიმულია, თუმცა პირველ რიგში გამარჯვებაზე ვფიქრობდი. ბატონ ბადრისთან ერთად ყველა იმ ადამიანის მადლობელი ვარ, ვინც დიდი წვლილი შეიტანა ჩემს გამარჯვებაში: ჯანო ბაგრატიონი, ირაკლი მეძმარიაშვილი, გოგი თოფაძე, დავით ბეჟუაშვილი, მაგრამ ყველაზე მეტად ჩემი ხალხის მადლიერი ვარ, რომლის სიყვარულსაც ყოველდღიურად ვგრძნობ.

ერთსაც დავამატებ, — ოლიმპიური ჩემპიონობა სპორტსმენისთვისაც და ქვეყნისთვისაც ძალზე პრესტიჟულია, ამიტომ თავად ჩვენმა ხელისუფლებამ უნდა დააწესოს ჩემპიონებისთვის სოლიდური პრემია — მილიონი ლარი. პეკინში ჩვენი ორი-სამი ათლეტი თუ გაიმარჯვებს, ისინი ღირსნი იქნებიან ამ ჯილდოსი.

**— წარმატებული ბიზნესმენები და მათი თანადგომა ვახსენეთ. შენ არ გინდა გახდე ასეთივე ბიზნესმენი და ქველმოქმედი?**

— სურვილი ნამდვილად დიდი მაქვს. მეც მინდა, ისე ამოვუდგე მხარში ხალხს, როგორც ჩემი რაიონის, საჩხერის ერთ-ერთი ქველმოქმედი — ბიძინა ივანიშვილი, მაგრამ ჩემი შესაძლებლობებით ძნელია ამის გაკეთება. ვნახოთ, ცხოვრება გრძელდება და არავინ იცის, რა მოხდება მომავალში.

**— ათენის ოლიმპიადისთვის პოლონეთში ემზადებოდი, სადაც თითქმის ათი წელი ცხოვრობდა ვანო გრიქუროვი. საბერძნეთში მოპოვებული გამარჯვების შემდეგ საქართველოს მთავრობამ ბატონი ვანო სამშობლოში დააბრუნა და თან შესაფერისი საყოფაცხოვრებო და სავარჯიშო პირობები აღუთქვა. რამდენად შესრულდა დანაპირები?**

— ამ კითხვაზე უფრო სრულ პასუხს ისევ ბატონი ვანო გაგცემს.

— შემიძლია გითხრათ, რომ სიტყვა ქვეყნისა და ფედერაციის პრეზიდენტებმა ასი პროცენტით შეასრულეს. იმ დონეზეც კი, რომ ბოლო დროს ვამბობ — ცუდია, რომ ვბერდები. ასეთი პირობები ადრე რომ მქონოდა, გაცილებით მეტს მივაღწევდი. ჩვენი ძველი დარბაზის დანგრევის შემდეგ სამიოდ თვეში ახალი ბაზა მოეწყო. გლდანის სკოლაინტერნატში კიდევ ერთი კარგი დარბაზი გაიმართა. შედგენილი გვაქვს საერთაშორისო სტანდარტების შესაფერისი ჩინებული კომპლექსის პროექტიც, რომელიც მანგლისში აშენდება. ასე რომ, მომავალი უფრო იმედიანია.

**— ძალოსნობაში სერიოზული შედეგების მისაღწევად ათი წლის შრომა მაინც არის საჭირო. ისიც ვიცი, წინ იყურებით და პეკინის შემდგომი, 2012 წლის ლონდონის ოლიმპიადაზეც ფიქრობთ. იქ ვისი იმედი გაქვთ?**

— ნიჭიერი ბიჭები ჩვენც გვყავს. არსენ კასაბიევმა უკვე მიიღო ათენის გამოცდილება. ზვიად სამუკაშვილის იმედიც გვაქვს. ძალიან კარგ შედეგები აქვს გიორგი მაჭავარიანს, რომელსაც საპრიზო სამეულისთვის შეუძლია ბრძოლა. საქართველოში დავაბრუნეთ ალბერტ კუზილოვიც, კიდევ არიან პერსპექტიული ათლეტები.

სიმართლე გითხრათ, ესენი რეალურად მომდევნო ოლიმპიადაზე უფრო შეძლებენ მედლების მოპოვებას, თუმცა პეკინშიც ვგეგმავთ რომელიმე სინჯის ჯილდოს.

**— ოქროს მედალზე რას იტყვით, პირველობის მოპოვების შანსი თუ აქვს ვინმეს?**

— რა გითხრათ, ვნახოთ, ჯერ ადრეა ამაზე ლაპარაკი. ახლახან ერთ პოპულარულ ამერიკულ ჟურნალში გამოქვეყნდა ჩემი ინტერვიუ — „საქართველოს ფენომენი". სათაური ცოტა პრეტენზიული კია, მაგრამ სიმართლე წერია. ათენის ოლიმპიურ თამაშებამდე საქართველოში 25-მდე ათლეტი ვარჯიშობდა, რომლებთანაც სამი-ოთხი მწვრთნელი მუშაობდა. გვქონდა ხუთი მოძველებული შტანგა. საერთოდ არ არსებობდა ნორმალური სავარჯიშო დარბაზი, შუქით, ცხელი წყლით, გათბობითა და მისთანებით. ამის მიუხედავად, ჩვენს ქვეყანაში ბოლო 12 წლის განმავლობაში ორი ოლიმპიური ჩემპიონი აღიზარდა.

დღეს სისტემატურად ვატარებთ შეჯიბრებებს, საერთაშორისო ტურნირებზეც გავდივართ და დაახლოებით ორასამდე ძალოსანიც გვყავს, მაგრამ არც ეს არის საკმარისი. შედარებისთვის გეტყვით, რომ რუსეთში, რომელსაც ათენის ოლიმპიადაზე ჩვენსავით ერთი ოქროს მედალი ჰქონდა, ამჟამად 300 ათასი სპორტსმენი ვარჯიშობს, ხოლო ჩინეთში — თითქმის მილიონი. ამდენად, ძნელია, ზუსტად გიპასუხოთ — შევძლებთ თუ არა ოქროს მედლის მოპოვებას, თუმც გარკვეული შანსები ჩვენც გვაქვს.

**— ბატონო ვანო, მწვრთნელის რანგში მეხუთე ოლიმპიადისთვის ემზადებით. უდავოდ მდიდარი გამოცდილება გაქვთ. გახსოვთ, სიდნეისთან შედარებით, ათენში ძალოსნებმა გაცილებით დაბალი შედეგები აჩვენეს და სულაც ერთი მსოფლიოს რეკორდის დამყარება შეძლეს. პეკინისთვის როგორია თქვენი პროგნოზები?**

— ძალოსნობაში დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლა ბოლო



ავთანდილ ბუაძის ფოტო

პერიოდში გამკაცრდა. ამის გამო იყო, რომ ათლეტებმა ათენში შედარებით დაბალი შედეგებით მოიპოვეს პირველობა. ანტიდოპინგური კამპანია ჩვენთვის მომგებიანია, რადგან ხასიათით ძლიერი ერი ვართ. რაც შეეხება პროგნოზებს, ვფიქრობ, გამარჯვებისთვის დაახლოებით ბოლო ოლიმპიადის შედეგებიც საკმარისი იქნება.

**— დღევანდელი ვარჯიში, ვხედავ, პრაქტიკულად ჩაგიშალეთ, აღარ მინდა, დარჩენილი დროც წაგართვათ. ამიტომ ბოლოს ისევ გიორგის მინდა ვკითხო. ბატონმა ვანომ ჩვენი ხასიათი ახსენა, მაგრამ ქართველებს ასევე სისხლში გვაქვს ქეიფი და ღვინის სიყვარული. შენ როგორ უთავსებ ერთმანეთს საჩხერის ღვინოსა და სპორტს?**

— ეგ საქმე ვის არ მოსწონს, მაგრამ მე მაინც ვცდილობ რეჟიმის დაცვას. ცხოვრებაში ადამიანმა ბევრ რამეს უნდა მიაქციოს ყურადღება: ოჯახს, მეგობრებს, ნათესავებს... ყველას თავისი სჭირდება. ამას დრო მიაქვს. ამიტომაც, რომელიმე ტურნირისთვის სერიოზულად მოსამზადებლად, მეტწილად, პოლონეთში მივემგზავრები, სადაც სრული კონცენტრაციის საშუალება მაქვს.

**— ოლიმპიური კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასვლის ბედნიერება საქართველოდან 30 სპორტსმენს ერგო, ყველა თავისებურად განიცდიდა ამ მომენტს. შენ რაზე ფიქრობდი მაშინ?**

— რა გითხრა, საოცარი შეგრძნებაა. ახლაც ავნერვიულდი, ის წუთები რომ გამახსენდა. სიტყვებით ამის გამოხატვა შეუძლებელია. შენი ქვეყნის ჰიმნი რომ გესმის და დროშას ხედავ ყველაზე მაღლა აწეულს, ბედნიერი ხარ, სიამაყეს გრძნობ. სხვათა შორის, მე არც ახალი ქართული დროშა ვიცოდი როგორი იყო და არც ჰიმნი მქონდა მოსმენილი, ვინაიდან ათენის ოლიმპიადისთვის პოლონეთში ვემზადებოდი. იმ წუთში ძალიან ბედნიერი ვიყავი და რამდენიმე წამში მთელი ჩემი სპორტული კარიერა გამახსენდა პირველი ვარჯიშიდან ამ კვარცხლბეკამდე.

მოგვიანებით, თბილისში რომ ჩამოვედი და საკუთარი თვალით ვნახე, როგორ ხარობდა ქართველი ხალხი ჩემი და ზურაბ ზვიადაურის გამარჯვებით, მაშინ უფრო შევიგრძენი, რაოდენ დიდი ბედნიერებაა ოლიმპიური ჩემპიონობ, მინდა ეს სიხარული კიდევ ერთხელ, პეკინის ოლიმპიადის შემდეგაც შევიგრძნო.

**გიორგი ფრანგიშვილი**

აფროსნობა



მასპინძლებმა ოთხეულში გასვლა შამპანურით დაასველეს

# დესაფიო საფინალოა

## ესპანელები ვალენსიას შერჩნენ

**დასასრულს** უახლოვდება ლუი ვუტონის თასის გათამაშების ჯგუფური ეტაპი. დამთავრებამდე ერთი დღით ადრე მეოთხე ნახევარფინალისტიც გაირკვა. პლეი ოფში კარგა ხნით ადრე გასულ სამ ბობოლას — „ბმვ ორეიკლს“, „თიმ ნიუ ზილენდსა“ და „ლუნა როსას“ საშუალოთაგან საუკეთესო, ესპანური „დესაფიო“ შეუოთხდა.

ეს ოფიციალურად გუშინ მოხდა, თორემ სამი სანაოსნო დღით ადრეც ცნობილი იყო, რომ ოთხეულს „დესაფიო“ შეავსებდა. ესპანელები 5 ქულით გაექცნენ შვედურ „ვიქტორი ჩელენჯს“, ერთადერთ შემორჩენილ კონკურენტს და რაკილა გამარჯვება ორ ქულად ფასობს, ესპანელებს ნახევარფინალის საგზურის გასაფორმებლად ერთი გამარჯვებაც ჰყოფნიდათ. ვერ გაიმარჯვეს, ზედიზედ ორი წააგეს, მეორე თვით იალქნიანი ნაოსნობის ამერიკულ „კრეისერ“ „ბმვ ორეიკლთან“, მაგრამ ასევე დამარცხდა „ვიქტორი ჩელენჯიც“ — შვედები ახალზელანდიურმა ვეშაპმა „თიმ ნიუ ზელანდმა“ ჩაყლაპა და მეხუთე ადგილზე ჩატოვა, რაც ამ უპრესტიჟულეს 11-ნავიან ჯგუფში საპატიო ადგილად ჩაითვლება, მაგრამ არა მათთვის, ვისაც შეჯიბრის პლეი ოფში გაგრძელების პრეტენზია ჰქონდა.

„ეს განსაკუთრებული დღეა ჩვენთვის — ესპანური ტელევიზიისთვის მიცემულ ბლიცინტერვიუში ამბობდა „დესაფიოს“ კაპიტანი აგუსტინ ზულუეტა — ამ ტურნირში მთელმა ეკიპაჟმა სული და გული ჩადო. არ ვამბობ, რომ იდეალური ნავი ვართ, ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს დასახვეწი და ნახევარფინალში გასვლა ამაში სწორედ რომ დაგვეხმარება.“

ამგვარად, ერთი დღით ადრე 11 ნავიდან რჩეული 4-ეული გარკვეულია. სათქმელია, რომ მხოლოდ მე-11 ადგილი შეხვდა ნავ „ჩაინას“. არადა, ჩინელებმა ხომ თვით ამერიკული სუპერიახტა დაამარცხეს. თუმცა სხვას რომ ვერავის მოუგეს, ამიტომაც ჩამორჩნენ არმადას.

დღეს კი 10 წყვილი ჯგუფურ ტურნირზე ბოლოჯერ გაეჯიბრება ერთმანეთს. ჯერაც გასარკვევია, პირველ ნომრად განთესილის ვინაობა, „ბმვ“ მხოლოდ ქულით უსწრებს „თიმ ნიუ ზილენდს“ და... დღეს სწორედ მას ხვდება. ახალზელანდიელები კი მთელი მეორე წრეა, დაუმარცხებლად დაცურავენ ვალენსიის აკვატორიებში.

**კოტე ყორშია**

ოლიმპიზმი

# პაუნდს ჩინური დოპინგტესტები აღელვებს

**იმის** გათვალისწინებით, რომ ჩინეთში ყოველწლიურად არასაკმაო რაოდენობით ღებულობენ დოპინგსინჯებს, იქ გაისად გასამართი ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების პერიოდში ანტიდოპინგური პოლიტიკა ერთ-ერთ მთავარ სფეროდ ითვლება. ამის თაობაზე მსოფლიოს ანტიდოპინგური სააგენტოს (ვადა) პრეზიდენტმა, კანადელმა რიჩარდ პაუნდმა განაცხადა.

„პეკინის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელობასთან მე არაერთხელ განეიხილე ანტიდოპინგური პოლიტიკა და დღესდღეობით მრავალ შეთანხმებას მივაღწიეთ — ამბობს რიჩარდ პაუნდი — ჯერ ერთი, პეკინში, რამდენადაც საერთოდ ჩინეთში შესაძლებელია, შეიქმნება სახელმწიფოსგან დამოუკიდებელი, დოპინგის წინააღმდეგ მებრძოლი სტრუქტურა. ამასთან, სპორტსკოლებში გაიზრდება დოპინგ-ტესტების რაოდენობა; ოლიმპიადის დღეებში ქვეყანაში იმუშავებენ დამოუკიდებელი, საერთაშორისო მეთვალყურენი. მთლიანობაში, ვფიქრობ, ჩინეთში მაინც არასაკმაო სადოპინგო ტესტები ტარდება. წლის განმავლობაში აღებული სინჯების რაოდენობას თუ შევადარებთ, მაგალითად, ავსტრალიისას მაშინ, როცა ამ ორი ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობა ცასა და დედამიწასავით განსხვავდება, თანაბარი გამოვა. მე პეკინში შარშან ოქტომბერში ვიყავი და საორგანიზაციო კომიტეტის წევრებს ამაზეც მივუთითე. მნიშვნელოვანია, რომ ჩინეთი ამ პრობლემას აღიარებს და მისი აღმოფხვრისკენ ისწრაფვის. რესურსების გაზრდა, რომელიც დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლისკენ იქნება მიმართული, ჩინეთს მსოფლიო აღიარებაში დაეხმარება“.

# თეთრი ოლიმპიადა მწვანეებში

**ვანკუვერში** 2010 წელს გასამართი ზამთრის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტმა ამ ღონისძიების ბიუჯეტი გამოაქვეყნა. აღმოჩნდა, რომ კანადის ამ ქალაქს „თეთრი ოლიმპიადა“ 1,47 მილიარდი მწვანე დოლარი დაუჯდება. საორგანიზაციო კომიტეტის მეთაურ ჯონ ფერლონგის თქმით, ეს ბიუჯეტი ყველა ხარჯს ითვალისწინებს.

ვანკუვერში ზამთრის ოლიმპიური თამაშები 2010 წლის 12-28 თებერვალს გაიმართება.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

კრივი

# ევანდერი და ლუ

**არა და არ** ისვენებს ევანდერ ჰოლიფილდის ბობოქარი სული. უკანასკნელი ოცწლეულის ერთ-ერთი საუკეთესო მოკრივე და მძიმე წონის დიდი ჩემპიონი 44 წლის მოყრილა, მაგრამ რინგი არ ეთმობა და კვლავაც განაგრძობს მუშტების ქნევას.



ჰოლიფილდი, ვისაც ეპიკური ჩხუბები გადაუტანია მაიკ ტაისონთან, ლენოქს ლიუისთან და რიდიკ ბოუსთან, ორი წლის წინ დაუბრუნდა რინგს და ამ ხნის მანძილზე სამი მეტოქის გალახვა მოასწრო. მეოთხე ორთაბრძოლა კი 30 ივნისისთვისაა დანიშნული. ტეხასის შტატის ქალაქ ელ პასოში ძველი ჩემპიონი მასავით ვეტერანს, 41 წლის ლუ სავარეზეს დაეტაკება და იმედოვნებს, რომ ამის შემდეგ სატიტულო ბრძოლისკენაც გაეხსნება გზა.

# ტიტოს ოსკარი მოუნდა



**ჰოლიფილდის** არ იყოს, ორი წელი იუქმა წარსულის კიდევ ერთმა დიდმა ჩემპიონმა, საშუალო წონის მეგავარსკვლავმა ფელიქს „ტიტო“ ტრინიდადმა და როგორც ჩანს, მასა აექავა მუშტები.

სახელოვანი პუერტორიკოელი ჩხუბს მას შემდეგ შეეშვა, რონალდ „ვინკი“ რაიტთან რომ დამარცხდა და თითქოს დაბრუნებაზე აღარც ფიქრობდა, მაგრამ ახლა სხვანაირად აჭიკჭიკდა — მზად ვარ ისევ ავიდე რინგზე, თუ ჩემთან ჩხუბს „ოქროს ბიჭი“ ოსკარ დე ლა ჰოია დათანხმდებაო.

მოგეხსენებათ, დე ლა ჰოიასაც თავი ჰქონდა დანებებული კრივისთვის, მაგრამ მერე დაბრუნდა, რამდენიმე დასამახსოვრებელი ორთაბრძოლაც ჩაატარა და ამ რამდენიმე დღის წინ კი მორიგ „საუკუნის ბრძოლად“ შერაცხულ ჩხუბში ქულებით დამარცხდა ფლოიდ მეივეზერ უმცროსთან, რომელმაც, თავის მხრივ, ამ გამარჯვების შემდეგ ბრძანა, მორჩა, დასამტკიცებელი აღარაფერი მაქვს და მივდივარო.

ყველა ასე მიდის ხოლმე, მაგრამ მერე ახსენდებათ, რომ კიდევ ჰქონიათ დასამტკიცებელი, ანდაც მუშტების ქნევით ნაშოვნი მილიონები გამოელევათ ხოლმე და ბრუნდებიან. აი, ტრინიდადმაც თქვა, ოსკარი მეჩხუბოს და დავბრუნდებიო, ოღონდ პირობაც წამოაყენა — ბრძოლა 72,5 კილოგრამიან წონაში უნდა გაიმართოსო (დე ლა ჰოიამ მეივეზერთან 69,9 კილოგრამ წონაში იჩხუბა) და დაამატა, თუ ოსკარი თანახმა იქნება, ეგრევე გავაფორმებ კონტრაქტს კრივის დიდოსტატ პრომოუტერ დონ კინგთანო.

# აიბას მოსკოვის არ სჯერა

**მოყვარულ** მოკრივეთა საერთაშორისო ასოციაციამ (AIBA) შემოდგომაზე გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატს ბარე ოთხჯერ შეუცვალა მასპინძელი — თავიდან პირველობის გამართვა მოსკოვში იგეგმებოდა, შემდეგ რუსებს უარი უთხრეს და ჩემპიონატი სამხრეთკორეელებს ჩააბარეს, მაგრამ აზიელებმა საჭირო რაოდენობის ფული ვერ გამონახეს და ისევ მოსკოვის ვარიანტი წამოტივტივდა.

AIBA-ს თავკაცობას, როგორც ჩანს, რუსთა მასპინძლობა ჭკუაში არანაირად არ უჯდებოდა და ბევრი იფიქრეს თუ ცოტა, ჩემპიონატის ამერიკის შეერთებულ შტატებში გამართვა გადაწყვიტეს — კრივის ყადრიც იციან და ფულიც ბლომად აქვთო.

რუსები კი ოცნებას ვერ ელევიან და რა გაიგეს, რომ წლევანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე ხელის ჩაქნევა მოუწევთ, სამომავლოდ დაფაცურდნენ. თავდაპირველად 2009 წლის პირველობის მასპინძლობა ჰქონდათ გულში, მაგრამ გადაიფიქრეს და გადაწყვიტეს, 2011 წლის ჩემპიონატის მისაღებად იბრძოლონ.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო ხვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კვთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი
სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge